

საგარეო საზღვარი

საგარეო საზღვარი • მშენებლობა • კულტურა

3-4
1994

საქართველო

საზენიერო-ერატტიკული ჟურნალი

№ 3-4

1994

მარტი - აპრილი

ბათუმის 1996 წლიდან

ერატტიკა ● ვიციიერება ● კუბლიციისტიკა

მთავარი რედაქტორი

ზურაბ რატიანი

სარედაქციო კოლეგია:

ჯამლათ ბაბილაშვილი

გელა ბერკენიშვილი

(მთ. რედაქტორის მოადგილე)

ვლადიმერ ბარათაშვილი

ოთარ გამყრელიძე

ჯემალ ბასოკიძე

გივი ინჟკირველი

მზია ლეკვიშვილი

თენგიზ ლილუაშვილი

ჯემალ მიქელაძე

შალვა ნათელაშვილი

თევდორე ნინიძე

ნოდარ ნეპირიძე

იური ტაბუცაძე

გიორგი ტყეშელაძე

იაკობ ფუტყაძე

მინდია უგრეხელიძე

ჯონი ჯალალანი

ჩვენი ჟურნალის დამფუძნებ-
ლები არიან: ჟურნალ „საქართველო-
ლის“ რედაქცია, საქართველოს
რესპუბლიკის იურისტთა კავშირი,
საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი
სასამართლო, საქართველო-
საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის
სამინისტრო, საქართველოს რეს-
პუბლიკის კროკურატურა, საქარ-
თველოს რესპუბლიკის უზენაესი
საარბიტრაჟო სასამართლო.

ვიციიერება საქურაღებოდ:

სტატიების ავტორთა თვალსაზრისი შესაძლოა
არ ემთხვეოდეს რედაქციისას. მასალები, რომე-
ლთა მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 12
გვერდს, მოგვაწოდეთ მისამართით: 380046, თბი-
ლისი, რუსთაველის 30.

ტელ: 99-02-45, 93-41-50, 99-51-01.

ჟურნალი რეგისტრირებულია საქართველოს
რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგის-
ტრაციის ნომერია: 0830. ინდექსი 78185.

ფასი 1200 კუპ.

ს ა ქ რ მ ბ ე ლ ი

1994 — ოჯახის საერთაშორისო წელი	3
საპარტიველოს კარლამენბოი	
საქართველოს პარლამენტის დადგენილება აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში აპარტიდული და რასისტული საკანონმდებლო პრაქტიკის შესახებ	5
საპარტიველოს რესპუბლიკის ახალი კანონები	
საქართველოს რესპუბლიკის კანონი ცეცხლსასროლი იარაღის შესახებ	9
უზენაეს სასამართლოში	
საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პლენუმის დადგენილება საზოგადოებრივი წესრიგის დამცველი პოლიციის მუშაის სიტუაციის ხელყოფის საქმეებზე	20
საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პლენუმის დადგენილება პირადი ქონების ქურდობის საქმეებზე	24
სახელმწიფო ორგანოები	
ირმა ხარშილაძე — საქართველოს მთავრობის შექმნის თავისებურებანი	28
უცხოეთის კონსტიტუციები	
რამინ ჯომიდავა — ჩინეთის საკონსტიტუციო გარანტიები	34
პრაქტიკა, წინადადებაები, უანიუზენაზი	
შოთა ფაფავილი — გამოძიების სამეცნიერო-რეკონსტრუქციული სამუშაოების სრულყოფისათვის ალექსანდრე ხოშტარია — მანქანური დოკუმენტებისათვის იურიდიული ძალის მინიჭების მნიშვნელობა კომპიუტერული დანაშაულისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისას	40
	46
პროექტი	
ანზორ გაბიანი — საქართველოს რესპუბლიკაში ნარკოტრეფის, ნარკობიზნესისა და ნარკომაფიის წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო პროგრამა	50
ქართული სამართლის ისტორია	
ვახტანგ ავაშაძე — ქართული რენესანსი და შუა საუკუნეების საქართველოს ჰუმანისტური იურისპრუდენცია	65
გამოთხოვება	
გურამ უგრეხელიძე	73
გახსენება	
ვალერი ლორია — ქვემარტი მამულიშვილი	78
კვალი ნათელი	80

გადევა წარმოებას 27.04.94 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 11.07.94 წ., ფორმატი 70×108¹/₁₆, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი, 5, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 7, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 6,5. შეკვ. 458. ტირაჟი 1500.

საპარტიველოს შურნალ-გაზეთების გამომცემლობა „საზოგადოლო“ სტამბა.

გვერდი 10, შობილისი მერაბ კონსტაპას 14

1994 — ოჯახის საერთაშორისო წელი

119
20

საუკუნეების მანძილზე ოჯახი იყო ის მნიშვნელოვანი ერთეული, რომლის საფუძველზედაც იქმნებოდა, ძლიერდებოდა და მომავლისათვის იბრძოდა თითქმის ყველა საზოგადოება. როდესაც საზოგადოება ერთიანი და ნაყოფიერია, როდესაც იგი ემორჩილება სამართლებრივ კანონებს, მისი ძლიერების სათავე ყოველთვის ოჯახის სიძლიერეში უნდა ვეძიოთ. დღეისათვის ოჯახები მრავალგვარი საფრთხის წინაშე დგანან — შიმშილი, უმუშევრობა, სიღარიბე, ნარკოტიკები და შიდსი, ამასთან, ცვალებადი ეკონომიკური და საშემოსავლო სტრუქტურები. მიუხედავად ამისა, ოჯახი მაინც რჩება კულტურულ ფასეულობათა შენახვისა და გადაცემის სასიცოცხლო საშუალებად. წელს მსოფლიოს ყურადღება მიმართულია იმისაკენ, რომ დაეხმარონ ოჯახს მისი ფუნქციების შესრულებაში, რაც ასე არსებითია მისი წევრების კეთილდღეობისათვის.

გაეროს გენერალური ასამბლეის 1989 წლის 8 დეკემბრის რეზოლუციით 1994 წელი გამოცხადდა ოჯახის საერთაშორისო წლად. მისი მთავარი თემაა „ოჯახი: მისი რესურსები და მოვალებები ცვალებად მსოფლიოში“. ამ წელს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ოჯახის პრობლემების განხილვას საერთაშორისო დონეზე, ხელი შეეწყობა ყველა იმ ღონისძიებას, რომელიც გატარდება ოჯახის საკეთილდღეოდ.

როგორც გაეროს გენერალურმა მდივანმა ბუტროს-ბუტროს გალიმ ხაზგასმით აღნიშნა მალტის ფორუმზე, „ამ წლის გამოცხადებამ ოჯახის საერთაშორისო წლად ხელი უნდა შეუწყოს ადამიანის უფლებების, განსაკუთრებით კი ბავშვთა უფლებების, ინდივიდუალური თავისუფლებებისა და სქესთა თანასწორუფლებიანობის დაცვას როგორც ოჯახში, ასევე საზოგადოებაში“. ოჯახისათვის მნიშვნელოვანია მისი შინაგანი ძალების განმტკიცება, რათა მისმა წევრებმა სრულად გამოიყენონ საკუთარი პოტენციალი.

საჭიროა, რომ სოციალური დაცვის სისტემებმა ხელი შეუწყონ მშობლებს მათი მოვალებების შესრულების დროს როგორც სამსახურში, ასევე ოჯახში. ამის გამოხატულებაა დეკრეტული შევებულებებით სარგებლობა, ბავშვთა, მოხუცებულთა და უძლურთა მოვლა. მშობლებს უნდა ჰქონდეთ იმის გარანტია, რომ თავიანთი მოვალებების შესრულების დროს შეუნარჩუნდებათ სამუშაო ადგილი და ხელი არ შეეშლებათ დაწინაურებაში.

ოჯახის საერთაშორისო წლის მიზნებია:

- მთავრობებისა და კერძო სექტორის მიერ ყურადღების გამახვილება ოჯახის საკითხებზე;
- ეროვნული ინსტიტუტის ძალისხმევის გაძლიერება, რათა მათ განავითარონ, გაატარონ და გააკონტროლონ საოჯახო პოლიტიკა;
- გაძლიერდეს ძალისხმევა ოჯახის პრობლემების გადასაჭრელად;
- უფრო ეფექტიანი გახდეს ადგილობრივი, რეგიონალური და ეროვნული პროგრამები ოჯახთან დაკავშირებით;
- გაუმჯობესდეს თანამშრომლობა ეროვნულ და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის;
- ხელი შეეწყოს ქალების, ბავშვთა, ახალგაზრდების, ხანშიშესულ და შრომისუნარო ადამიანთა საკეთილდღეოდ უკვე დაწყებულ საქმიანობას.

საერთაშორისო
მსოფლიო
საკვირდღეობა

მთავრობები, ნებაყოფლობითი ორგანიზაციები და კერძო სექტორი უნდა გაეცნონ ოჯახთან დაკავშირებულ ახალ პრობლემებს და ეძიონ მათი გადაწყვეტის გზები. გაეროსა და მის სისტემაში შემაჯავლი ორგანიზაციების დახმარებით მათ უნდა განახორციელონ სპეციფიური ღონისძიებები, ადგილობრივ, ეროვნულ და რეგიონალურ დონეებზე.

რადგანაც ოჯახთან დაკავშირებული პრობლემები ძირითადად განეკუთვნება სოციალურ სფეროს, ამ წელს თავმოყრილი იქნება რამდენიმე ისეთი სოციალური საკითხი, რომლებიც უწინ ცალ-ცალკე განიხილებოდა. ეს საკითხები ეხება მოსახლეობის, მოხუცებულობის, შრომის უუნარობისა და ახალგაზრდობის პრობლემებს.

ამ წელს მსოფლიოს ქვეყნები მიზნად ისახავენ გაატარონ კარგად მოფიქრებული ეროვნული სტრატეგია ოჯახების საკეთილდღეოდ, რაც აგრეთვე ითვალისწინებს ოჯახთან დაკავშირებული კანონმდებლობის და სოციალური პოლიტიკის შექმნას, მით უმეტეს, რომ ბევრი არსებული ეროვნული პოლიტიკა და პროგრამები ემყარება მოძველებულ კონცეფციებსა და ოჯახის მოდელებს. ქვეყნებს მიეცემა შესაძლებლობა გადასინჯონ შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობა და გაარკვიონ მისი რეალური და პოტენციური ვაკუენა ოჯახებზე. დროთა განმავლობაში ჩამოყალიბდა ცოლ-ქმრული ურთიერთობების ახალი მოდელი, რომელიც საშუალებას აძლევს მამაკაცს უფრო აქტიური მონაწილეობა მიიღოს ბავშვის აღზრდასა და განვითარებაში, ხოლო ქალს — მეტი დრო დაუთმოს განათლებასა და მუშაობას, რისთვისაც 1994 წელს შემუშავდება ახალი რეკომენდაციები. ამისათვის საჭირო იქნება ოჯახური სიტუაციების შესწავლა, არსებული მომსახურების შეფასება და დაუკმაყოფილებელი მოთხოვნების დადგენა.

1994 წელი საშუალებას მისცემს ხალხს ზეგავლენა მოახდინოს მთავრობის პოლიტიკაზე ადგილობრივ, ეროვნულ და რეგიონალურ დონეებზე. გენერალურმა მდიანმა მალტის ფორუმზე აღნიშნა: „არასამთავრობო ორგანიზაციების ფორუმი, მიძღვნილი ოჯახის საერთაშორისო წლისადმი, ჯეროვან პატივს მიაგებს ოჯახებს, ფართო მასების დონეზე, რომლებშიც ასახულია სოციალური და განვითარებადი გარემოს ძლიერი და სუსტი მხარეები“. იმისათვის, რომ ეს წელი ნაყოფიერი იყოს, საჭიროა თვით ოჯახების მხარდაჭერა და მონაწილეობა.

100-ზე მეტ ქვეყანაში შეიქმნა ეროვნული საკოორდინაციო ორგანო, 90-ზე მეტ ქვეყანაში მიმდინარეობს ეროვნული პროგრამების შემუშავება, ხოლო 94-მა მთავრობამ დანიშნა კოორდინატორები ოჯახის საერთაშორისო წელთან დაკავშირებით. რამდენიმე ქვეყანაში უკვე გამოიკვეთა ის საკითხები, რომლებსაც უნდა მიენიჭოთ უპირატესობა, დაწყებულია ეროვნული პროგრამების განხორციელება და საინფორმაციო კამპანიები.

გენერალურმა ასამბლეამ მოიწვია არასამთავრობო ორგანიზაციები, რათა მათ გაეროსთან თანამშრომლობით, ყველა ღონე იხმარონ ოჯახის საერთაშორისო წლისათვის მოსამზადებლად.

ოჯახის საერთაშორისო წელთან დაკავშირებულ საქმიანობაში ჩაბმულია გაეროს სისტემის სულ ცოტა 34 ორგანიზაცია. თანამშრომლობის დროს დიდა ყურადღება ეთმობა ინფორმაციის გაცვლას პროგრამების შემუშავებასა და ხალხისათვის მათ გაცნობას. მაგალითად ასეთი პროგრამებია: ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვა, ლტოლვილთა დახმარება, ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლა.

გაეროს ლტოლვილთა დახმარების უმაღლესი კომისარიატის წარმომადგენლობა საქართველოში.

**საქართველოს პარლამენტის დადგენილება აფხაზეთის
ავტონომიურ რესპუბლიკაში აპარტიდული და რასისტული
საკანონმდებლო კრავტივის შესახებ**

აფხაზი სეპარატისტები, მათთან ალიანსში მყოფი გარეშე რეაქციული ძალები და დაქირავებულები, რომლებიც აფხაზეთის რეგიონში ძალადობით დაეუფლნენ სუვერენული საქართველოს ტერიტორიას, ცივილიზებული მსოფლიოს თვალწინ აგრძელებენ თანამედროვეობისათვის უპრეცედენტო ეთნიკურ წმენდას, მშვიდობიანი ქართველი მოსახლეობის ულექტას. გრძელდება ასიათასობით ადამიანის ლტოლვილებად და ხიზნებად გადაქცევის პროცესი, ხორციელდება გენოციდის სრულმასშტაბიანი პოლიტიკა.

ხელყოფილია საერთაშორისო სამართლის პრინციპები, საქართველოს კანონმდებლობა, ადამიანის უფლებათა საყოველთაოდ აღიარებული ელემენტარული ნორმები.

აღნიშნული ტრაგიკული შედეგები მნიშვნელოვნად განაპირობა აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პოლიტიკამ საკანონმდებლო საქმიანობის ხაზით. ხელისუფლების ეს ორგანო, რომელიც მოწოდებული იყო თანაბრად დაეცვა ავტონომიურ რესპუბლიკაში მცხოვრები ყველა ერის ინტერესები, ფაქტობრივად აფხაზური ფაშიზმის იურიდიულ ინსტრუმენტად, აპარტიდის, რასიზმისა და გენოციდის პოლიტიკურ ბერკეტად გადაიქცა.

ამ უმძიმეს მოვლენებს სამართლებრივი ბიძგი მისცა აფხაზეთის ასსრ 1991 წლის 9 ივლისის კანონმა „აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების შესახებ“ (1991 წლის 27 აგვისტოს ცვლილებებით).

აღნიშნული კანონი აფხაზი ეროვნების წარმომადგენლებს, რომლებიც ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის მხოლოდ 18 პროცენტს შეადგენენ, სხვა ერებთან შედარებით საპარლამენტო უმრავლესობის გარანტიას აძლევდა -- 28 ადგილს, მკვიდრ ქართველებს -- მოსახლეობის 47,6 პროცენტს -- 26 ადგილს, ხოლო დანარჩენ ეროვნულ უმცირესობას -- 11 ადგილს.

საარჩევნო კანონის მითითებული ნორმა აშკარად ეწინააღმდეგება „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის“ (1948 წ.) მე-2 მე-7 და 21-ე მუხლების, „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტის (1966 წ.) მე-2, 25-ე და 26-ე მუხლების და სხვა საერთაშორისო-სამართლებრივი დოკუმენტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, რომლებიც განსაზღვრავენ კანონის წინაშე ყველა ადამიანის თანასწორობას, უფლებათა და თავისუფლებათა თანაბარფლობას, საყოველთაო და თანასწორი საარჩევნო უფლების საფუძველზე არჩევნებში და სახელმწიფოს მართვაში ადამიანის მონაწილეობის შესაძლებლობას მისი ეროვნული კუთვნილების და სხვა ნიშნების მიუხედავად.

ეროვნული ნიშნის მიხედვით ადამიანის პოლიტიკურ უფლებათა შეზღუდვის დაწესებამ უპრეცედენტო დისკრიმინაციულ მდგომარეობაში ჩააყენა აფხაზეთში მცხოვრები მკვიდრი ქართველი მოსახლეობა, რომელიც მოსახლეობის თითქმის ნახვარს შეადგენს, აგრეთვე რუსები, სომხები, ბერძნები და სხვა ეროვნული უმცირესობანი და რასობრივი დისკრიმინაციის ფორმა მიიღო.

„რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ“ 1966

წლის 7 მარტის საერთაშორისო კონვენციის პირველი მუხლი „რასობრივი დისკრიმინაციად“ მიიჩნევა ნებისმიერ განსხვავებას, გამონაკლისს, შეზღუდვას ან უპირატესობას რასის, კანის ფერის, წარმოშობის, ეროვნული ან ეთნიკური ნიშნის მიხედვით, რომელთა მიზანია პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული ან საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა ნებისმიერ სფეროში თანასწორობის საფუძველზე ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების აღიარების, გამოყენებისა და განხორციელების გაუქმება ან შელახვა.

უფრო მეტი, ანტიქართული, ანტისახელმწიფოებრივი პოლიტიკის გატარება მიზნობრივად განხორციელდა თვით აფხაზეთის კონსტიტუციის უხეში დარღვევის გზითაც. კონსტიტუციით აფხაზეთის ასსრ სამართლებრივი სტატუსის საკითხებზე კანონებისა და სხვა აქტების მიღება ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილებებთან დაკავშირებულ საკითხებზე, რეფერენდუმის ჩატარების და უმაღლესი თანამდებობის პირების, აგრეთვე შესაბამისი ორგანოების არჩევის თუ დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილებების მიღება უნდა განხორციელებულიყო აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა ხმების საერთო რაოდენობის ორი მესამედით.

მიუხედავად ამისა აფხაზეთის ასსრ ხელმძღვანელობამ აფხაზეთის სახელმწიფო სუვერენიტეტის შესახებ უკანონოდ გამოცხადებული დეკლარაციის მოშველიებით თანმიმდევრულად დაიწყო საკანონმდებლო და ორგანიზაციული ღონისძიებების გატარება, რომელთა საბოლოო მიზანი იყო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა და აფხაზეთის საქართველოს შემადგენლობიდან გასვლა.

სეპარატისტულმა პოლიტიკამ და ანტიკონსტიტუციურმა მოქმედებამ ქართველი დეპუტატები, ასევე ეროვნულ უმცირესობათა დეპუტატების ნაწილი აიძულა დაეტოვებინათ უმაღლესი საბჭო. ამის შედეგად ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლესი ორგანო — უმაღლესი საბჭო და მისი პრეზიდიუმი მონოეთნიკურ ფორმირებად გადაიქცნენ.

პრეზიდიუმი რომლის წევრთა უმრავლესობას შეადგენდნენ აფხაზები, ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის 103-ე მუხლის დარღვევით ახორციელებდა ფაქტობრივ საკანონმდებლო საქმიანობას, რის უფლებაც მას არ ჰქონდა.

მაგალითად, პრეზიდიუმის დადგენილებით 1991–92 წლებში მიიღეს ნორმატიული აქტები, რომლითაც საქართველოს რესპუბლიკის მთელი რიგი კანონები აფხაზეთის ტერიტორიაზე გამოცხადებულ იქნა იურიდიული ძალის არმქონედ. ასეთივე ანტიკონსტიტუციური წესით შეიქმნა აფხაზეთის ე. წ. საბაჟო სამსახური, პროკურატურა და შინაგან საქმეთა სამინისტრო კი აფხაზეთის იურისდიქციას დაექვემდებარა. პრეზიდიუმმა თავის ხელში აიღო საკადრო საკითხების გადაწყვეტაც, შემოიღეს აფხაზეთის ტერიტორიაზე მოქალაქეთა ჩაწერის დროებითი აკრძალვის ნორმები, უფრო მეტიც, დაწესდა საბაჟო საზღვარი და განისაზღვრა სამსახურებრივ საქმეებზე აფხაზეთის რესპუბლიკიდან საზღვარგარეთ მოქალაქეთა გასვლის წესი. კონფლიქტის გაჩაღებაში დენტის როლი შეასრულა პრეზიდიუმისა და პირადად მისი თავმჯდომარის უშუალო დაქვემდებარებაში უკანონო შეიარაღებული ნაწილების შექმნამ.

მოახდინეს რა ხელისუფლების უზურპაცია, შოვინიზმით განმსჭვალულნი აფხაზმა კანონმდებლებმა 1992 წლის 24 ივლისს მიიღეს გადაწყვეტილება, რომლის თანახმად წყდებოდა აფხაზეთის ასსრ 1978 წლის კონსტიტუციის მოქმედება და აღადგინეს 1925 წლის აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუცია მაშინ, როდესაც 1925 წელს არავითარი ამგვარი

საკანონმდებლო აქტი არ მიღებულა. იმ დროს არსებობდა მხოლოდ ასეთი დოკუმენტის პროექტი. უგულვებელყვეს ელემენტარული კონსტიტუციური პრინციპი, რომლის შესაბამისად ამგვარი გადაწყვეტილების მიღებას დეპუტატთა ხმების ორი ზესამედი სჭირდებოდა.

საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები, ერთიანი საკანონმდებლო უზრუნველყოფის ორგანიზების მიზნით, შესაბამისად აუქმებდნენ, აჩერებდნენ ან აურიდიული ძალის არმქონედ აცხადებდნენ ამგვარ ანტიკუმანურ, ანტიდემოკრატიულ აქტებს, რომელთა მიზანი იყო აპარტიდის ოფიციალური დაკანონება, აფხაზთა ბატონობა რესპუბლიკაში მცხოვრებ სხვა ერებზე.

ფაქტობრივად აფხაზ პოლიტიკურ ლიდერთა ამგვარი საკანონმდებლო საქმიანობით ჩადენილია დანაშაული მშვიდობისა და კაცობრიობის წინააღმდეგ აპარტიდის სახით, რაც განიხილება რასიზმის უკიდურეს ფორმად და 1974 წლის შესაბამისი კონვენციის მე-2 მუხლის თანახმად ნიშნავს ისეთ პოლიტიკას და პრაქტიკას, მათ შორის საკანონმდებლო ხასიათის ზომებს, რომელთა მიზანია ერთი რომელიმე ჯგუფის ადამიანთა სხვა ჯგუფზე ბატონობის დამყარება და შენარჩუნება.

აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პოლიტიკოსთა ექსტრემისტული დაჯგუფების უკანონო, ანტიკონსტიტუციური მოქმედება მათ შორის თვით აფხაზეთის კონსტიტუციის ხელყოფა, ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებათა უხეში დარღვევა, პლანეტის მასშტაბით უპრეცედენტო რასობრივი დისკრიმინაცია და აპარტიდის პოლიტიკა არ შეიძლება დარჩეს მწვავე რეაგირებისა და სამართლებრივი შეფასების გარეშე როგორც საქართველოს ხელისუფლების, ასევე მსოფლიო თანამეგობრობის მხრიდან.

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. საერთაშორისო სამართლის იმპერატიული პრინციპებისა და „სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის აგრეთვე მე-7 მუხლის ბოლო აბზაცის შესაბამისად გაუქმდეს აფხაზეთის ასსრ 1991 წლის 9 ივლისის კანონი „აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების შესახებ“ (1991 წლის 27 აგვისტოს ცვლილებებით).

2. დათხოვნილ იქნეს აღნიშნული კანონის საფუძველზე არჩეული აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭო.

3. აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს წევრებს მოეხსნათ სადეპუტატო იმუნიტეტი.

4. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურას სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს ის ყოფილი დეპუტატები, რომლებმაც ჩაიდინეს დანაშაული მშვიდობისა და კაცობრიობის წინააღმდეგ.

5. აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს მიენიჭოს დროებით ევაკუირებული ორგანოს სტატუსი; შესაბამისი საკანონმდებლო აქტების მიღებისა და აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში ახალი არჩევნების ჩატარებამდე მან განახორციელოს აფხაზეთის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს ფუნქციები.

6. იურიდიული ძალის არმქონეა ყველა საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე აქტი, რომლებიც ეწინააღმდეგება საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობას და მიღებულია სეპარატისტთა დაჯგუფების კონტროლს დაქვემდებარებული ან მათთან ალიანსში მყოფი სტრუქტურების მიერ.

7. ბათილია ყველა გადაწყვეტილება, აგრეთვე სამოქალაქო-სამართლებრივი გარიგება, რომლებიც არღვევენ მოქალაქის, იურიდიული პირის სახელმწიფოს საკუთრების და სარგებლობის უფლებას აფხაზეთის ტერიტორიაზე.

8. პირები, რომლებიც უკანონოდ შემოვიდნენ აფხაზეთის ტერიტორიაზე, ჩაეწერნენ, დაეპატრონენ საცხოვრებელ ფართს, მიწის ნაკვეთს, სხვა მატერიალურ ფასეულობას არიან უკანონო მიგრანტები და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად რესპუბლიკიდან ნებაყოფლობით გაუსვლელია შემთხვევაში გაძევებული იქნებიან.

9. უცხოელები, რომლებიც საქართველოს წინააღმდეგ მონაწილეობენ საბრძოლო მოქმედებებში, როგორც მშვიდობისა და ადამიანის წინააღმდეგ მიმართული სამხედრო დანაშაულის სუბიექტები, პასუხს აგებენ სისხლის სამართლის კანონის მთელი სიმკაცრით.

საერთაშორისო სამართლის თანახმად ამ პირებზე არ გავრცელდება ხანდაზმულობისა და თავშესაფრის მინიჭების უფლება და რომელ ქვეყანაშიც არ უნდა იმყოფებოდნენ, ისინი გადმოეცემათ საქართველოს ხელისუფლებას დასასჯელად.

10. საქართველოს პარლამენტი რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობის და პოლიტიკური სუვერენიტეტის დარღვევად, ქვეყნის შინაურ საქმეებში უხეშ ჩარევად მიიჩნევს ნებისმიერ ფინანსურ თუ მატერიალურ-ტექნიკურ დახმარებას აფხაზი სეპარატისტებისათვის და არ კისრულობს არავითარ პასუხისმგებლობას წარმოშობილ ვალდებულებებზე.

11. ეთხოვოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას აფხაზეთის რეგიონში გენოციდის მასობრივი ფაქტების ადგილზე შესწავლისა და საერთაშორისო ტრიბუნალისათვის მასალების მოსამზადებლად საქართველოში მოავლინოს წარმომადგენლები.

საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე ვ. რჩაულიშვილი
თბილისი, 1994 წლის 10 მარტი.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი სახელმწიფო იარაღის შესახებ

თავი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. ცეცხლსასროლი იარაღის ცნება, სახეობანი და დანიშნულება

ცეცხლსასროლია იარაღი, რომელშიც ჭურვი ბიძგს იღებს დენთის აირის მოქმედების შედეგად. იარაღად ჩაითვლება ნებისმიერი ტექნიკური თუ სხვა საშუალება, ხელსაწყო, მოწყობილობა, რომელიც განსაზღვრულია შეტევითი სროლის, თავდაცვის, სპორტისა და ნადირობისათვის, აგრეთვე ჭურვი და სხვა სახის ტყვია-წამალი, რომლის გამოყენება შეიძლება საბრძოლო მასალად.

ეს კანონი ადგენს შემდეგ სახეობათა და დანიშნულების ცეცხლსასროლი იარაღის (შემდგომში იარაღის) სამართლებრივ რეჟიმს:

1. სამხედრო-საბრძოლო იარაღი; 2. სამსახურებრივ-სამშატო იარაღი; 3. სანადირო იარაღი; 4. სასპორტო იარაღი; 5. ჯილდოდ მიღებული იარაღი; 6. საკოლექციო იარაღი.

იარაღისათვის კონკრეტული სახეობის მიკუთვნება ხდება იარაღის სახელმწიფო კატასტრით, რომლის შედგენის წესსა და პირობებს განსაზღვრავს ეს კანონი და საქართველოს რესპუბლიკის სხვა საკანონმდებლო აქტები.

მუხლი 2. იარაღის აღრიცხვა

საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული იარაღი, მისი დამზადების ადგილის მიუხედავად, ექვემდებარება სახელმწიფო აღრიცხვასა და რეგისტრაციას.

მუხლი 3. იარაღის დამზადება, შეკეთება, აწყობა და აღდგენა

საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე იარაღსა და საბრძოლო მასალას ამზადებენ, იარაღს აწყობენ და ძირითად ნაწილებს აწარმოებენ იურიდიული პირები სეციალური ნებართვით (ლიცენზიით), რომელსაც გასცემს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი.

იარაღის შეკეთება და აღდგენა ხორციელდება სპეციალური ნებართვით, რომელსაც გასცემს შინაგან საქმეთა სამინისტრო.

თავდაცვის სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროს და სადაზვერვო-საინფორმაციო სამსახურის სარგებლობაში არსებული იარაღის შეკეთებისა და აღდგენის წესს განსაზღვრავს ამ უწყებათა ნორმატიული აქტები.

უნებართვოდ იარაღის, მისი ძირითადი ნაწილებისა და საბრძოლო მასალის დამზადება, აწყობა, აღდგენა და შეკეთება იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 4. იარაღის ვაჭრობა

საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე იარაღისა და საბრძოლო მასალების ვაჭრობას აწარმოებენ იურიდიული პირები სპეციალური ნებართვით (ლიცენზიით), რომელსაც გასცემს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი.

მუხლი 5. უარი ნებართვის გაცემაზე

იარაღისა და საბრძოლო მასალის დამზადების, აწვობის, აღდგენისა და შეკეთების ნებართვა (ლიცენზია) არ მიეცემა პირს, თუ მას არა აქვს სათანადო ცოდნა და ვერ უზრუნველყოფს უსაფრთხოებას, აგრეთვე თვრამეტ წლამდე პირს, სულით ავადმყოფს, არაქმედუნარიან პირს, ნარკომანს და ალკოჰოლიკს, ნასამართლევ პირს (თუ მას მოხსნილი ან გაქარწყლებული არა აქვს ნასამართლობა), აგრეთვე პირს, რომლის მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე ან შინაგან საქმეთა ორგანოებში, გახსნილია სამეთვალყურეო-პროფილაქტიკური საქმე ოჯახურ ან მეზობლურ კონფლიქტებთან დაკავშირებით.

მუხლი 6. იარაღის შექენა

საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე იურიდიულ და ფიზიკურ პირებს საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ნებართვის საფუძველზე შეუძლიათ საკუთრების უფლებით შეიძინონ ამ კანონის პირველი მუხლის მე-2 ნაწილში ჩამოთვლილი მე-3, მე-4 და მე-6 სახეობის იარაღი და შესაბამისი საბრძოლო მასალა, აგრეთვე მოკლელულიანი ცეცხლსასროლი იარაღი (პისტოლეტი, რევოლვერი შენახვის უფლებით). დასაშვებია იარაღის შექენა ნებართვის გაცემიდან ერთი წლის განმავლობაში.

პირი, რომელიც ნებართვით შეიძენს იარაღს, ვალდებულია ათი დღის ვადაში რეგისტრაციაში გაატაროს იგი შინაგან საქმეთა ორგანოებში.

იარაღის შექენა ეკრძალება თვრამეტ წლამდე პირს, სულით ავადმყოფს, არაქმედუნარიანს, ნარკომანს და ალკოჰოლიკს, ნასამართლევ პირს (თუ მოხსნილი ან გაქარწყლებული არა აქვს ნასამართლობა) აგრეთვე პირს, რომლის მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე ან შინაგან საქმეთა ორგანოებში გახსნილია სამეთვალყურეო-პროფილაქტიკური საქმე ოჯახურ და მეზობლურ კონფლიქტებთან დაკავშირებით.

უცხოელ მოქალაქეს, მოქალაქეობის არმქონე პირს და იურიდიულ პირს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე იარაღის შექენის უფლება მიეცემა (ამ კანონის პირველ მუხლში ჩამოთვლილი 1-ლი და მე-2 სახეობის გარდა) მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამას ითვალისწინებს საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელშიც საქართველოს რესპუბლიკა მონაწილეობს და თუ უცხოელ მოქალაქეს აქვს იარაღის შექენის ნებართვა იმ ქვეყანაში, რომლის მოქალაქეც იგი არის.

მუხლი 7. იარაღის შენახვა

შექენილი იარაღისა და საბრძოლო მასალის შენახვის წესს და პირობებს განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი.

საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროში, შინაგან საქმეთა სამინისტროში და სადაზვერუო-საინფორმაციო სამსახურში იარაღი და საბრძოლო მასალა ინახება ამ უწყებათა ნორმატიული აქტებით დადგენილი წესით.

მუსლი 8. იარაღის მესაკუთრენი და იარაღით მოსარგებლენი

იარაღის მესაკუთრეა პირი, რომელმაც იარაღი შეიძინა ამ კანონისა და საქართველოს რესპუბლიკის სხვა საკანონმდებლო აქტების შესაბამისად.

იარაღის მოსარგებლეა პირი, რომელსაც თავისი სამსახურის ხასიათის გამო უფლება ეძლევა იქონიოს სამსახურებრივ-სამშტატო იარაღი.

მუსლი 9. იარაღის და საბრძოლო მასალის გადაზიდვა და გადაგზავნა

იარაღის მესაკუთრეს უფლება აქვს გაიტანოს იარაღი შენახვის ადგილიდან საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.

სამხედრო მოსამსახურეების, შინაგან საქმეთა ორგანოებისა და სადაზვერვო-საინფორმაციო სამსახურის იარაღის გადაზიდვის წესი განისაზღვრება საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროს და სადაზვერვო-საინფორმაციო სამსახურის ნორმატიული აქტებით.

აკრძალულია იარაღის და საბრძოლო მასალის გადაზიდვა და გადაგზავნა ფოსტით.

მუსლი 10. იარაღის ტარება და გამოყენება

იარაღის ტარების უფლება ნიშნავს მისი მოსარგებლის უფლებას თან იქონიოს იარაღი მუდმივად ან სამსახურებრივი დავალების შესრულების დროს საქართველოს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე, გარდა განსაკუთრებული რეჟიმის ადგილებისა.

იარაღის დადგენილი წესით გამოყენების უფლება აქვს იარაღით მოსარგებლეს.

იარაღის მესაკუთრეს უფლება არა აქვს თან ატაროს იარაღი, გარდა მიზნობრივი დანიშნულების სანადირო იარაღისა.

მესაკუთრეს ეკრძალება იარაღის გამოყენება, გარდა კანონით დადგენილი შემთხვევებისა.

მუსლი 11. იარაღის საკუთრებისა და სარგებლობის ნებართვის შეწყვეტა

იარაღის საკუთრებისა და სარგებლობის ნებართვა წყდება, თუ:

1. გავიდა მოსარგებლისათვის მიცემული იარაღის ტარების ნებართვის დადგენილი ვადა;
 2. შეწყდა იმ სახელმწიფო ორგანოს, საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის საქმიანობა, რომელთან დაკავშირებითაც გაცემული იყო იარაღის შეძენის, შენახვის, ტარების, გადაზიდვისა და გადაგზავნის ნებართვა, ან შეწყდა პირის შრომითი ურთიერთობა იმ საწარმოსთან, დაწესებულებასთან და ორგანიზაციასთან, რომელსაც ასეთი ნებართვა ჰქონდა;
 3. გარდაიცვალა იარაღის მფლობელი;
 4. დაირღვა იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვის, ტარების, გადაზიდვის, გადაგზავნისა და გამოყენების წესები;
 5. გაუქმდა იარაღის შენახვისა და ტარების ნებართვა;
- ამ კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუსლი 12. იარაღის ჩამორთმევა

იარაღის ჩამორთმევა ხდება იმ სახელმწიფო ორგანოს გადაწყვეტილებით რომელმაც გასცა იარაღის შეძენის, შენახვისა და ტარების ნებართვა, მე-11 მუხლში მითითებული იარაღის საკუთრების ან სარგებლობის ნებართვის შეწყვეტის საფუძვლების არსებობისას.

მუხლი 13. იარაღის კონტროლი

იარაღის დამზადებას, იარაღის ვაჭრობას, შექმნას, შენახვას, გადაზიდვას, ტარებასა და გამოყენებას კონტროლს უწევს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი, რომლის გამგებლობას განეკუთვნება:

1. სამხედრო-საბრძოლო, სამსახურებრივ-საშტატო, სასპორტო და სანადირო იარაღის დამზადების ნებართვის გაცემა;

2. სამხედრო-საბრძოლო და სამსახურებრივ-საშტატო იარაღის დამზადების, იარაღის, ვაჭრობის, შექმნის, შენახვის, ტარების და გამოყენების წესების განსაზღვრა;

3. საქართველოს რესპუბლიკაში იარაღის შემოტანის, გატანის და საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ტრანზიტის კონტროლი;

4. საქართველოს რესპუბლიკის იარაღის სახელმწიფო კადასტრის დადგენა, იარაღის აღრიცხვისა და რეგისტრაციის წესის განსაზღვრა;

5. იარაღის კონტროლის შესახებ სხვა ნორმატიული აქტების შემუშავება.

მუხლი 14. შინაგან საქმეთა ორგანოების კომპეტენცია იარაღის კონტროლის დარგში

იარაღის კონტროლის დარგში საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა ორგანოების კომპეტენციას განეკუთვნება:

1. იარაღის, მათ შორის საკოლექციო იარაღის შექმნის, შენახვის, შეკეთების და აღდგენის, ტარების, გადაზიდვისა და გადაგზავნის ნებართვის გაცემა (გარდა სამხედრო-საბრძოლო იარაღისა);

2. იურიდიული და ფიზიკური პირების საკუთრებასა და სარგებლობაში არსებული იარაღის აღრიცხვა-რეგისტრაცია;

3. ტირების, სასროლეთების, სასროლ-სანადირო სტენდების იარაღის შემკეთებელი და აღმდგენი სახელოსნოების გახსნის ნებართვის გაცემა;

4. იარაღის (გარდა სამხედრო-საბრძოლო იარაღისა) შექმნის, შენახვისა და ტარების წესების შესრულების კონტროლი;

5. იარაღის ჩამორთმევა საქართველოს რესპუბლიკის მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 15. თვითნაკეთი იარაღი

თვითნაკეთია იარაღი, რომელიც ნაწილობრივ ან მთლიანად დამზადებულია უნებართვოდ.

აკრძალულია თვითნაკეთი იარაღის რეგისტრაციაში გატარება და მასზე საკუთრებისა და სარგებლობის ნებართვის გაცემა.

თვითნაკეთი იარაღის დამამზადებელი, შემქმენი, შემნახველი, მტარებელი და გამოყენებელი პირი პასუხს აგებს საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი II

იარაღის დამამზადებლის, მესაკუთრის და მოსარგებლის უფლება-მოვალეობანი

მუხლი 16. იარაღის დამამზადებლის უფლება-მოვალეობანი

იარაღის დამამზადებელს უფლება აქვს:

1. ნებართვის საფუძველზე დაამზადოს იარაღი და მიჰყიდოს დამკვეთს ამ კანონისა და მის შესაბამისად გამოცემული საკანონმდებლო აქტების თანახმად;

2. იყოს დამზადებული იარაღის რეალიზაციით მიღებული შემოსავლის მე-საკუთრე საქართველოს რესპუბლიკის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

3. განახორციელოს საკონსტრუქტორო სამუშაოები.

იარაღის დამამზადებელი მოვალეა:

1. გამოსცადოს დამზადებული იარაღი იმის დასადგენად, თუ რამდენად შეესაბამება იგი სახელმწიფო სტანდარტებს;

2. დამზადებული იარაღი და საბრძოლო მასალა აღრიცხოს სათანადო დოკუმენტში, რომელშიც შეიტანება სამარკო ნიშანი და სააღრიცხვო ნომერი;

3. უზრუნველყოს დამზადებული იარაღისა და მისი სათანადო ნაწილების, აგრეთვე საბრძოლო მასალის და უსაფრთხოების წესების დაცვა.

მუხლი 17. იარაღის მესაკუთრის უფლება-მოვალეობანი

იარაღის მესაკუთრეს უფლება აქვს:

1. ფლობდეს, სარეგებლობდეს და განკარგავდეს შექმნილ იარაღსა და საბრძოლო მასალას ამ კანონით დადგენილი წესით;

2. მიიღოს კომპენსაცია იარაღის ნებაყოფლობით ჩაბარების ან რეკვიზიციის შემთხვევაში.

იარაღის მესაკუთრე მოვალეა:

1. აღრიცხოს, რეგისტრაციაში და ხელახალ რეგისტრაციაში გაატაროს შექმნილი იარაღი;

2. დროულად გადაიხადოს სარეგისტრაციო მოსაკრებელი;

3. დაიცვას იარაღის ტარების, გამოყენების, შენახვისა და გადაზიდვის წესი;

4. უზრუნველყოს იარაღისა და საბრძოლო მასალის დაცვა;

5. უზრუნველყოს იარაღის შენახვის ადგილებში დადგენილი წესით შინაგან საქმეთა ორგანოების თანამშრომელთა დაშვება და მათთვის საჭირო დოკუმენტაციის წარდგენა;

6. დაუყოვნებლივ აცნობოს შინაგან საქმეთა ორგანოებს იარაღისა და საბრძოლო მასალის დაკარგვა.

მუხლი 18. იარაღის მოსარგებლის უფლება-მოვალეობანი

იარაღის მოსარგებლეს უფლება აქვს:

1. შეინახოს და ატაროს იარაღი მისი მიღების პირობების შესაბამისად;

2. გამოიყენოს იარაღი საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევაში და წესით.

იარაღის მოსარგებლე ვალდებულია:

1. გამოიყენოს იარაღი მხოლოდ დანიშნულებისამებრ;

2. უზრუნველყოს იარაღისა და საბრძოლო მასალის დაცვა კანონით დადგენილი წესით.

დისლოკაციის ადგილების გარდა აკრძალულია შეიარღვეული ძალების მოსამსახურის სამხედრო-საბრძოლო იარაღით გადაადგილება სპეციალური ნებართვის გარეშე.

მუხლი 19. იარაღის დამამზადებლის მესაკუთრის და მოსარგებლის უფლებების დაცვა

იარაღის დამამზადებლის მესაკუთრისა და მოსარგებლის უფლებები შეიძლება შეწყდეს მხოლოდ ამ კანონის მე-11 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

იარაღის დამამზადებლის, მესაკუთრის და მოსარგებლის უფლებების დარღვევის გამო ღაუას წყევტს სასამართლო.

თავი III

სამხედრო-საბრძოლო იარაღი

მუხლი 20. სამხედრო-საბრძოლო იარაღის ცნება

სამხედრო-საბრძოლო იარაღი, რომელსაც დანიშნულებით იყენებენ დაკისრებული ფუნქციის შესასრულებლად საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის, შინაგან საქმეთა სამინისტროებისა და საღაზვერვო-საინფორმაციო სამსახურის, ორგანოები.

იარაღისა და საბრძოლო მასალისთვის სამხედრო-საბრძოლო იარაღის კატეგორიის მიკუთვნებას განსაზღვრავს იარაღის სახელმწიფო კადასტრი.

მუხლი 21. სამხედრო-საბრძოლო იარაღის დამზადება

სამხედრო-საბრძოლო იარაღის დამზადება ხდება საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის, შინაგან საქმეთა სამინისტროების და საღაზვერვო-საინფორმაციო სამსახურის დაკვეთით იმ საწარმოებში, რომლებსაც აქვთ შესაბამისი ნებართვა.

მუხლი 22. სამხედრო-საბრძოლო იარაღის შექმნა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა და გამოყენება

სამხედრო-საბრძოლო იარაღის შექმნა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა და გამოყენება ხდება საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის, თავდაცვისა, შინაგან საქმეთა სამინისტროებისა და საღაზვერვო-საინფორმაციო სამსახურის ნორმატიული აქტების შესაბამისად.

მუხლი 23. სამხედრო-საბრძოლო იარაღის კონტროლი

სამხედრო-საბრძოლო იარაღის დამზადებას, შექმნას შენახვას, გადაგზავნას, გადაზიდვას და გაყიდვას, საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე შემოტანას, გატანასა და საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ტრანზიტს კონტროლს უწევს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი.

თავი IV

სამსახურებრივ-საშტატო იარაღის მოსარგებლეთა უფლება-მოვალეობანი

მუხლი 24. სამსახურებრივ-საშტატო იარაღი

სამსახურებრივ-საშტატო იარაღი, რომელსაც იურიდიული პირი იყენებს იმ მუშაკთა შესაიარაღებლად, რომელთაც სამსახურის ხასიათის გამო ნებადართული აქვთ ატარონ იარაღი.

სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს სამსახურებრივ-საშტატო იარაღის ტარების უფლება აქვთ:

– საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეებს;

– საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებს;

– საქართველოს რესპუბლიკის სადაზვერვო-საინფორმაციო სამსახურის თანამშრომლებს.

იმ უწყებათა და თანამდებობათა ნუსხას, რომელთაც სამსახურებრივი საქმიანობის ხასიათის გამო შეიძლება მიეცეთ სამსახურებრივ-საშტატო იარაღი, ადგენს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი და წარუდგენს პარლამენტს დასამტკიცებლად, ხოლო გასცემს შინაგან საქმეთა სამინისტრო კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საქართველოს პარლამენტის წევრებს შეუძლიათ ჰქონდეთ, ატარონ და ისარგებლონ სამსახურებრივ-საშტატო იარაღით (გარდა ავტომატურისა). ეს უფლება მათ უნარჩუნდებათ დეპუტატის უფლებამოსილების გასვლის შემდეგაც.

მუხლი 25. სამსახურებრივ-საშტატო იარაღის ტარება

სამსახურებრივ-საშტატო იარაღი პირს მიეცემა სარგებლობაში, თუ მას აქვს ამ იარაღის ტარების ინდივიდუალური ნებართვა.

ინდივიდუალურ ნებართვას გასცემენ საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოები თავისი ნორმატიული აქტების შესაბამისად იმ უწყების შუამდგომლობის საფუძველზე რომლის მუშაკებსაც აქვთ სამსახურებრივ-საშტატო იარაღის ტარების უფლება.

მუხლი 26. სამსახურებრივ-საშტატო იარაღის გამოყენება

პირს, რომელიც სარგებლობს სამსახურებრივ-საშტატო იარაღით, უფლება აქვს გამოიყენოს იარაღი საზოგადოებრივად საშიში ხელყოფის აღსაკვეთად ან დამნაშავეს შესაპყრობად.

იარაღის გამოყენების ყველა შემთხვევა დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პროკურორს.

ამ მუხლით გათვალისწინებული უფლებების გადამეტებისათვის პირი პასუხს აგებს საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით.

მუხლი 27. სამსახურებრივ-საშტატო იარაღის დამზადება, შექმნა, შენახვა გადაზიდვა და გადაგზავნა

სამსახურებრივ-საშტატო იარაღის დამზადება, შექმნა, შენახვა, გადაზიდვა და გადაგზავნა ხდება ამ კანონისა და საქართველოს რესპუბლიკის სხვა საკანონმდებლო აქტების შესაბამისად.

თავი V

სანადირო იარაღი

მუხლი 28. სანადირო იარაღის ცნება

სანადიროა ყოველგვარი ცეცხლსასროლი გლუვკულისანი, კომბინირებული და კუთვნილი იარაღი, რომელსაც იძენს იურიდიული და ფიზიკური პირი სარეწაო, სასპორტო-სამოყვარულო და სამეცნიერო ნადირობისათვის და რომლის საცეცხლე სიმძლავრე არ სცილდება ამ მიზნის ფარგლებს.

მუსლი 29. სანადირო იარაღის დამზადება

სანადირო იარაღი მზადდება ამ კანონის მე-3 მუხლის და საქართველოს რესპუბლიკის სხვა საკანონმდებლო აქტების შესაბამისად.

მუსლი 30. სანადირო იარაღის შექმნა, შენახვა, ტარება, გადაზიდვა და გადაგზავნა.

სანადირო იარაღის შექმნის უფლება აქვს საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეს შინაგან საქმეთა ორგანოების ნებართვით.

სანადირო იარაღის ტარებისა და შენახვის ნებართვა არ მიეცემათ ამ კანონის მე-6 მუხლის შესამე ნაწილში ჩამოთვლილ პირებს.

უცხოელი მოქალაქენი სანადირო იარაღს იძენენ ამ კანონის მე-6 მუხლის მეოთხე ნაწილით გათვალისწინებული წესით.

სანადირო იარაღის შექმნის, შენახვის, ტარების, გადაზიდვისა და გადაგზავნის წესებს განსაზღვრავს ეს კანონი და საქართველოს რესპუბლიკის სხვა საკანონმდებლო აქტები.

მუსლი 31. სანადირო იარაღის გამოყენება

სანადირო იარაღის მესაკუთრეს და მოსარგებლეს უფლება აქვს ეს იარაღი გამოიყენოს მხოლოდ სარეწაო, სასპორტო-სამოყვარულო და სამეცნიერო ნადირობისათვის.

სანადირო იარაღის გამოყენების წესს ადგენს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი.

მუსლი 32. სანადირო იარაღთან დაკავშირებული სამოქალაქო-სამართლებრივი გარიგებანი

სანადირო იარაღის მესაკუთრეს აქვს სანადირო იარაღის გასხვისების უფლება ამ კანონით დადგენილი წესით. გასხვისების შემთხვევაში, იარაღის შექმნი პირი ვალდებულია იარაღი ხელახლა გაატაროს რეგისტრაციაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.


იარაღის მესაკუთრის გარდაცვალებისას მემკვიდრეობის საკითხი გადაწყდება საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით. სანადირო იარაღთან დაკავშირებული სამოქალაქო-სამართლებრივი გარიგებანი რეგულირდება ამ კანონით, სამოქალაქო კანონმდებლობით და საქართველოს რესპუბლიკის სხვა საკანონმდებლო აქტებით.

თავი VI

სასპორტო იარაღი

მუსლი 33. სასპორტო იარაღის ცნება

სასპორტოა იარაღი, რომელიც შეესაბამება საერთაშორისო და ეროვნული სპორტული ფედერაციების სტანდარტებსა და განკუთვნილია სპორტსმენების მოსამზადებლად, მათ მიერ საკვალიფიკაციო ნორმატივების შესასრულებლად და სპორტულ შეჯიბრებაში მონაწილეობისათვის.



მუხლი 34. სასპორტო იარაღის წარმოება, გამოყენება, შექმნა, შენახვა, გადაზიდვა და გადაგზავნა

სასპორტო იარაღის წარმოება, შექმნა, შენახვა, გადაზიდვა და გადაგზავნა ხდება ამ კანონის და საქართველოს რესპუბლიკის სხვა საკანონმდებლო აქტების შესაბამისად.

სასპორტო იარაღის გამოყენება შეიძლება მხოლოდ მიზნობრივი დანიშნულებით სპეციალურად მოწყობილი სპორტული ობიექტების ტერიტორიაზე.

თავი VII

ჯილდოდ მიღებული იარაღი

მუხლი 35. ჯილდოდ მიღებული იარაღი

ჯილდოდ მიღებულია იარაღი, რომელიც წახალისების წესით გადაცემა პირს განსაკუთრებული საბრძოლო სამსახურებრივი და სპორტული დამსახურებისათვის. აკრძალულია ავტომატური იარაღის ჯილდოდ გადაცემა.

იარაღით პირის დაჯილდოების უფლება აქვთ საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს, თავდაცვის მინისტრს, შინაგან საქმეთა მინისტრს, სადაზვერვო-საინფორმაციო სამსახურის უფროსს და სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარეს (სპორტული იარაღით).

იარაღით დაჯილდოების წესს განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი და ამტკიცებს სახელმწიფოს მეთაური.

მუხლი 36. ჯილდოდ მიღებული იარაღის შენახვა, ტარება და გამოყენება

ჯილდოდ მიღებული იარაღის რეგისტრაცია ხდება შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ დადგენილი წესით, ხოლო შენახვა, ტარება და გამოყენება — ამ კანონისა და სხვა საკანონმდებლო აქტების შესაბამისად.

თავი VIII

საკოლექციო იარაღი

მუხლი 37. საკოლექციო იარაღის ცნება

საკოლექციოა იარაღი რომელიც საექსპერტო კომისიის დასკვნით წარმოადგენს სამეცნიერო, ისტორიულ, მხატვრულ ღირებულებას და რომლის შენახვის უფლება აქვთ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს და რომლის დანიშნულებაც კოლექციის ფორმირება და ექსპონირება.

საკოლექციო იარაღი ექვემდებარება აუცილებელ სახელმწიფო რეგისტრაციას.

საკოლექციო იარაღის საექსპერტო შეფასებისა და მისი რეგისტრაციის წესს ადგენს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი.

20611

საქართველო
პარლამენტი
პრეზიდიუმი



მუხლი 38. საკოლექციო იარაღის დამზადება, შექმნა, შენახვა, გადაზიდვა და გამოყენება

საკოლექციო იარაღის დამზადება, შექმნა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა და გამოყენება ხდება ამ კანონისა და საქართველოს რესპუბლიკის სხვა საკანონმდებლო აქტების შესაბამისად.

მუხლი 39. საკოლექციო იარაღთან დაკავშირებული გარიგებანი

საკოლექციო იარაღის მესაკუთრეს უფლება აქვს გაასხვისოს იარაღი იმ პირობებში, რომელსაც აქვს საკოლექციო იარაღის შენახვის უფლება იმ წესითა და პირობებით, რომლებსაც ადგენენ საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრო და კულტურის სამინისტრო.

თავი IX

იარაღის სახელმწიფო კადასტრი

მუხლი 40. იარაღის სახელმწიფო კადასტრი

იარაღის სახელმწიფო კადასტრის მიზანია იარაღის სახეობათა სისტემატიზებული ნუსხის შედგენა, იარაღის ძირითად ტაქტიკურ-ტექნიკური მონაცემების მითითება და მისი სახელმწიფო სტანდარტების დადგენა.

სახელმწიფო კადასტრის დანიშნულებაა იარაღის კონკრეტული ნიმუშების იარაღის სახეობისადმი მიკუთვნება, იარაღის დამზადების, გაყიდვის, მესაკუთრეობისა და სარეგებლობის წესებისადმი კონტროლის მიზნით.

მუხლი 41. საქართველოს რესპუბლიკის იარაღის სახელმწიფო კადასტრის შინაარსი და შედგენის წესი

იარაღის სახელმწიფო კადასტრი შედგება ორი ნაწილისაგან. პირველი ნაწილი მოიცავს სამხედრო-საბრძოლო იარაღის ნიმუშებს, რომელთა შესახებ ცნობები სახელმწიფო ან სამსახურებრივი საიდუმლოებაა. ასეთი იარაღის საიდუმლოების ხარისხს განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი.

მეორე ნაწილი მოიცავს იმ იარაღის ნიმუშებს, რომელთა შესახებ ცნობები გასაიდუმლოებული არ არის.

იარაღის სახელმწიფო კადასტრის შედგენის წესს ადგენს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი.

თავი X

იარაღის გამო დავის გადაწყვეტა და იარაღის შესახებ კანონმდებლობის დარღვევისათვის პასუხისმგებლობა

მუხლი 42. იარაღის გამო დავის გადაწყვეტა

იარაღის მესაკუთრეობისა და სარეგებლობის, იარაღის ტარების ნებართვის მიცემაზე უარის ან იარაღის ჩამორთმევის გამო დავა გადაწყდება სასამართლო წესით, საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად.



მუხლი 43. პასუხისმგებლობა იარაღის შესახებ კანონმდებლობის დარღვევისათვის

ამ კანონისა და საქართველოს რესპუბლიკის სხვა საკანონმდებლო აქტების დარღვევით დაღუპული გარიგებანი იარაღის გასხვისების შესახებ ბათილია.

პირებს, რომელთაც ბრალი მიუძღვით იარაღის, მისი ძირითადი ნაწილებისა და საბრძოლო მასალების დამზადების, აღდგენის, აწყობის და შეკეთების, გაყიდვის, შეძენის, გადაზიდვის, გადაგზავნის, ტარებისა და გამოყენების წესების დარღვევაში, ეკისრებათ სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 44. საქართველოს რესპუბლიკაში იარაღის შემოტანა, გატანა და საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ტრანზიტი

საქართველოს რესპუბლიკაში იარაღის შემოტანის, გატანის და საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ტრანზიტის წესებს ადგენს საერთაშორისო ხელშეკრულებანი და საქართველოს რესპუბლიკის სხვა საკანონმდებლო აქტები.

**საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე –
სახელმწიფოს მეთაური ელშარდ შივარდნაძე.**

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გომიზაძე.

თბილისი. 1994 წლის 15 მარტი.

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს
პლენუმის დადგენილება საზოგადოებრივი წესრიგის
დამცველი პოლიციის მუშაკის სიცოცხლის
საფრთხის საქმეზე**

1993 წლის 22 დეკემბერი

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პლენუმი, რომელმაც განიხილა სასამართლო პრაქტიკა საზოგადოებრივი წესრიგის დამცველი პოლიციის მუშაკის სიცოცხლის ხელყოფის საქმეებზე, აღნიშნავს, რომ სასამართლოები ძირითადად სწორად წვეტენ ამ კატეგორიის საქმეებს. ამასთან, ჯერ კიდევ შეიმჩნევა ცალკეული შეცდომები და ნაკლოვანებები. კერძოდ: არაერთგვაროვნად წყდება საკითხი იმის თაობაზე, თუ რა შემთხვევებს გულისხმობს პოლიციის მუშაკის სიცოცხლის ხელყოფა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით; როგორც წესი, უგულებელყოფილია ის გარემოება, რომ სსკ 209¹ მუხლი ორი ნაწილისაგან შედგება; ქმედებას სსკ 209¹ მუხლით აკვალიფიცირებენ, ამ მუხლის შესაბამის ნაწილზე მითითების გარეშე, რაც არსებითად მცდარია. ზოგჯერ უსწოროდ წყდება დანაშაულთა ერთობლიობასთან დაკავშირებული საკითხები, ზოგიერთი სასამართლო ვერ ადგენს დანაშაულის მოქმედების მიტივს, რაც განაპირობებს დანაშაულის არასწორ კვალიფიკაციას; ყოველთვის არ ირკვევენ, მოქმედებდა თუ არა პოლიციის მუშაკი თავისი რწმუნების შესაბამისად და კანონით დადგენილი წესის დაცვით.

არის შემთხვევები, როცა სასამართლოები სრულყოფილად არ იხილავენ ბრალეულობის საკითხებს; განსასჯელებს ყოველთვის სწორად არ ენიშნებათ სასჯელი.

სასამართლოები ჯეროვან ყურადღებას არ უთმობენ დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობი მიზეზებისა და პირობების გამოვლენას; სათანადო ზომებს არ სახავენ მათი აღმოფხვრის მიზნით.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პლენუმი

ა დ გ ე ნ ს:

1. პოლიციის მუშაკის სიცოცხლის ხელყოფის საქმეების განხილვით სასამართლოებმა ყოველმხრივ უნდა შეუწყონ ხელი საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით საქართველოს რესპუბლიკის შს სამინისტროს პოლიციის თანამშრომელთა სიცოცხლის ქმედით სამართლებრივ დაცვას.

2. სსკ 209¹ მუხლით პასუხისმგებლობის აუცილებელი პირობაა, რომ პოლიციის მუშაკი ნებისმიერი სამსახურებრივი ფუნქციის შესასრულებლად კი არ მოქმედებდეს, არამედ უშუალოდ საზოგადოებრივ წესრიგს იცავდეს.

თუ საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად დადგენილი წესით გამოყენებული იქნება შინაგან საქმეთა სამინისტროს არასაპოლიციო სამსახურის თანამშრო

მლები (საგამოძიებო, საექსპერტო-კრიმინალისტიკურ დაწესებულებათა თანამშრომლები, შინაგანი ჯარის სამხედრო მოსამსახურეები და სხვ), პოლიციის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონის მე-17 მუხლის მიხედვით, მათზე გავრცელდება პოლიციის მუშაკთა სამართლებრივი დაცვის გარანტიები. ამიტომ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისას მათი სიცოცხლის ხელყოფა დაკვალიფიცირდება სსკ 209¹ მუხლით.

3. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვად ჩაითვლება საგუშაგო და საპატრულო სამსახური ქუჩებში და საზოგადოების თავშეყრის ადგილებში, წესრიგის დაცვა დემონსტრაციების, მიტინგების, სპორტული სანახაობების და სხვა მასობრივი ღონისძიებების ჩატარებისას, ავარიის შედეგებისა და სტიქიურ უბედურებათა ლიკვიდაცია, სამართალდარღვევების თავიდან აცილება ან აღკვეთა; სამართალდამრღვევის დაკავება და სხვა მოქმედებანი, რაც გათვალისწინებულია საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად საქართველოს რესპუბლიკის კანონით პოლიციის შესახებ.

4. სსკ 209¹ მუხლით გათვალისწინებული დანაშაული გულისხმობს, რომ ხელყოფა მიმართულია სწორედ პოლიციის მუშაკის სიცოცხლის მოსპობისკენ. პოლიციის მუშაკის სხეულის დაზიანებაზე მიმართული ხელყოფა, მის მიერ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით, არ წარმოადგენს სსკ 209¹ მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულს.

5. იმისათვის, რომ დანაშაული დამთავრებულად ჩაითვალოს, მნიშვნელობა არა აქვს დანაშაულის შედეგის დადგომას და შესაბამისად, შედეგის გარეშე ქმედების კვალიფიკაციისას სსკ მე-17 მუხლზე მითითება საჭირო არ არის.

6. სსკ 209¹ მუხლით პასუხისმგებლობა უკავშირდება მხოლოდ იმ შემთხვევებს, როცა პირის ქმედება მიმართულია საზოგადოებრივი წესრიგის დამცველი პოლიციის მუშაკის მართლზომიერი ქცევის საწინააღმდეგოდ. თუ ქმედება მიმართულია პოლიციის მუშაკის არამართლზომიერი ქცევის წინააღმდეგ, იგი განიხილება როგორც პიროვნების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული (იგულისხმება შემთხვევები, როცა ქმედება გასცდა პასუხისმგებლობის გამომრიცხავი გარემოებების ფარგლებს). ამიტომ საჭიროა ყველა შემთხვევაში დადგინდეს, მოქმედებდა თუ არა პოლიციის მუშაკი თავისი რწმუნების შესაბამისად და პოლიციის შესახებ კანონის მოთხოვნათა დაცვით.

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისას პოლიციის მუშაკის მიერ მოქალაქეთათვის ზიანის მიყენება მართლზომიერად ითვლება, თუ მისი მოქმედება შეესაბამება კანონსა და სხვა ნორმატიულ აქტებს, რომლებითაც გათვალისწინებულია ფიზიკური იძულების, სპეცსაშუალებების და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების საფუძვლები და წესები.

7. დანაშაულის კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს, პოლიციელის საქმიანობა ხორციელდებოდა სიცოცხლის ხელყოფის მომენტში, ხელყოფამდე, თუ მომავალში უნდა განხორციელდებოდეს. კვალიფიკაციისათვის არც იმასა აქვს მნიშვნელობა, შეეხებოდა თუ არა საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად პოლიციის მუშაკის საქმიანობა უშუალოდ დამნაშავეს, მის ახლობლებს თუ გარეშე პირებს. ყველა ამ შემთხვევაში მისი სიცოცხლის ხელყოფა სსკ 209¹ მუხლით უნდა დაკვალიფიცირდეს.

8. სისხლის სამართლის კოდექსის 209¹ მუხლი ორი ნაწილისაგან შედგება. ამიტომ ქმედების კვალიფიკაციისას აუცილებელია შესაბამის ნაწილზე მითითება.



9. თუ პოლიციის მუშაკის სიცოცხლის ხელყოფას წინ უძღვის ან თანადასწრებლად მისთვის წინააღმდეგობის გაწევა ან შეურაცხყოფა, საჭირო აღარ არის, ქმედების დამატებითი კვალიფიკაცია სსკ 207¹ და 208¹ მუხლებით, რადგან ყველა ეს ქმედება განიხილება, როგორც სსკ 209¹ მუხლით გათვალისწინებული ერთიანი დანაშაულის ელემენტები. ასეთი ქმედებანი დაკვალიფიცირდება როგორც რამდენიმე დანაშაულის ერთობლიობა მხოლოდ მაშინ, როდესაც ისინი ჩადენილი იყო სხვადასხვა დროს და არ იყო მოცული ერთიანი განზრახვით.

თუ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებით პოლიციის მუშაკის სიცოცხლის ხელყოფას წინ უძღვის ან თანადასწრებლად მისთვის წინააღმდეგობის გაწევა ან შეურაცხყოფა, საჭირო აღარ არის, ქმედების დამატებითი კვალიფიკაცია სსკ 209¹ და 228-ე მუხლების ერთობლიობით.

10. თუ პოლიციის მუშაკის სიცოცხლის ხელყოფა მოხდა ბანდიტური თავდასხმის დროს, დანაშაული უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ 78-ე და 209¹ მუხლების ერთობლიობით.

11. სსკ 17, 209¹ და პიროვნების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისათვის განკუთვნილი შესაბამისი მუხლებით უნდა დაკვალიფიცირდეს ისეთი შემთხვევები, როდესაც ხელყოფა ობიექტურად მიმართული იყო კერძო პირის საწინააღმდეგოდ, მაგრამ ბოროტმოქმედს ეგონა, რომ პოლიციის მუშაკის სიცოცხლეს ხელყოფდა. თუ დამნაშავე ფიქრობდა, რომ ხელყოფა რომელიმე პოლიციის მუშაკის სიცოცხლეს, მაგრამ აღმოჩნდება, რომ მსხვერპლი სხვა პოლიციელია, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ 209¹ მუხლით. იმ შემთხვევაში, კი როდესაც ბოროტმოქმედმა რეალურად პოლიციის მუშაკის სიცოცხლე ხელყო, მაგრამ, ამა თუ ამ გარემოების გამო, შეცდომით მიიჩნია, რომ მისი მსხვერპლა კერძო პირია, ქმედება ვერ დაკვალიფიცირდება სსკ 209¹ მუხლით; დამნაშავე პასუხს აგებს პიროვნების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისათვის.

12. თუ 14-დან 16 წლამდე ასაკის არასრულწლოვანი ხელყოფს პოლიციის მუშაკის სიცოცხლეს მის სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით, ქმედება დაკვალიფიცირდება სსკ-ის 104-ე მუხლის მე-3 პუნქტით, ვინაიდან სსკ მე-12 მუხლის ჩამონათვალში სსკ 209¹ მუხლი მითითებული არ არის.

13. პოლიციის მუშაკის სიცოცხლის ხელყოფისას ბრალის ფორმა მხოლოდ განზრახია. დამთავრებული მკვლელობისას ბრალი შეიძლება გამოიხატოს როგორც პირდაპირი, ისე ევენტუალური განზრახვით. დაუმთავრებელი მკვლელობისას კი იგი მხოლოდ პირდაპირი განზრახვით არის შესაძლებელი.

14. პოლიციის მუშაკის საქმიანობა უნდა იყოს ის პირობა, რომლის გარეშე დამნაშავე მის სიცოცხლეს არ ხელყოფდა. სწორედ პოლიციის მუშაკის სამსახურებრივი საქმიანობა უნდა წარმოადგენდეს დამნაშავეს ქმედების მოტივის მისი სიცოცხლის ხელყოფისათვის. სხვა პირადი მოტივი საფუძვლად ვერ დაედება სსკ 209¹ მუხლით კვალიფიკაციას. სსკ 209¹ მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის პასუხი არ უნდა აგოს მოქალაქემ, რომელმაც საზოგადოებრივი წესრიგის დამცველი პოლიციის მუშაკი მოკლა პირადი განაწყენების საფუძველზე.

უკეთუ ჩადენილია ერთდროულად ორი ან მეტი პოლიციის მუშაკის სიცოცხლის ხელყოფა, რომელთაგან ნაწილის მიმართ დამნაშავეს პირადი მოტივი ამოძრავებდა, ხოლო სხვათა სიცოცხლის ხელყოფა დაკავშირებული იყო საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან, მისი მოქმედებანი ერთობლიობით უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ 209¹ მუხლით და პიროვნების სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისათვის განკუთვნილი სპეციალური მუხლებით.

15. სსკ 209¹ მუხლის მე-2 ნაწილში მითითებულ დამამძიმებელ გარემოებებზე და ჩაითვლება შემთხვევები, რომლებიც გათვალისწინებულია სსკ 104-ე მუხლის პუნქტებით, უკვე მესამე და მეოთხე პუნქტებისა. სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლში ჩამოთვლილი გარემოებანი დაუშვებელია მიჩნეულ იქნას სსკ 209¹ მუხლის მაკვალიფიცირებელ გარემოებებზე სსკ 24-ე მუხლის ძალით.

16. დამამძიმებელ გარემოებებში პოლიციის მუშაკის სიცოცხლის ხელყოფისათვის გათვალისწინებულია აბსოლუტურად განსაზღვრული სანქცია — სიკვდილით დასჯა. თუ საქმის კონკრეტულ გარემოებათა გათვალისწინებით სასამართლო მივა იმ დასკვნამდე, რომ განსასჯელის მიმართ არ უნდა იქნას გამოყენებული სიკვდილით დასჯა, სხვა სასჯელის დანიშვნა შესაძლებელია მხოლოდ სსკ 45-ე მუხლის გამოყენებით.

17. სასამართლოებმა სრულად გამოავლინონ ის მიზეზები, რომლებმაც განაპირობეს დანაშაულის ჩადენა: რეაგირების გარეშე არ დატოვონ ცალკეული პირების ან ორგანიზაციების მხრივ მიმნებებლობის ან დაუდევრობის არცერთი შემთხვევა, ისევე როგორც პოლიციის მუშაკების არამართლზომიერი მოქმედების ფაქტები.

18. საქართველოს რესპუბლიკის, აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი სასამართლოების, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიებმა გააძლიერონ ზედამხედველობა პოლიციის მუშაკის სიცოცხლის ხელყოფის საქმეების სწორად განხილვაზე, პერიოდულად განახოვადონ ამ მხრივ ჩატარებული მუშაობა და დასახონ ღონისძიებანი ამ კატეგორიის საქმეების განხილვის სასამართლო პრაქტიკის მკვეთრად გაუმჯობესებისათვის.

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე მ. უბრაქელიძე,

უზენაესი სასამართლოს წევრი პლენუმის მდივანი დ. ხელაია.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პლენუმის დადგენილება პირადი ქონების ქურდობის საქმეებზე

1993 წლის 22 დეკემბერი

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პლენუმი აღნიშნავს, რომ პირადი ქონების ქურდობა რესპუბლიკაში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული დანაშაულია, რაც მოქალაქეებს დიდ ქონებრივ და მორალურ ზიანს აყენებს.

სასამართლო პრაქტიკის შესწავლა მოწმობს, რომ ამ კატეგორიის საქმეებს სასამართლოები ძირითადად კანონის მოთხოვნათა დაცვით იხილავენ. ამასთან, უშვებენ შეცდომებს რაც განაჩენთა გაუქმებასა და შეცვლას იწვევს.

სასამართლოები ყოველთვის არ იცავენ საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის მოთხოვნას საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევის აუცილებლობის შესახებ. გვხვდება შემთხვევები, როცა არ არის დადგენილი მსჯავრდებულის მიერ ჩადენილი ქურდობის ყველა ეპიზოდი, არ არის გამოვლენილი ქურდობის ყველა მონაწილე ან არასრულყოფილადაა შესწავლილი დამნაშავეს პიროვნება. ხშირად სწორად არ ხდება პირადი ქონების ქურდობის გამიჯვნა ძარცვისა და ყაჩაღობისაგან. ქურდობის მცდელობას აკვალიფიცირებენ დამთავრებულ დანაშაულად, თანამონაწილეს მიიჩნევენ ამსრულებლად.

მთელ რიგ შემთხვევებში სასამართლო სწორად ვერ განსაზღვრავს, რა ითვლება პირთა ჯგუფის მიერ, ან განმეორებით, ან იმ პირის მიერ ჩადენილ ქურდობად, რომელიც თავს არიდებს საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას.

სასამართლო პრაქტიკაში გვხვდება შეცდომები ბინაში შეღწევით ჩადენილი ქურდობის საქმეებზე; არცთუ იშვიათად ბინად მიიჩნევენ ისეთ ნაგებობებს, რომლებიც არ ყოფილა საცხოვრებლად გამოყენებული და წარმოადგენს დამხმარე სათავსოს.

ზოგჯერ კი, პირადი ქონების ქურდობას მიიჩნევენ საზოგადოებრივი ან სახელმწიფო ქონების ქურდობად.

სასამართლოები შეცდომას უშვებენ ძირითადი და დამატებითი სასჯელების გამოყენების დროსაც. განაჩენში არ ასაბუთებენ, რატომ არ იქნება გამოყენებული ქონების კონფისკაცია.

სასამართლო ჯეროვნად არ რეაგირებს ისეთ ფაქტებზე, როცა ქურდობით მიყენებული ზიანის ანაზღაურების უზრუნველსაყოფად დროულად არ ხდება ბრალდებულის საცხოვრებელი ბინის ჩხრეკა და მისი ქონების დაყადაღება.

პირადი ქონების ქურდობის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკაში არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრისათვის საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პლენუმი ადგენს:

1. პირადი ქონების ქურდობის საქმეთა განხილვისას სასამართლოებმა განუხრელად შეასრულონ საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-18 და 59-ე მუხლების მოთხოვნები საქმის გარემოებების ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევის აუცილებლობის

შესახებ, მიიღონ კანონით გათვალისწინებული ყველა ზომა განსასჯელის როგორც გამამართლებელი, ისე მამხილებელი, აგრეთვე პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების დასადგენად, რასაც არსებითი მნიშვნელობა აქვს ქმედების სწორი იურიდიული კვალიფიკაციისა და სამართლიანი სასჯელის დანიშნვისათვის.

2. ქონების გატაცება ფარულად ჩაითვლება, თუ იგი ჩადენილია დაზარალებულის ან სხვა პირთა შემთხვევის ადგილზე არყოფნის დროს, ანდა, თუნდაც მათი თანდასწრებით, მაგრამ მათთვის შეუმჩნეველად. მოქმედება ქურდობად დაკვალიფიცირდება იმ შემთხვევაშიც, როცა დაზარალებული ან სხვა პირები ხელავენ გატაცების ფაქტს, მაგრამ დამნაშავე თვლის, რომ იგი მოქმედებს ფარულად.

3. თუ ქონების ფარული გატაცება გამოვლენილია დაზარალებულის ან სხვა პირის მიერ და ამის მიუხედავად პირი კვლავ აგრძელებს თავის მოქმედებას ამ ქონების დაუფლების მიზნით, ქმედობა უნდა დაკვალიფიცირდეს როგორც გაძარცვა, ხოლო თუ გამოყენებულია სიციოცხლია და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობაც — როგორც ყაჩაღობა.

4. განმეორებით პირადი ქონების ქურდობად ჩაითვლება ყველა ის შემთხვევა, როდესაც პირს ადრე ჩადენილი აქვს საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული (სსკ-ის 78-ე, 91–94-ე, 96¹, 150–152-ე, 240-ე, 252-ე მუხლები) იმის მიუხედავად, იყო თუ არა დანაშაული დამთავრებული, ან პირი მსჯავრდებული ამისათვის.

ქურდობა განმეორებით ჩადენილად არ ჩაითვლება, თუ დამნაშავეს ადრე ჩადენილი დანაშაულისათვის კანონით დადგენილი წესით მოხსნილი ან გაქარწყლებული აქვს ნასამართლობა, ან ახალი დანაშაულის ჩადენის დროისათვის გასულია სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის ზანდაზმულობის ვადა.

5. თუ პირადი ქონების ფარულად გატაცების ორგანიზატორი, დამხმარე ან წამქეზებელი უშუალოდ მონაწილეობდა დანაშაულის აღსრულებაში, მათი ქმედება დაკვალიფიცირდება სსკ-ის 26-19 მუხლზე მათითების გარეშე.

6. პირადი ქონების ქურდობა დამთავრებულად ითვლება იმ მომენტიდან, როცა ბრალეული პირი რეალურად დაუფლებულია ქონებას და აქვს შესაძლებლობა ისარგებლოს ამ ქონებით, ან განკარგოს იგი თავისი შეხედულებისამებრ.

7. იმ საკითხის გადაწყვეტისას, არიდებდა თუ არა თავს ბრალეული პირი შრომას, უნდა გამოიკვყეს: შეგნებულად არიდებდა ის მუშაობას თავს თუ ობიექტური მიზეზების გამო არ მუშაობდა. მხოლოდ უმუშევრობის ფაქტი არ წარმოადგენს ქმედების სსკ-ის 150-ე მუხლის მეორე ნაწილით კვალიფიკაციის საფუძველს.

დასახლისი ქალები, არასრულწლოვანები, პირველი, მეორე და მესამე ჯგუფის ინვალიდები, საპენსიო ასაკს მიღწეული პირები მოსწავლე ახალგაზრდობა, სტუდენტები ვერ ჩაითვლებიან პირებად, ვინც თავს არიდებენ შრომას.

8. იმის გასარკვევად, ჩაითვლება თუ არა მიყენებული მატერიალური ზარალი მნიშვნელოვნად, სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს „იმ თანხების ოდენობის შესახებ რომლებიც გავლენას ახდენენ დანაშაულის კვალიფიკაციაზე“, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პლენუმის 1993 წლის 16 ივლისის № 3 დადგენილების მესამე პუნქტით, მან მხედველობაში უნდა მიიღოს, რომ მინიმალურ ხელფასად მიიჩნევა თანხა, რომელიც დადგენილია შესაბამისი ორგანოების მიერ დანაშაულის ჩადენის მომენტისათვის.

9. პირთა ჯგუფის მიერ ბინაში შეღწევით ჩადენილი ქურდობის კვალიფიკაციის დროს სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს, რომ იმ პირის მოქმედება,

რომელსაც არ შეუღწევია ბინაში, მაგრამ, დამნაშავეთა შორის როლების განაწილების შესაბამისად უშუალოდ მონაწილეობდა კარების, საკეტების, ფანჯრის გისოსების გატეხვაში ან ქურდობის ჩადენის დროს ასრულებდა სხვა მოქმედებას, რომელიც ხელს უწყობდა სხვა პირის ბინაში შეღწევას, ან იქიდან ქონების ამოღებას, – არის თანამსრულებლობა და არ საჭიროებს დამატებით საქართველოს რესპუბლიკის სსკ-ის მე-19 მუხლით კვალიფიკაციას.

იმ შემთხვევაში, თუ პირი ხელს უწყობდა ბინაში შეღწევით ქურდობის ჩამდენს რჩევა-დარიგებით, მითითებებით, დანმარების წინასწარი შეპირებით, დანაშაულის ჩადენის იარაღებისა და საშუალებების ან დანაშაულის კვალის ან დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების დაფარვაში, წინააღმდეგობათა დაძლევაში, რომელიც უშუალოდ არ არის დაკავშირებული ბინაში შეღწევასთან ან იქედან ქონების ამოღებასთან, ეს მოქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს როგორც ბინაში შეღწევით ქურდობაში თანამონაწილეობა საქართველოს რესპუბლიკის სსკ-ის 19, 150-ე მუხლის მესამე ნაწილით.

10. ბინად ჩაითვლება მოქალაქეთა მუდმივი ან დროებითი (სასტუმროს ოთახი, სააგარაკო სახლი და სხვ.) საცხოვრებელი, ასევე სხვა დანიშნულებისათვის განკუთვნილი ბინის განუყოფელი ნაწილი.

ბინად არ ჩაითვლება მოქალაქეთა გადაადგილების საშუალებები (ავტომანქანა, მატარებელი, გემი, თვითმფრინავი, ავტობუსი და სხვ.).

11. თუ პირს ქურდობის განზრახვა წარმოემუვა მოქალაქის ბინაში ყოფნისას, მისი ქმედება ვერ დაკვალიფიცირდება ბინაში შეღწევით ქურდობად.

როცა პირი არ შედის ბინაში, მაგრამ რაიმე საშუალებით ახერხებს შიგნით არსებული ქონების დაუფლებას, მისი ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს ბინაში შეღწევით ქურდობად.

12. „საკუთრების უფლების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1993 წლის 15 ივლისის კანონის მე-17 მუხლის შესაბამისად, რელიგიური ორგანიზაციების განკარგულებაში არსებული ქონება წარმოადგენს საზოგადოებრივ გაერთიანებათა საკუთრებას. აქედან გამომდინარე, მისი გატაცების შემთხვევაში დამნაშავის ქმედობა უნდა დაკვალიფიცირდეს საზოგადოებრივი ქონების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის შესაბამისი მუხლებით.

13. თუ პირს განზრახული ჰქონდა პირადი ქონების ქურდობა, მაგრამ ფაქტობრივად გაიტაცა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონება, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულთა ერთობლიობით როგორც სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების ქურდობა (სსკ 91-ე მუხლი) და პირადი ქონების ქურდობის მცდელობა (სსკ 17, 150-ე მუხლი). შესაბამისად, თუ პირს განზრახული ჰქონდა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების ქურდობა, მაგრამ ფაქტობრივად გაიტაცა პირადი ქონება ქმედება ასევე უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულთა ერთობლიობით, როგორც პირადი, ქონების ქურდობა (სსკ 150-ე მუხლი) და სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების ქურდობის მცდელობა (სსკ 17, 91 მუხლი).

თუ პირმა ქურდობის პროცესში გაიცნობიერა, რომელი ფორმის საკუთრებას იტაცებდა, მისი ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს მხოლოდ შესაბამისი ფორმის საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისათვის განკუთვნილი მუხლებით.

პირის ქმედება, რომელიც ფიქრობს, რომ გატაცებული ქონება შეიძლება ეკუთვნოდეს ან მოქალაქეს, ან სახელმწიფოს ან საზოგადოებრივ ორგანიზაციას, უნდა დაკვალიფიცირდეს იმისდა მიხედვით, თუ ვის საკუთრებას წარმოადგენდა ფაქტობრივად გატაცებული ქონება.

14. თუ სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ორგანიზაციას ევალებოდა მოწა-
ლაქეთა პირადი ქონების შენახვა, ამ ორგანიზაციიდან ქონების ფარული გა-
ტაცება იმ პირის მიერ, რომელმაც იცოდა, რომ ქონებაზე მატერიალური პასუ-
ხისმგებლობა აკისრია ორგანიზაციას, უნდა დაკვალიფიცირდეს როგორც სახელ-
მწიფოს ან საზოგადოებრივი საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული.
თუ ასეთი პასუხისმგებლობა ორგანიზაციას არ აკისრია (სასტუმრო, დასასვენე-
ბელი სახლი) – როგორც პირადი საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანა-
შაული.

15. სასჯელის დანიშვნის დროს სასამართლო ვალდებულია გაითვალისწი-
ნოს დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხი, დამნაშავის პიროვ-
ნება და სხვა გარემოებანი. კერძოდ, დამნაშავის შრომითი საქმიანობა, მისი
ოჯახური მდგომარეობა, გატაცებული ქონების ღირებულება, მიყენებული ზარა-
ლის ნებაყოფლობით ანაზღაურება და სხვ.

16. არასრულწლოვანთა საქმეების განხილვისას სრულყოფილად უნდა
იქნას შესწავლილი განსასჯელის პიროვნება, გამოკვლეული მისი სოციალური,
ფსიქიკური და ჯანმრთელობის საერთო მდგომარეობა, ქცევა ყოფაცხოვრებაში,
დამოკიდებულება შრომისა და სწავლისადმი.

17. იმ შემთხვევაში, როდესაც სანქცია აღტერნატიულ სასჯელად ითვალის-
წინებს ქონების კონფისკაციას, სასამართლომ უნდა იმსჯელოს მისი გამოყენე-
ბის მიზანშეწონილებაზე და მიღებული გადაწყვეტილება დაასაბუთოს განაჩენში

18. ყურადღება უნდა გამახვილდეს, რამდენად ოპერატიულად მოხდა დანა-
შაულებრივი გზით მოპოვებული საგნებისა და ფასეულობათა, ასევე საქმისათვის
მნიშვნელოვანი სხვა საგნებისა და დოკუმენტების ამოღება, კონფისკაციის უზ-
რუნველყოფის მიზნით ქონებაზე ყადაღის დადება. ამ საგამომიებო მოქმედებათა
დაგვიანებით ჩატარება ან საერთოდ ჩაუტარებლობა სასამართლოს მსჯელობის
საგნად უნდა იქცეს.

19. პირადი ქონების ქურდობის საქმეთა განხილვის დროს გამოვლენილი
დანაშაულის ხელშემწყობი მიზეზების აღმოსაფხვრელად სასამართლომ უნდა
მოახდინოს სათანადო რეაგირება.

20. დაევალოს აფხაზეთის და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკების უზენაეს
სასამართლოებს, თბილისის საქალაქო სასამართლოს, რესპუბლიკის ყველა ქალა-
ქის და რაიონის სასამართლოს პერიოდულად განაზოგადონ საამართლო პრაქტიკა
ამ კატეგორიის საქმეებზე და დასახონ ქმედითი ზომები სასამართლო პრაქტიკა-
კის შემდგომი სრულყოფისათვის.

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე მ. უბრახალიძე.

უზენაესი სასამართლოს წევრი პლენუმის მდივანი დ. ხელაია.

ირმა ხარშილაძე

საქართველოს მთავრობის შემადგენლობის თავისუფლება

აღმასრულებელი ხელისუფლების გამტარებელ ორგანოთა შორის მთავრობას, მინისტრთა კაბინეტს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. კონსტიტუციის შესაბამისად იგი არის მმართველობის სისტემის საფუძვრზე მდგომი ორგანო, რომელიც ასრულებს აღმასრულებელ-განმკარგულებელ საქმიანობას ქვეყანაში მოქმედი კანონების რეალიზაციის მიზნით.

მთავრობა სახელმწიფო ორგანოთა სისტემაში მთავარი რგოლია. ხელისუფლების ორგანოების შემდეგ მას უპირველესი ადგილთაგანი უკავია სახელმწიფოს მეთაურთან ერთად.

მთავრობა, რასაკვირველია, არ ახორციელებს საკანონმდებლო ხელისუფლებას, ამიტომ მას არ შეუძლია მიიღოს კანონები, რაც მხოლოდ ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს პრეროგატივაა.

მინისტრთა კაბინეტი, როგორც მმართველობის უმაღლესი ორგანო, სხვა ორგანოებისაგან განსხვავებით, განსაკუთრებული წესით იქმნება. იგი ხელმძღვანელობას უწევს მმართველობის ყველა დანარჩენ ორგანოს და ამიტომ მისი შექმნის წესიც განსხვავდება დანარჩენი ორგანოების წესისაგან.

ამასთან დაკავშირებით, ი. კოზლოვი წერს: „არსებითად შეიძლება ითქვას, რომ არჩევითობის საფუძველზე იქმნებიან შესაბამისი მთავრობები“¹. ეს შეზღუდულება ზუსტი არ არის, ვინაიდან არჩევნები ნიშნავს რამდენიმე კანდიდატურიდან ერთის არჩევას, ხოლო მთავრობის შექმნისას მთავრობის წევრთა კანდიდატურებს წინასწარ შეარჩევენ და ამის შემდეგ დასამტკიცებლად წარუდგენენ ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს.

მართალია, პარლამენტში მთავრობის წევრების კანდიდატურებს კენჭს უყრიან და ხმების უმრავლესობით ამტკიცებენ მათ, მაგრამ ყოველი კენჭისყრა არჩევას როდი ნიშნავს. მოცემულ შემთხვევაში მთავრობის შემადგენლობის დამტკიცება პარლამენტის მიერ მის არჩევას სრულადაც არ ნიშნავს. ამასთან უნდა დაეძინოთ, რომ ზოგიერთ ქვეყანაში მთავრობას ერთპიროვნულად ქმნის პრეზიდენტი, რომელიც არც კი უთანხმებს პარლამენტს მთავრობის წევრთა კანდიდატურებს. ასეთ შემთხვევაში საერთოდ გამორიცხულია რაიმე კოლეგიალობის თუ არჩევითობის პრინციპი მთავრობის შექმნის დროს, ეს პროცედურა მთლიანად პრეზიდენტის ხელშია, რომელიც თვითონვე კისრულობს პასუხისმგებლობას მთავრობის შექმნისათვის.

1. ი. მ. კოზლოვი, სახელმწიფო მმართველობის ორგანოები. მ. 1960, გვ. 137; იხ. აგრეთვე გ. ერემოვი საბჭოთა ადმინისტრაციული სამართალი, თბ. 1973, გვ. 90.

მთავრობა არც ერთ ქვეყანაში არ აირჩევა, მაგრამ მისი შექმნა არც და-
ნიშვნის წესის გამოხატველია, ვინაიდან ამ დროს გათვალისწინებულია მთავ-
რობის წევრთა შერჩევის განსხვავებული წესი, რაც თავისუფალი დანიშვნისა-
განაც განსხვავდება. კერძოდ, მთავრობის წევრთა კანდიდატურები შეთანხმებუ-
ლი უნდა იყოს პრემიერ-მინისტრთან, პოლიტიკური პარტიების ხელმძღვანე-
ლებთან; ხოლო შემდეგ დასამტკიცებლად უნდა წარედგინოს პარლამენტს, ამი-
ტომ მთავრობის შექმნას დანიშვნის წესსაც ვერ ვუწოდებთ.

გ. პეტროვი მიუთითებდა, რომ „მმართველობის ორგანოები იყოფა განსაკუთ-
რებული წესით შექმნილი (მინისტრთა საბჭოები), არჩევით (აღმასკომები აირ-
ჩევიან ადგილობრივი საბჭოების მიერ) და დანიშნით ორგანოებად (მათ მიე-
კუთვნებიან სახელმწიფო მმართველობისა და სხვა ცენტრალური და ადგილობ-
რივი ორგანოები)“². ამ კლასიფიკაციიდან გამომდინარეობს, რომ მთავრობა არც
არჩევითია და არც დანიშნითი. სწორედ ამის გამო ეწოდება მთავრობას განსა-
კუთრებული წესით შექმნილი ორგანო. მის შექმნაში შერწყმული კი არ არის
არჩევითობისა და დანიშვნის წესები, არამედ იგი სრულიად დამოუკიდებელია.

საზღვარგარეთის ქვეყნებში მთავრობის შექმნის ორი განსხვავებული წესია,
იმისდა მიხედვით, პარლამენტურია რესპუბლიკა თუ საპრეზიდენტო.

საპრეზიდენტო რესპუბლიკაში მთავრობას ქმნის პრეზიდენტი, ხოლო პარ-
ლამენტის როლი ამ საქმეში მეტად უმნიშვნელოა. ამერიკის შეერთებული შტა-
ტების კონსტიტუციის მე-2 მუხლის მეორე განყოფილებაში ნათქვამია, რომ
ამერიკის პრეზიდენტი სენატის რჩევითა და თანხმობით ნიშნავს ყველა თანამ-
დებობის პირს მთავრობაში. სენატის ეს „რჩევა და თანხმობა“ ფორმალურია
და იგი იშვიათად უპირისპირდება პრეზიდენტს. მაგალითად, რონალდ რეიგანის
პრეზიდენტობისას (1981-1989 წწ). მხოლოდ უზენაეს სასამართლოში ვაკან-
სიის შევსებისას ერთხელ გამოთქვა საპირისპირო მოსაზრება სენატმა, ხოლო
ყველა სხვა შემთხვევაში თანამდებობის პირთა დანიშვნისას პრეზიდენტი დებუ-
ლობდა თანხმობას ამერიკის კონგრესის ზედა პალატისაგან.

საფრანგეთის კონსტიტუციის მე-8 მუხლის თანახმად რესპუბლიკის პრე-
ზიდენტი დანიშნავს პრემიერ-მინისტრს, რომლის წინადადებითაც პრეზიდენტი
ნიშნავს მთავრობის სხვა წევრებს. პრეზიდენტი ამ დროს ანგარიშს უწევს პო-
ლიტიკური პარტიების მოთხოვნებს, ამიტომ იგი შეუზღუდველი არ არის მაგ-
რამ, რაც მთავარია, პარლამენტი პრეზიდენტის ამ საქმეში არ ჩაერევა. საფ-
რანგეთის მთავრობა ექვემდებარება პარლამენტს მხოლოდ ნდობის მოპოვების
საკითხში და უნდობლობის გამოცხადებისას („მთავრობის გაკიცხვისას“) იგი
გადადგება. ასეთივე წესია გათვალისწინებული იტალიის კონსტიტუციითაც³.

პარლამენტურ სახელმწიფოებში მთავრობის შექმნის წინადადების შეტანის
უფლებით სარგებლობს პარტია, ან პარტიული კოალიცია, რომელმაც საპარლამ-
ენტო არჩევნებში გაიმარჯვა. მაგალითად, გერმანიაში მთავრობის მეთაური —
ფედერალური კანცლერი აირჩევა კონსტიტუციის 62-ე მუხლის თანახმად ბუნ-
დესტაგის მიერ კამათის გარეშე, ვინაიდან მისი კანდიდატურა შეთანხმე-
ბულია უმსხვილესი პარტიების ლიდერებთან. ამიტომ, პრეზიდენტის მიერ მთავ-
რობის მეთაურის წამოყენება სრულიად ფორმალურია. ბუნდესტაგი კანცლერს
ირჩევს ხმების უმრავლესობით, ხოლო თუ პირველი ტურის დროს კანცლერის
არჩევა შეუძლებელი გახდა, 14 დღის მანძილზე ხდება მისი ხელახალი არჩევა
ხმების აბსოლუტური უმრავლესობით. თუ ამ შემთხვევაშიც კანცლერი ვერ

2. ი. გ. პეტროვი, საბჭოთა ადმინისტრაციული სამართალი, ლენინგრადის უნივერსიტეტი,
1970, გვ. 132.

3. იხ. „ბურჟუაზიული ქვეყნების კონსტიტუციები“, მ., 1982, გვ. 142.

იქნა არჩეული, პრეზიდენტი კანცლერად დანიშნავს იმ პირს, რომელმაც ყველაზე მეტი ხმა დააგროვა. კონსტიტუციით გათვალისწინებულია ბუნდესტაგის დათხოვნა პრეზიდენტის მიერ მთავრობის შექმნის კრიზისის შემთხვევაში.

პრემიერ-მინისტრს ინგლისში ფორმალურად ნიშნავს მეფე (დელოფალი) თემთა პალატის მმართველი პარტიული ჯგუფის წინადადებით. მეფე სრულიად შეზღუდულია არჩევანში. თვით მინისტრების დანიშვნაც კი პარტიული ლიდერების მოთხოვნით ხდება. თუ პარტიულ ხელმძღვანელობაში ადგილი აქვს ვანხეთქილებას, მაშინ მეფე მეტ-ნაკლებად დამოუკიდებელია მთავრობის ჩამოყალიბებაში, რაც იშვიათობაა ინგლისის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

საზღვარგარეთას ქვეყნებში პირობითად გამოყოფენ მთავრობის შემადგენლობის კონტინენტურ და ანგლოსაქსურ სისტემებს. კონტინენტური სისტემა, დამკვიდრებულია ევროპის ქვეყნებში და გულისხმობს მთავრობის შემადგენლობაში ყველა ცენტრალური ორგანოს ხელმძღვანელობის შეყვანას. კერძოდ, ამ სისტემით მთავრობის შემადგენლობაში შედიან მინისტრები, დეპარტამენტების მეთაურები, სახელმწიფო მდივნები და სხვ. მაგალითად, გერმანიის მთავრობა შედგება ფედერალური კანცლერის, ფედერალური მინისტრების, პრეზიდენტის კანცლერის მმართველის, ბეჭდვითი სიტყვის და ინფორმაციის უწყების ხელმძღვანელისა და კანცლერის პირადი რეფერენტისაგან. უმნიშვნელოვანესი სახელმწიფოებრივი საკითხების განხილვისა და გადაწყვეტისათვის მოიწვევიან მიწების (ფედერაციის სუბიექტები) პრემიერ-მინისტრები.

მთავრობის შემადგენლობის ანგლოსაქსური სისტემა გულისხმობს მთავრობაში ვიწრო წრის შექმნას, რომელშიც შედიან ზოგიერთი მინისტრი და არა ყველა ცენტრალური უწყების ხელმძღვანელი. ამიტომ, ამ სისტემის მიხედვით მთავრობაში შეიძლება გამოიყოს მინისტრთა კაბინეტის უფროსი მინისტრები. მაგალითად, მარგარეტ ტეტჩერის მინისტრთა კაბინეტში შედიოდნენ სახელმწიფო მდივნები და მინისტრები, რომლებიც ხელმძღვანელობდნენ სოფლის მეურნეობას, მეთევზეობას და სურსათის წარმოებას, ხელოვნებას, განათლებას, მეცნიერებას, თავდაცვას, საგარეო საქმეს, ენერჯეტიკას, ვაჭრობას და მრეწველობას, ტრანსპორტს, სოციალურ უზრუნველყოფას, შინაგან საქმეს, იუსტიციას, აგრეთვე შოტლანდიის საქმეებს, ჩრდილო ირლანდიის, უელსის საქმეებს, ასევე ნორდ-ადვოკატის დეპარტამენტს, მასში შედიოდნენ აგრეთვე ლანკასტერის საქვერცოვოს კანცლერი, ლორდ-კანცლერი, ლორდ-პრეზიდენტი და ბეჭდის ლორდ-მცველი⁴.

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობაში სულ 10-13 სახელმწიფო მდივანია (იგივე მინისტრი), რომელთა დანიშნულება მთავრობაში მხოლოდ მოთათბირებაა და ყველა საკითხს ერთპიროვნულად წყვეტს პრეზიდენტი.

როგორც ვხედავთ; საზღვარგარეთის განვითარებულ ქვეყნებში მთავრობა იქმნება განსაკუთრებული წესით, რაც ქვეყანაში ხელისუფლების დანაწილების პრინციპის გამომხატველია. საპრეზიდენტო რესპუბლიკაში აღმასრულებელი ხელისუფლება უფრო ნაკლებადაა დამოკიდებული საკანონმდებლო ხელისუფლებისაგან, ვიდრე ეს პარლამენტურ რესპუბლიკაშია.

ახლა განვიხილოთ საქართველოს მთავრობის შექმნის თავისებურება მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის შესახებ 1992 წლის 22 დეკემბრის კანონის მე-5 მუხლის თანახმად საქართველოს მთავრობა იქმნება შემდეგი წესით:

4. იხ. „ბურჟუაზიული განვითარებადი ქვეყნების სახელმწიფო სამართალი“, სახელმძღვანელო, მ., 1989. გვ. 622.

საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს საქართველოს სახელმწიფო მეთაურის წარდგინებით ნიშნავს საქართველოს პარლამენტი, ხოლო საქართველოს მთავრობის სხვა წევრებს ნიშნავს თვითონ სახელმწიფოს მეთაური და შემდეგ მათ ამტკიცებს პარლამენტი. სახელმწიფოს მეთაური მთავრობის წევრებს ნიშნავს პრემიერ-მინისტრის წარდგინებით, ე. ი. სახელმწიფოს მეთაური დამოუკიდებლად არ წევრებს ამ საკითხს (მუხლი 21). ამასთან, აღსანიშნავია, რომ მთავრობის წევრები უნდა იყვნენ რომელიმე ცენტრალური ორგანოს, კერძოდ, სამინისტროს ან სახელმწიფო კომიტეტის ხელმძღვანელები მაშასადამე, უპირთფელო მინისტრის პოსტი საქართველოს მთავრობაში გამოირიცხულია.

სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის 1992 წლის 6 ნოემბრის კანონის 26-ე მუხლის თანახმად, პრემიერ-მინისტრი სახელმწიფოს მეთაურს წარუდგენს წინადადებებს მინისტრთა კაბინეტის სტრუქტურის შესახებაც; რასაც ამტკიცებს პარლამენტი. გამოდის, რომ სახელმწიფოს მეთაური დამოუკიდებლად ვერ წევრებს საკითხს მთავრობის სტრუქტურის შესახებაც, რაკი ეს მან უნდა შეუთანხმოს პრემიერ-მინისტრს. ასეთი წესი, ვფიქრობთ, არ უნდა იყოს ზუსტი, ვინაიდან მინისტრთა კაბინეტის სტრუქტურის მნიშვნელოვანი ნაწილია თვითონ პრემიერ-მინისტრი, რაჟლის პოსტსაც და კანდიდატურასაც პარლამენტს წარუდგენს სახელმწიფოს მეთაური. თუ კანონის ტექსტის სიტყვასიტყვით განმარტებას მივსდევთ, სახელმწიფოს მეთაურმა ვერ უნდა წარადგინოს პრემიერ-მინისტრის კანდიდატურა, რამდენადაც მთავრობის სტრუქტურის შესახებ იგი წინადადებას იღებს პრემიერ-მინისტრისაგან, ხოლო დაუნიშნავი პრემიერ-მინისტრისაგან სახელმწიფოს მეთაური ასეთ წინადადებას ვერ მიიღებს. ამიტომ კანონმდებლობის აღნიშნული ნორმები კოლოზიურია, რაც უნდა გასწორდეს იმ თვალსაზრისით, რომ სახელმწიფოს მეთაურს უნდა მიენიჭოს უფლება დამოუკიდებლად წარუდგინოს პარლამენტს თავისი წინადადებები რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის სტრუქტურის შესახებ.

მართალია, კანონში მინისტრთა კაბინეტის შესახებ ნათქვამია, რომ საქართველოს მინისტრთა კაბინეტს წინადადება შეაქვს პარლამენტში საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროს და კომიტეტის შექმნის, გარდაქმნისა და გაუქმების შესახებ და არა პრემიერ-მინისტრის პოსტის შესახებ (მუხლი 20), მაგრამ ეს დებულება ეწინააღმდეგება სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ კანონის 26-ე მუხლს, რომელიც აწესებს საქართველოს მთავრობის სტრუქტურის შესახებ წინადადებების წარდგენას მთავრობისაგან სახელმწიფოს მეთაურისადმი. თუ კანონში მინისტრთა კაბინეტის შესახებ გათვალისწინებული იქნებოდა სახელმწიფოს მეთაურისადმი მთავრობის წინადადების წარდგენა მხოლოდ სამინისტროებისა და სახელმწიფო კომიტეტების შექმნის, გარდაქმნისა და გაუქმების შესახებ, მაშინ სახელმწიფოს მეთაურს აღარ დარჩებოდა უფლებამოსილება დამოუკიდებლად წარედგინა პარლამენტისათვის პრემიერ-მინისტრის პოსტი.

ყველა საპრეზიდენტო რესპუბლიკაში პრეზიდენტი განსაზღვრავს მთავრობის სტრუქტურას. ამასთან, მთავრობის პერსონალური შემადგენლობა განსაზღვრავს მთავრობის სტრუქტურას, ე. ი. ივულისხმება, რომ გარკვეული პერსონალური შემადგენლობით განისაზღვრება მთავრობის სტრუქტურაც. პრეზიდენტი კი დამოუკიდებლად ადგენს მთავრობას და წარუდგენს დასამტკიცებლად პარლამენტს. ჩვენთან კი პარლამენტი ჯერ ქმნის სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტების, დეპარტამენტების და სხვა ცენტრალურ ორგანოთა სახეობებს და ამის შემდეგ ამტკიცებს მათ ხელმძღვანელებს. რაც, ჩვენი აზრით, გართულებული პროცედურაა.

საქართველოს კანონმდებლობა ზუსტად განსაზღვრავს მთავრობის პერსონალურ შემადგენლობას. მინისტრთა კაბინეტის შესახებ კანონის მე-5 მუხლის თანახმად მინისტრთა კაბინეტი შედგება პრემიერ-მინისტრის, მისი მოადგილეების, მინისტრების, სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეებისა და სახელმწიფო უშიშროების მინისტრისაგან. მინისტრთა კაბინეტის წევრებად თანამდებობრივად ითვლებიან აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების თავმჯდომარეები. სხვა თანამდებობის პირთა შეყვანა საქართველოს მთავრობაში გათვალისწინებული არ არის. არც უპორთფელო მინისტრების პოსტია გათვალისწინებული ჩვენი კანონმდებლობით, მაშასადამე, დაუშვებელია სახელმწიფოს მეთაურის ან პრემიერ-მინისტრის წინადადებით მთავრობის შემადგენლობაში ახალი სხვა წევრების შეყვანა. ეს, ცხადია, მისასაღმებელია.

საზღვარგარეთის დემოკრატიულ ქვეყნებში გათვალისწინებულია პრეზიდენტის უფლებები გაზარდოს მთავრობის შემადგენლობა და შეიყვანოს მასში უპორთფელო მინისტრებიც. ეს გათვალისწინებულია მთავრობის კრიზისების შემთხვევაში, როცა აუცილებელია მთავრობაში კოალიციის დაშლა. ე. ი. სპეციალურადაა გათვალისწინებული წესი, რომლითაც მთავრობაში უნდა იყვნენ შეყვანილი სწორედ იმ პარტიების წარმომადგენლები, რომლებიც უმცირესობას შეადგენენ პარლამენტში. მაგალითად, ინგლისის 1937 წლის აქტში სამთავრობო სამინისტროების შესახებ აღნიშნულია, რომ პარტიის მეთაური, რომელიც პარლამენტში წარმოდგენილია უმეტესი დეპუტატებით, მთავრობაში ოპოზიციურად იღვას იჭერს⁵. პროფ. ვ. ლორიას აზრით, „ეს სწორედ დემოკრატიულ მმართველობაზე მიუთითებს, როცა ქვეყანაში საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება ერთი პარტიის ხელში კი არ არის უზურპირებული, არამედ დანაწილებულია ლიდერ და ოპოზიციურ პარტიებს შორის“⁶. სამწუხაროდ, საქართველოს არც კონსტიტუციაში, არც სხვა საკანონმდებლო აქტში არ არის იმის მოთხოვნა, რომ სახელმწიფოს მეთაურმა უნდა შექმნას მთავრობა სხვადასხვა პარტიების, მათ შორის ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებისაგან.

საქართველოს მთავრობის შემადგენლობაში შედიან აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეები. ვფიქრობთ, ეს წესი შესაცვლელია, რადგან ისინი თითქმის არ მონაწილეობენ საქართველოს მთავრობის მუშაობაში. ე. ი. ეს მუხლი უმოქმედოა. და საერთოდ, მიზანშეუწონელია მთავრობაში ვინმე თანამდებობრივად შედიოდეს და მისი კანდიდატურის განხილვა საჭირო არ იყოს არც სახელმწიფოს მეთაურის და არც პარლამენტის მიერ. ასეთი პირი მთავრობის წევრად არ უნდა ჩაითვალოს. მითუმეტეს, რომ საქართველოს მინისტრთა კაბინეტის შესახებ კანონის მე-19 მუხლის თანახმად მთავრობის მიერ იმ საკითხების გადაწყვეტაში, რომლებიც ავტონომიურ რესპუბლიკათა ინტერესებს ეხება, მონაწილეობენ აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები.

საქართველოს მინისტრთა კაბინეტის შესახებ კანონის 27-ე მუხლის თანახმად, საქართველოს სახელმწიფო მმართველობის სხვადასხვა საკითხის ოპერატიულად გადაწყვეტისათვის იქმნება საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის პრეზიდიუმი, რომლის შემადგენლობაში შედიან პრემიერ მინისტრი და მისი მოადგილეები. მინისტრთა კაბინეტს შეუძლია პრეზიდიუმის შემადგენლობაში შეიყვანოს მინისტრთა კაბინეტის სხვა წევრებიც. ე. ი. მინისტრთა კაბინეტის პრეზიდიუმს ქმნის თვით მინისტრთა კაბინეტი. ეს შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ პრეზიდიუმის დანიშნულება იქნება გაუადვილოს მუშაობა მთავრობას,

5. იხ. „ბურჟუაზიული ქვეყნების კონსტიტუციები“, მ., 1982. გვ. 63.

6. ვ. ლორია, საქართველოს რესპუბლიკის ადმინისტრაციული სამართალი, 1993, გვ. 127.

ორგანიზაციული ხელმძღვანელობა გაუწიოს მას, მაგრამ დღევანდელი საქართველოს მინისტრთა კაბინეტის პრეზიდიუმს საკმაოდ დიდი უფლებები აქვს. კერძოდ, დასახელებული კანონის 22-ე მუხლის თანახმად საქართველოს მინისტრთა კაბინეტის საქვეუწყებო ორგანოთა ხელმძღვანელებს და მათ მოადგილეებს, აგრეთვე დეპარტამენტებსა და მათთან გათანაბრებულ სახელმწიფო კორპორაციათა ხელმძღვანელებს ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სწორედ აღნიშნული პრეზიდიუმი. ამასთანავე, მინისტრთა კაბინეტის პრეზიდიუმს შეუძლია ანგარიში მოსთხოვოს ყველა მინისტრს, კომიტეტის თავმჯდომარეს და საქვეუწყებო ორგანოს ხელმძღვანელს (მუხლი 24). არსებითად, ეს არის მინისტრთა კაბინეტის ზოგიერთი უფლების მითვისება. ამდენად, გამოდის, რომ მინისტრთა კაბინეტში არსებობს კიდევ პატარა მინისტრთა კაბინეტი, რომელიც საქართველოს მთავრობის სახელით მოქმედებს. ასეთი მდგომარეობა კი გაუმართლებელია: მოქმედი კანონმდებლობით, ვინაიდან არც ერთ საკანონმდებლო აქტში არ არის გათვალისწინებული მინისტრთა მცირე კაბინეტის შექმნის შესაძლებლობა. მართალია საზღვარგარეთის ზოგიერთ ქვეყანაში გათვალისწინებულია მინისტრთა კაბინეტის შექმნა მინისტრთა საბჭოს პარალელურად, მაგრამ ეს წესი დაკანონებულია კონსტიტუციით და განსაზღვრულია მათი უფლებები.

თუ აუცილებელია საქართველოში არსებობდეს მინისტრთა კაბინეტის პრეზიდიუმი იმ უფლებებში, რაც მას დღეს გაჩნია, ჩვენი აზრით, უნდა შეიცვალოს ასეთი პრეზიდიუმის შექმნის წესი. იგი უსეთივე წესით უნდა იქმნებოდეს, როგორც მთელი მთავრობა. ვფიქრობთ, მთავრობის პრეზიდიუმი უნდა შექმნას სახელმწიფოს მეთაურმა და დამტკიცოს რესპუბლიკის პარლამენტმა. მაშინ ეს პრეზიდიუმი უფლებამოსილი იქნება განახორციელოს მოქმედებები საქართველოს მთავრობის სახელით.

ჩვენს კანონმდებლობაში არ არის განსაზღვრული თუ რა ბედი ეწევა ისეთ მინისტრს, რომელიც სახელმწიფოს მეთაურმა დანიშნა, მაგრამ პარლამენტმა არ დაამტკიცა. ჩვენს საპარლამენტო პრაქტიკაში იყო ისეთი შემთხვევები, როდესაც სახელმწიფოს მეთაურმა წარმოდგენილი კანდიდატურა სწრაფად შეცვალა ახალი კანდიდატურით. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ კანონმდებლობის შინაარსიდან გამომდინარეობს „დაწუნებული“ წევრის კვლავ დატოვება მთავრობის შემადგენლობაში. ასეთი მინისტრი თუ კომიტეტის თავმჯდომარე დანიშნული იქნება თავის თანამდებობაზე სახელმწიფოს მეთაურის მიერ მაგრამ არ იქნება დამტკიცებული პარლამენტის მიერ. ასეთი მთავრობის წევრი უფლებამოსილია გააგრძელოს თავისი მუშაობა, იყოს კვლავ მინისტრი თუ სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე, მაგრამ ვერ ისარგებლებს ზოგიერთი იმ უფლებებით, რომელიც დამტკიცებულ მინისტრს თუ კომიტეტის თავმჯდომარეს გააჩნია.

რამინ ჯოჰიდავა

ჩინეთის საკონსტიტუციო გარანტიები

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის (შემდეგში — ჩინეთის—რ. ჯ.) კონსტიტუციის 57-ე მუხლში ნათქვამია: „სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრება არის სახელმწიფო ზედისუფლების უმაღლესი ორგანო“ და ამით უმაღლესი წარმომადგენლობითი დაწესებულების სამართლებრივ უზენაესობას ამკვიდრებს. ასეთი გარანტიების რიცხვს, უწინარესად მიეკუთვნება საკონსტიტუციო დანაწესი სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების კომპეტენციის შესახებ. საგანგებო კონპეტენციაში იგულისხმება უფლებათა ერთიანობა, რომელსაც თვით ორგანო ახორციელებს. იურიდიულად დაუშვებელია სხვა სახელმწიფო ორგანოების მიერ ამ უფლებათა განხორციელება.

უზრუნველყოფს რა სახალხო წარმომადგენლობის უმაღლესი ორგანოს ნამდვილ უზენაესობას, ჩინეთის კონსტიტუცია მათ მიაკუთვნებს საგანგებო კომპეტენციებს:

1. კონსტიტუციის მიღება და მასში ცვლილებების შეტანა;

2. კონსტიტუცია, როგორც ძირითადი კანონი, რომელიც ამკვიდრებს საზოგადოებრივი წყობის საფუძვლებს, სახელმწიფოს ეროვნულ ტერიტორიულ ორგანიზაციას, მოქალაქეთა ძირითად უფლება-მოვალეობებს, სახელმწიფოს ყველა ორგანოს ორგანიზაციისა და საქმიანობის უმნიშვნელოვანეს პრინციპებს, ფლობს უმაღლეს იურიდიულ ძალას სამართლებრივი ნორმების სისტემაში. ჩინეთის ყველა სახელმწიფო ორგანო ვალდებულია თავის საქმიანობაში მკაცრად და განუზრელად ხელმძღვანელობდეს კონსტიტუციის დანაწესებით, სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრება იღებს და ცვლის კონსტიტუციას და განსაზღვრავს ჩინეთის ყველა სახელმწიფო ორგანოს ორგანიზაციისა და საქმიანობის პრინციპს.

ჩინეთის სამართლებრივი აქტების იერარქიაში ჩვეულებრივ კანონებს კონსტიტუციის შემდეგ მეორე ადგილი უჭირავთ. სახალხო წარმომადგენლობის უმაღლესი ორგანო იღებს შესაბამის კანონებს, ადგენს საფუძველს, განსაზღვრავს სხვა სახელმწიფო ორგანოების საქმიანობის მთავარ მიმართულებებს და ამკვიდრებს მოქალაქეთა უმნიშვნელოვანეს უფლებებსა და მოვალეობებს. სახელმწიფო ორგანოების ყველა ნორმატიული სამართლებრივი აქტი კანონებს უნდა შეესაბამებოდეს.

საკანონმდებლო მოვალეობის განხორციელების საგანგებო უფლებასთან განუწყვეტლად არის დაკავშირებული სახალხო წარმომადგენლობის უმაღლესი ორგანოს საგანგებო უფლება — მოახდინოს საერთაშორისო ხელშეკრულებების რატიფიცირება, რომელთა განხორციელება მოითხოვს მოქმედ კანონებში ცვლილებების შეტანას ან შეცვლას, ანდა ახალი კანონების მიღებას.

ჩინეთის სახალხო-სამეურნეო გეგმა და სახელმწიფო ბიუჯეტი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ძირითად მხარეს მოიცავენ. სახალხო წარმომადგენლობის უმაღლესი ორგანო დასახელებული აქტების მიღებისას ადგენს და-

ვალეებს სხვა სახელმწიფო ორგანოების საქმიანობისათვის, ხოლო მათი შესრულების შესახებ ანგარიშების განხილვისას მათ საქმიანობას ყოველმხრივ აკონტროლებს.

ჩინეთის სახალხო წარმომადგენლობის უმაღლესი ორგანო ირჩევს მის სახელმწიფო ხელისუფლების საქვეანგარიშო ერთპიროვნულ ორგანოს, ჰქმნის მთავრობას, ირჩევს უმაღლეს სახალხო სასამართლოს, უმაღლესი სახალხო პროკურატურის გენერალურ პროკურორს.

უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს დებულებიდან გამომდინარე, ჩინეთის უმაღლეს სახელმწიფო ორგანოებს შორის კომპეტენციების განაწილება სწორედ ამ დაწესებულების პრეროგატივას შეადგენს, რა თქმა უნდა მას შეუძლია საკანონმდებლო წესით საკითხების გარკვეული წრის გადაწყვეტა საქვეანგარიშო სახელმწიფო ორგანოთა უფლებამოსილებებს მიაკუთვნოს, მაგრამ შესაბამის საკანონმდებლო დანაწესთა გამოყენებამდე საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ყველა საკითხი, რომლებიც კონსტიტუციით უმაღლესი ორგანოების, უმაღლესი წარმომადგენლობითი დაწესებულების კომპეტენციას არ მიეკუთვნება, უშუალოდ თვითონვე უნდა გადაწყვიტოს.

აქედან გასაგებია, თუ რა მნიშვნელობა ენიჭება სახალხო წარმომადგენლობის უმაღლესი ორგანოსათვის მისი კომპეტენტურობის პრეზუმპციის კონსტიტუციურ დამკვიდრებას, ანუ მის კომპეტენციაში საერთო-სახელმწიფო მნიშვნელობის ყველა საკითხის შეტანას, რომლებსაც კონსტიტუცია სახელმწიფოს სხვა უმაღლესი ორგანოების უფლებამოსილებებს არ აკუთვნებს. შეიძლება დავასკვნათ, რომ სახალხო წარმომადგენლობის უმაღლესი ორგანოს უფლებები გარკვეულად შეზღუდულია. ამგვარად დასკვნების გამოტანის შესაძლებლობას ავიცილებთ, როცა სახალხო წარმომადგენლობის უმაღლესი ორგანოების კონკრეტულ უფლებამოსილებათა ნუსხასთან ერთად აწესებენ, რომ ისინი ასევე უშუალოდ სწვევტენ საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ყველა სხვა საკითხს, რომლებსაც კონსტიტუცია სახელმწიფოს უმაღლესი ორგანოების კომპეტენციას არ აკუთვნებს.

ამგვარად, ჩინეთის სახალხო წარმომადგენლობის უმაღლესი ორგანოს კომპეტენციის შესახებ დანაწესები ჰქმნის მათი ნამდვილი უზენაესობის გარანტიებს შემდეგი გზით:

1. სახალხო წარმომადგენლობის უმაღლესი ორგანოების საგანგებო კომპეტენციის დამკვიდრებით;

2. იმ საკითხების წრის დადგენით, რომელთა მეშვეობითაც სახალხო წარმომადგენლობის უმაღლესი ორგანოს სესიის პერიოდში გადაწყვეტილებას ისინი იღებენ. სახელმწიფოს სხვა უმაღლესი ორგანოების შესაბამისი გადაწყვეტილებები, რომლებსაც იღებენ სესიებს შორის პერიოდში, სავალდებულოა მათ უახლოეს სესიაზე დაამტკიცოს სახალხო წარმომადგენლობის უმაღლესმა ორგანომ.

3. სახალხო წარმომადგენლობის უმაღლესი ორგანოს კომპეტენციის უფართოესი განსაზღვრა ყველაზე ზოგადი ფორმით, რომელიც ჰქმნის იურიდიულ ბაზას საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტისათვის.

4. დაამკვიდროს სახალხო წარმომადგენლობის უმაღლესი ორგანოს უფლება, განსახილველად მიიღოს და გადაწყვიტოს საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ნებისმიერი საკითხი, რომელიც შედის საქვეანგარიშო სხვა უმაღლესი სახელმწიფო ორგანოების კომპეტენციაში.

5. დაადგინოს სახალხო წარმომადგენლობის უმაღლესი ორგანოს შემადგენლობის ტენტიურობის პრეზუმფცია.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუცია სხვადასხვა ფორმით ამკვიდრებს სახალხო წარმომადგენლობის უმაღლესი ორგანოს საგანგებო კომპეტენციას. 1982 წლის კონსტიტუცია ადგენს სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების განსაკუთრებულ კომპეტენციას ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავჯდომარისა და მისი მოადგილის არჩევის კანონმდებლობის დარღვევი; მთავრობის დანიშვნა; უმაღლესი სახალხო სასამართლოს თავმჯდომარისა და უმაღლესი სახალხო პროკურატურის გენერალური პროკურორის არჩევა.

ჩინეთის კონსტიტუციაში სახალხო წარმომადგენელთა უმაღლესი ორგანოს ძირითად უფლებამოსილებათა ნუსხის დამკვიდრება თავისთავად ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ ყველა ისინი მის საგანგებო კომპეტენციებს მიეკუთვნება. მაგალითად ნუსხაში ჩამოთვლილი სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების ზოგიერთი ძირითადი უფლებამოსილებანი, რომლებიც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუციის 62-ე მუხლშია დამკვიდრებული, შეიძლება გარკვეულ პირობებში სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების მუდმივმა კომიტეტმა განახორციელოს. ამიტომ ერთმანეთში არ უნდა ავურიოთ ძირითადი უფლებამოსილებანი და საგანგებო კომპეტენცია. სახალხო წარმომადგენლობის უმაღლესი ორგანოს საგანგებო კომპეტენციას მიეკუთვნება მხოლოდ ის უფლებამოსილებანი, რომლებსაც განსაკუთრებით და უშუალოდ ეს ორგანო ახორციელებს. სახალხო წარმომადგენლობის უმაღლესი ორგანოს უფლებამოსილებათა დამკვიდრების აღნიშნული ფორმა ასევე იწვევს გარკვეულ სიძნელეებს მისი საგანგებო კომპეტენციის განსაზღვრისას, რამდენადაც მისი ძირითადი უფლებების ნუსხიდან კონსტატუციის სხვა მუხლებთან შედარების გზით უნდა გამოვყოთ ის უფლებები, რომლებსაც განსაკუთრებით და უშუალოდ თვითონ ახორციელებენ.

ცხადია, საგანგებო კომპეტენცია სრულიადაც ვერ ამოწურავს სახალხო წარმომადგენლობის უმაღლესი ორგანოების ყველა უფლებას. არსებობს მნიშვნელოვანი სახელმწიფო საკითხთა რიგი (მაგალითად, ომის მდგომარეობის გამოცხადება, სახელმწიფო უმაღლესი დარგობრივი ორგანოების ხელმძღვანელთა პოსტზე გადაადგილება და სხვა). რომელთა გადაწყვეტის გადადება სესიის მოწვევამდე არ შეიძლება. ამიტომ ასეთ საკითხს წყვეტს სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების მუდმივი კომიტეტი სესიებს შორის პერიოდში, მაგრამ ეს საკითხები აუცილებლად შეაქვთ სახალხო წარმომადგენლობის უმაღლესი ორგანოს უახლოეს სესიაზე დასამტკიცებლად.

სახალხო წარმომადგენლობის უმაღლესი ორგანოს კონსტიტუციით დამკვიდრებულ უფლებამოსილებათა ნუსხა ამომწურავი არ არის და არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება საფუძვლად გამოდგეს მათი უზენაესობის შეზღუდვისათვის. ამ ორგანოებს სახელმწიფო სისტემაში მათი როლის შესაბამისად შეუძლიათ სხვა საკითხების გადაწყვეტაც, მათ შორის ისეთებისაც, რომლებიც პირდაპირ მათ საქვეანგარიშო ორგანოებს განეკუთვნებიან. ეს დასტურდება წარმომადგენლობითი დაწესებულებების პრაქტიკული საქმიანობით. მაგალითად, ჩინეთის კონსტიტუცია საერთაშორისო ხელშეკრულებათა რატიფიკაციას სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების მუდმივი კომიტეტის კონპეტენციას აკუთვნებს. მთელი საფუძვლიანობით ადგას იმ თვალსაზრისს, რომ კონსტიტუციით დამკვიდრებული სახელმწიფო ხელისუფლების უფლებამოსილებათა ნუსხა არ შეიძლება საფუძვლად დაედოს მის სრულ ძალაუფლებიანობის შეზღუდვისათვის.

ჩინეთის საკონსტიტუციო გამოცდილება მოწმობს, რომ სახალხო წარმომადგენელთა უმაღლესი ორგანოების უფლებამოსილებათა ყველაზე ფართო განსაზღვრისას მიზანშეწონილია პირდაპირი დანაწესები — მისი უფლების შესახებ განსახილველად მიიღოს და გადაწყვიტოს საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ნებისმიერი საკითხი, რომლებიც მიეკუთვნება მათი საქვეანგარიშო ორგანოების კომპეტენციას.

ცხადია, უფლებამოსილებათა ნებისმიერი ნუსხა შეუძლებელია ამომწურავი იყოს, ვინაიდან არ შეიძლება წინასწარ გაითვალისწინოთ რეალური ცხოვრების მთელი მრავალფეროვნება, პრაქტიკაში შესაძლოა ეჭვები იმის შესახებ, რომელ ორგანოს კომპეტენციას მიეკუთვნება საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამა თუ იმ საკითხის გადაწყვეტა, რომლებსაც კონსტიტუციის დანაწესები არ ითვალისწინებენ.

ჩინეთის უმაღლესი წარმომადგენლობითი დაწესებულებების დებულების თანახმად, სახელმწიფოს უმაღლეს ორგანოებს შორის კომპეტენციების განაწილება სწორედ ამ დაწესებულების პრეროგატივას შეადგენს. რა თქმა უნდა, მას შეუძლია საკანონმდებლო წესით მიიკუთვნოს მისთვის საქვეანგარიშო სახელმწიფო ორგანოების გარკვეული წრის საკითხების გადაწყვეტა, მაგრამ შესაბამისი საკანონმდებლო დანაწესების გამოცემამდე საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ყველა საკითხი, რომლებსაც კონსტიტუცია უმაღლესი ორგანოების, უმაღლესი წარმომადგენლობითი დაწესებულებების კონპეტენციას არ აკუთვნებს, უშუალოდ მათვე უნდა გადაწყვიტონ.

ფორმულა იმის შესახებ, რომ სახალხო წარმომადგენლობის უმაღლესი ორგანოს კომპეტენციას მიეკუთვნება საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ყველა საკითხი, რამდენადაც ისინი არ შედიან მის საქვეანგარიშო ორგანოების კომპეტენციაში, ზოგიერთ სახელმწიფოთმცოდნეს საბაბს აძლევს გამოიტანოს დასკვნა: სახალხო წარმომადგენლობის უმაღლესი ორგანოს უფლებათა გარკვეული შეზღუდვის შესახებ. ამგვარი დასკვნების შესაძლებლობა აღმოიფხვრება, როცა სახალხო წარმომადგენლობის უმაღლესი ორგანოების კონკრეტულ უფლებამოსილებათა ნუსხასთან ერთად დგინდება, რომ ისინი უშუალოდ წყვეტენ, აგრეთვე, ყველა საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სხვა საკითხებს, რომლებსაც კონსტიტუცია სახელმწიფოს სხვა უმაღლესი ორგანოების კომპეტენციას აკუთვნებს.

სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს ნამდვილ უზენაესობას უზრუნველყოფს აგრეთვე ის, რომ სახელმწიფოს სხვა უმაღლეს ორგანოებს არა აქვთ რაიმე უფლებამოსილება, რაც მათ შესაძლებლობას აძლევს რაიმე ფორმით მოახდინოს განმსაზღვრელი ზემოქმედება ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს საქმიანობაზე;

ჩინეთის სამართლებრივი სისტემა და პრაქტიკა არ იცნობენ სახალხო წარმომადგენლობის უმაღლესი ორგანოს სუვერენული უფლების რაიმე ფორმით შეზღუდვას სხვა სახელმწიფო ორგანოების მხრივ.

ამგვარად ჩინეთის უმაღლესი ორგანოს კონსტიტუციით დამკვიდრებული სამართლებრივი მდგომარეობისათვის დამახასიათებელია, რომ იგი თავის უფლებამოსილებებს მხოლოდ ხალხისაგან იღებს და პასუხსაც მხოლოდ ხალხის წინაშე აგებს. არავითარ სხვა სახელმწიფო ორგანოს არ ძალუძს შეზღუდოს ან შელახოს ხალხის ნების უმაღლესი გამომხატველი ხალხის სუვერენული უფლებები.

ჩინეთში ხალხის სოციალურ-პოლიტიკური ერთიანობის განმტკიცებაში თავს იჩენს წარმომადგენლობითი ორგანოს როლის ამადლების ორგანიზაციისა და საქმიანობის დემოკრატიზმის განვითარების სულ უფრო ხელსაყრელი ობი-

ექტური პირობები. ერთდროულად ჩნდება დემოკრატიის შემდგომი გაფართოების ობიექტური აუცილებლობა, ანუ შპრომელი მასების შემოქმედებითი აქტიურობის ამაღლება, სახელმწიფოს მართვაში მათი ფართი მონაწილეობით. მიუხედავად ამისა, არ შეიძლება აღნიშნული პროცესი დამთავრებულად ჩავთვალოთ. ეს მოვლენა სახელმწიფოს განვითარების კანონზომიერება არ არის.

ამ კანონზომიერების გამოვლენის კონკრეტულ ფორმებსა და მეთოდებს განიხილავენ უმაღლესი წარმომადგენლობითი დაწესებულების საქმიანობის ძირითად სფეროებთან შეფარდებით, ამ საქმიანობის ძირითად სფეროს წარმოადგენს: 1. კანონმდებლობა; 2. უშუალო ფორმირება ან გადამწვევტი ზემოქმედება სხვა უმაღლესი სახელმწიფო ორგანოების ჩამოყალიბებაზე; 3. უმაღლესი კონტროლის განხორციელება სხვა სახელმწიფო ორგანოების საქმიანობისადმი; 4. ქვეყნის საშინაო ცხოვრებისა და სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის ძირითადი პრობლემების განხილვა; 5. იმ საკითხების გადაწყვეტა, რომლებიც დაკავშირებულია უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს შინაგან ორგანიზაციასა და წესრიგთან.

ზოგიერთი სახელმწიფოთმცოდნე უმაღლესი სახალხო წარმომადგენლობითი ორგანოს საკანონმდებლო და საკონტროლო საქმიანობასთან ერთად გამოჰყოფს საქმიანობას საგარეო პოლიტიკის დარგში. ჩვენი აზრით, ამ ორგანოს მთელი საქმიანობა საგარეო პოლიტიკის დარგში არ შეიძლება მივაკუთვნოთ განსაკუთრებულ სახეობას საკანონმდებლო და საკონტროლოსთან ერთად. მართლაც, საგარეო-პოლიტიკური საქმიანობა ხორციელდება საკანონმდებლო ფორმითაც და უზენაესი კონტროლის ფორმითაც; სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანო განიხილავს რა მთავრობის ან საგარეო საქმეთა მინისტრის საგარეო-პოლიტიკურ ანგარიშებს და იღებს რა მათ მიხედვით დადგენილებებს კონკრეტული რეკომენდაციებით, სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანო ახორციელებს მათი საქმიანობის უზენაეს კონტროლსა და ხელმძღვანელობას.

მაგრამ, როგორც საგარეო პოლიტიკის დარგში, ასევე ქვეყნის საშინაო ცხოვრებაშიც არსებობს პრობლემები, რომლებიც განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების სესიების სპეციალური განხილვის საგანი ხდება.

საგარეო-პოლიტიკური პრობლემების განხილვისას მიღებული აქტების დამახასიათებელი ფორმაა დეკლარაციები, მიმართვები, განცხადებები, ისინი არ შეიცავენ სამართლებრივ ნორმებს და, როგორც წესი, არ შეიცავენ დავალებებს მართვის სახელმწიფოს ორგანოებისადმი.

ქვეყნის საშინაო ცხოვრების სხვადასხვა საკითხის განხილვის შედეგად ჩინეთის უმაღლესი სახალხო წარმომადგენლობითი ორგანო იღებს დადგენილებებს, რომლებიც შეიცავენ საქვეანგარიშო სახელმწიფო ორგანოების საქმიანობის ანალიზსა და აუცილებელ მითითებებს მათი შემდგომი მუშაობისათვის.

უმაღლესი წარმომადგენლობითი დაწესებულების შინაგანი ორგანოების შექმნისას საქმე ეხება არა დამხმარე სახელმწიფო ორგანოებს, არამედ აღნიშნული დაწესებულების შიდა დამხმარე ორგანოებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მის ეფექტიან ფუნქციონირებას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, განისაზღვრება შინაგანი სტრუქტურა, უმაღლესი წარმომადგენლობითი დაწესებულების მუშაობის შინაგანი წესრიგი, ანუ ხორციელდება მისი საშინაო-ორგანიზაციული უფლებამოსილებანი.

ზოგჯერ საკანონმდებლო და საკონტროლო საქმიანობასთან ერთად უმაღლესი სახალხო წარმომადგენლობითი ორგანო გამოიყოფა ე. წ. „უმაღლესი სახელმწიფო ხელმძღვანელობად“, რომლებსაც მივაკუთვნებენ სხვა უმაღლესი სა-

ხელმწიფო ორგანოების ფორმირებას და მათი პასუხისმგებლობის ინსტიტუტს უმაღლესი წარმომადგენლობითი დაწესებულების წინაშე. რა თქმა უნდა, სახელმწიფოს სხვა უმაღლესი ორგანოების ჩამოყალიბება წარმომადგენლობითი ორგანოს საქმიანობის განსაკუთრებულ ფორმას, მაგრამ არავითარ საფუძველს არ არსებობს იმისათვის, რომ მხოლოდ ამ სფეროს ეწოდოს უმაღლესი სახელმწიფო ხელმძღვანელობა. საეჭვოა საჭირო იყოს იმ ფაქტის განსაკუთრებული დადასტურება, რომ უმაღლესი სახალხო წარმომადგენლობითი ორგანოს მთელ საქმიანობას (შენაორგანიზაციული ღონისძიებების გამოკლებით) შეადგენს უმაღლესი სახელმწიფო ხელმძღვანელობა.

ცალკეულ ავტორებს მიაჩნიათ, რომ უმაღლესი სახალხო წარმომადგენლობითი ორგანო ახორციელებს უმაღლეს სახელმწიფო მართვას. ეს მათ ესმით, როგორც სხვა უმაღლესი სახელმწიფო ორგანოების ჩამოყალიბება და მისი კომპეტენციების განსაზღვრა. თუმცა უმაღლესი წარმომადგენლობითი დაწესებულება განსაზღვრავს სახელმწიფოს სხვა ორგანოების კომპეტენციას მხოლოდ შესაბამისი კანონების გამოცემის გზით, ანუ საკანონმდებლო საქმიანობის მეშვეობით. დასახელებული თვალსაზრისის მომხრეებს არავითარი არგუმენტები არ მოაქვთ იმის სასარგებლოდ, რომ სახელმწიფოს სხვა მნიშვნელოვანი ორგანოების ჩამოყალიბება ჩათვალონ უმაღლესი სახელმწიფო მართვის გამოვლინებად.

აღნიშნულ კლასიფიკაციას საფუძვლად უდევს უმაღლესი სახალხო წარმომადგენლობითი ორგანოს მთავარი ფუნქციები, რომელთა შესაბამისად მთელი მათი საქმიანობა და უფლებამოსილებანი ხუთ ჯგუფად იყოფა. ასეთი კლასიფიკაცია, ერთი მხრივ, მოიცავს დასახელებული ორგანოს კომპეტენციათა მთელ მრავალფეროვნებას, ხოლო მეორე მხრივ, საშუალებას იძლევა მასში გამოვყოთ თავისი სამართლებრივი ბუნებით სხვადასხვანაირი ძირითადი სფეროები. რა თქმა უნდა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ საქმიანობის შესაბამის სფეროებს შორის პრაქტიკაში არსებობს გადაულახავი მიჯნა. მაგალითად, კანონპროექტების განხილვისას შეიძლება ერთდროულად განხორციელდეს კონტოლი სახელმწიფო ორგანოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშაობისადმი, რომელთა ჩამოყალიბებისა და საქმიანობის წესი მოწოდებულია აღნიშნული კანონპროექტის რეგლამენტში. ამავე დროს კონტროლის პროცესში შესაძლოა გამოვლინდეს შესაბამისი საკანონმდებლო დანაწესების სრულყოფის აუცილებლობა და ა. შ.

თუმცა სხვადასხვა უფლებამოსილებათა ასეთი გადახლართვა პრაქტიკაში არ გამოირიცხავს მათი კლასიფიკაციის მიზანშეწონილობას. იგი მნიშვნელოვანია უმაღლესი სახალხო წარმომადგენლობითი ორგანოს როლის ზუსტი განსაზღვრის, მათი საქმიანობის უფლებებისა და ფორმების შესაბამისი ჯგუფების თანმიმდევრული განხილვისათვის, რომლებიც უზრუნველყოფენ ჩინეთის უმაღლესი სახალხო წარმომადგენლობითი ორგანოს ნამდვილ უზენაესობას.

შოთა ფაფიაშვილი.

გამოძიების საგამომიერო-გემიკურ საგამომიერო საგამომიეროსათვის

მოკვლევისა და საგამომიერო ორგანოების უმნიშვნელოვანესი მიზანია მომხდარი დანაშაულის სწრაფი, სრული გახსნა, დანაშაულის აღკვეთა და თავიდან აცილება. ამ რთული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტა შეუძლებელია მოკვლევის, წინასწარი გამოძიებისა და სასამართლო ორგანოების მუშაკთა პროფესიონალიზმისა და ოსტატობის სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებების, ტაქტიკური ხერხების, სპეციფიკური მეთოდების გამოყენებისა და დანაშაულთა გახსნის მეთოდის სხვა ზოგად სამართლებრივი პრინციპების უმკაცრესად დაცვის გარეშე.

თეორიული და პრაქტიკული თვალსაზრისით შესაძლოა ყველა დანაშაულმომხდარი შემთხვევის გახსნა ან მათი გაუხსნელობის მინიმუმამდე დაყვანა, თუკი შევძლებთ დანაშაულთა გახსნის ხელშემშლელი ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების აღმოფხვრას, თუ დანაშაულის გახსნის უფლებით აღჭურვილი მაღალკვალიფიციური სპეციალისტები მაქსიმალურად ოპერატიულად, კანონიერების უმკაცრესი დაცვით საზოგადოებრიობის ფართო მასებზე დაყრდნობით, სწორად და მიზნობრივად გამოიყენებენ სადღეისოდ არსებულ დანაშაულთა გახსნის სამეცნიერო-ტექნიკურ საშუალებებს, ტაქტიკურ ხერხებსა და დანაშაულთა გახსნის მეთოდებს.

დანაშაულის სწრაფი, სრული გახსნა და ობიექტური ჭეშმარიტების დადგენა ბევრად და მოკიდებული იმაზე თუ გამოძიების პროცესში რამდენად სწორად და ეფექტიანად იქნება გამოყენებული კრიმინალისტიკურ მეცნიერებაში შემუშავებულ მტიციტებულებათა აღმოჩენის, გამოვლინების, გამოკვლევისა და ფიქსაციის ისეთი სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებები, ხერხები, და მეთოდები, როგორცაა: მიკროსკოპები და მიკროსკოპული კვლევის მეთოდები; სპექტრის უხილავ სხივებში გამოყენებული (ულტრაიისფერი, ინფრაწითელი, რენტგენის, ბეტა და გამა სხივები) კვლევის ხერხები და მეთოდები; სპექტრული ანალიზი; ნივთიერებათა კვლევის მაღალმგრძობიარე მეთოდები; ფოტო და კინო აპარატურა; სასამართლო ფოტოგრაფიაში შემუშავებული სპეციალური საგამომიერო-ოპერატიული და კვლევათი ფოტოგრაფიის ხერხები და მეთოდები; ხმის ჩამწერა აპარატურა; კვლევის კიბერნეტიკული მეთოდები და სხვ. რომელთა სწორი, მიზნობრივი გამოყენება შეუძლებელია გამოძიების პროცესში მონაწილე პირთა სათანადო თეორიული მომზადებისა და პრაქტიკული გამოცდილების გარეშე.

დანაშაულის გახსნის პროცესში სამეცნიერო ტექნიკური საშუალებების გამოყენებული სუბიექტებია: გამოძიებელი, რომელიც არა მარტო უფლებამოსილია ჩაატაროს საგამომიერო მოქმედებები, არამედ ამ მოქმედებათა ჩატარების ხელმძღვანელი და ორგანიზატორიცაა; პროკურორ-კრიმინალისტი, რომელიც ასევე უფლებამოსილია ცალკეული სახის საგამომიერო მოქმედებების ჩატარების

დროს გამოიყენოს სამეცნიერო ტექნიკური საშუალებები; სხვადასხვა დარგის სპეციალისტები, ექსპერტები და საგამომიებო განყოფილების უფროსები. დანაშაულის გახსნის პროცესში სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებები შეიძლება გამოიყენოს აგრეთვე მომკვლევმა პირმა და ოპერატიულმა მუშაკმა.

კრიმინალისტიკურ ლიტერატურაში ზოგჯერ ერთნაირი მნიშვნელობით ხმა-რობენ სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებებისა და კრიმინალისტიკური ტექნიკის ცნებებს, რაც, ვფიქრობთ, არასწორია. სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებების ცნება უფრო ფართოა ვიდრე კრიმინალისტიკური ტექნიკისა. ეს უკანასკნელი მოიცავს მხოლოდ იმ სამეცნიერო-ტექნიკურ საშუალებებს, რაც უშუალოდ კრიმინალისტიკური მეცნიერების მიერაა შემუშავებული ან მომიჯნავე მეცნიერებას მიღწევება გამოყენებული კრიმინალისტიკური მიზნებისათვის. სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებები კი მოიცავს ყველა იმ სამეცნიერო-ტექნიკურ ხერხებსა და საშუალებებს, რაც საერთოდ შეიძლება გამოყენებული იქნას გამოსაძიებელ საქმეზე მნიშვნელობის მქონე ამა თუ იმ ფაქტის ან გარემოების დადგენისა და ახსნისათვის, სხვადასხვა დარგის სპეციალისტის ან ექსპერტის მიერ მტკიცებულებათა აღმოჩენის, გამოვლინებისა და გამოკვლევისათვის. მაგალითად, ამა თუ იმ სახის ექსპერტიზის ჩატარების პროცესში შეიძლება გამოყენებული იქნას კიბერნეტიკული კვლევის მეთოდები და სხვ. ამიტომ სწორი იქნება თუ „კრიმინალისტიკური ტექნიკის“ მაგიერ გამოვიყენებთ „სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებების“ ცნებას.

დანაშაულთა გამოძიების პროცესში სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებები შეიძლება გამოყენებული იქნას საქმეზე მნიშვნელობის მქონე მთელი რიგი საკითხებისა და გარემოებების დასადგენად. კერძოდ, შემთხვევის ადგილზე დარჩენილი ადამიანის ხელის თითების და სხვა უჩინარი კვლების აღმოჩენის, გამოვლინებისა და ფიქსაციისათვის; დაზარალებულის ან ეჭვმიტანილის ტანსაცმელზე არსებული ლატენტური (მაგალითად, მიკრო ნაწილაკების, სპერმის და სხვ.) კვალის გამოვლინება-დამუშავებისათვის; გასროლილი ტყვიის მიხედვით სროლის მიმართულებისა და გასროლის ადგილის დადგენის; გაყალბების ჩიზნით დოკუმენტებში სათანადო ცვლილებების შეტანის გამოვლინება-აღმოჩენისა და გამოკვლევისათვის და სხვ.

დანაშაულთა გამოძიების პროცესში სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებები შეიძლება გამოყენებულ იქნას ორი ძირითადი მიმართებით: 1) ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა და საგამომიებო მოქმედებათა ჩატარების პროცესში ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთების აღმოჩენის, მათი გამოვლინება-დამუშავება-სა და ფიქსაციისათვის, რომლის დროსაც შეიძლება გამოყენებულ იქნას ფიქსაციის ისეთი ხერხები, როგორცაა: სქემების, ნახაზებისა და გეგმების შედგენა; ანაბეჭდებისა და ფოტოპირების გადაღება; დახატვა, ფოტოგადაღება, ხმის ჩაწერა, კინო და ვიდეო გადაღებები და სხვ; 2) სასამართლო ექსპერტიზის ჩატარების პროცესში ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთების გამოკვლევისა და ამ კვლევის შედეგების ილუსტრაციისათვის.

როგორც პირველ ისე მეორე შემთხვევაში ზუსტად უნდა იქნას დაცული სამეცნიერო-ტექნიკურ საშუალებათა გამოყენების საპროცესო ნორმების მოთხოვნები და კრიმინალისტიკური მეცნიერების მიერ რეკომენდებული წესები, მით უმეტეს, რომ საგამომიებო მოქმედების ოქმებისა და საექსპერტო კვლევის პროცესში გადაღებულ ფოტოსურათებს, რაც ექსპერტის დასკვნას და საგამომიებო ოქმებს თან ერთვის, მტკიცებულებითი მნიშვნელობა შეიძლება მიენიჭოთ არა როგორც ნივთიერ დამამტკიცებელ საბუთებს, არამედ როგორც საქმეზე მტკიცებულებითი მნიშვნელობის მქონე დოკუმენტებს. მაგალითად, შემთხვევის ად-

გილის ფოტოილუსტრაციის, შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილი გვამის ფოტოგადაღებისა და შემთხვევის ადგილის დათვალიერების შედეგად აღმოჩენილი ნივთიერი დამაჩტკაცებელი საბუთების გამოვლინება-ფიქსაციისათვის გამოყენებული უნდა იქნას სასამართლო ფოტოგრაფიაში შემუშავებული სპეციალური ხერხები და მეთოდები. კერძოდ, შემთხვევის ადგილის საორიენტაციო, მიმოხილვითი, საკვანძო და დეტალური სახის ფოტოგადაღებები, გვამის ჯვარედინი ფოტოგადაღებები, შემთხვევის ადგილზე დარჩენილი კვლებისა და ნივთიერ მტკიცებულებათა დეტალურ-მასშტაბური ან მსხვილ მასშტაბური ფოტოგადაღების ხერხები, რომელთა გამოყენების მთლიანი პროცესი დეტალურად უნდა იქნას აღწერილი შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმში და ამით მოხდეს მათი პროცესუალური დამაგრება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ასეთ ფოტოილუსტრაციებს, თუნდაც ისინი შესაბამის საგამოძიებო მოქმედებათა ოქმში იყოს ჩაწებებული, სათანადო მტკიცებულებითი მნიშვნელობა არ მიენიჭებათ.

ხშირ შემთხვევაში მტკიცებულებითი მნიშვნელობა შეიძლება მიენიჭოს აგრეთვე ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა ჩატარების დროს მიღებულ ფოტოსურათებსაც, თუკი ზუსტად იქნება დადგენილი მათი წარმოშობა და მოხდება მათი პროცესუალური გზით დამაგრება. კერძოდ, მოცემულ ფაქტთან დაკავშირებით შეიძლება დაიკითხოს ამ ფოტოსურათის გადაძღვები ოპერატიული მუშაკი ან ჩატარებულ იქნას ექსპერტიზა იმის გასარკვევად, ფოტოსურათზე აღბეჭდილი ილუსტრაციები მიღებული ხომ არაა ფოტომონტაჟის გზით და ადგილი ხომ არა აქვს მათ გაყალბებას და სხვ. საგამოძიებო ექსპერტიზის, ჩვენების ადგილზე შემოწმების, ჩხრეკვის, ამოსაცნობად წარდგენის და სხვა საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების პროცესში რეკომენდებულია გამოყენებული იქნას სპეციალური ხმის ჩამწერი აპარატურა, აგრეთვე ფოტო და კინო გადაძღვები. ამასთან გადამალული საგნებისა და დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ძვირფასეულობის, გვამის და სხვა გამოძიებისათვის მნიშვნელობის მქონე ობიექტების დასაძებნად, რეკომენდებულია გამოყენებული იქნას სპექტრის უხილავი სხივების გამოყენების პრინციპზე შემუშავებული სპეციალური პორტატიული სახის სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებები, გვამის საძიებო აპარატურა და სხვ., რომელთა გამოყენების პროცესუალური დამაგრება უნდა მოხდეს ჩატარებულ საგამოძიებო ოქმებში.

სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებები და კვლევის უახლესი ხერხები და მეთოდები გამოიყენება აგრეთვე ცალკეული სახის სასამართლო ექსპერტიზის ჩატარების პროცესში, როგორც კვლევის სწორი ობიექტური შედეგების მისაღებად, ისე ამ შედეგების თვალსაჩინოების საილუსტრაციოდ. კვლევის მთელი ეს პროცესი დეტალურად უნდა აისახოს და პროცესუალურად დამაგრდეს ექსპერტიზის დასკვნის შესავალში, აღწერილობით ნაწილში და სარეზოლუციო ანუ დასკვნით ნაწილში.

საქმეზე მნიშვნელობის მქონე ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთების გამოკვლევის პროცესში სათანადო სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებების გამოყენებით შეიძლება ზილვადი და ყველასათვის თვალმისაწვდომი გახდეს ამა თუ იმ საგნებზე არსებული ისეთი კვლები, რომელთა დანახვა ადამიანს საერთოდ არ შეეძლო შეუიარაღებელი თვალით. მაგალითად, ქაღალდის ფულის ან ფაიფურის ნაწარმზე დარჩენილი ხელის თითების უჩინარი ანაბეჭდები, აგრეთვე დაზარლებულის ან ეჭვმიტანილის ქვედა საცვალზე დარჩენილი უხილავი სპერმის ნაწილების გამოსავლინებლად საჭიროა მოხდეს ამ საგნების დათვალიერება ულტრაიისფერ სხივებში და მანამდე უხილავი, ამ საგნებზე არსებული კვლები დაიწყებს ნათებას, რა დროსაც საჭიროა მოხდეს მათი სპეციალური ფოტო

გადაღება; ფერგაყოფის მეთოდის პრინციპით შესაბამისი შექვეფილტვების გამოყენებით ფოტოგადაღების გზით შეიძლება ნოვანსაღ დოკუმენტებზე ასეებული ლაქა და მოვანდინოს მისი ტექსტის ამოკითხვა. საექტრის უხალავი სხივებს გამოყენებით ასევე შეიძლება მოვანდინოთ ე. წ. სიმპათიური ანუ უფერული ძელნით შესრულებული ტექსტის წაკითხვა; რენტგენის სხივების გამოყენებით შეიძლება აღმოვანინოთ ლითონის ნაწარმში ან კედელში მოწყობილი სპეციალური სამალავები და სხვ. დანაშაულის ჩამდენი პირისა და მასში მონაწილე პირების სხეულზე ან მათ ტანსაცმელზე სპეციალური უჩინარი ხსნარებისა და ფხვნილების გადატანა; ხმის ჩამწერი აპარატურისა და ვიდეოაპარატურის გამოყენება დაკითხვების დროს და სხვ.

დანაშაულთა გამოძიების პროცესში საკმაო წარმატებებით გამოიყენება დანაშაულის ჩამდენი პირების სამხელად ისეთი ხერხები, როგორცაა: ვარკვეული საგნებისა და ობიექტების წინასწარი დამუშავება შეუიარაღებელი თვალისათვის შეუჩინეველი სათანადო ქიმიური ნივთიერებებით (მაგალითად, ლიუმინოგენის ფხვნილით ქრთამის საგნის ან სხვა ობიექტის წინასწარი დამუშავება; სპეცდანიშნულების საღებავების მოთავსება დანაშაულის ხელყოფის ობიექტზე იქ, სადაც მოსალოდნელია დამნაშავის შეხება და სხვ.) რომლებიც უვნებლნი არიან ადამიანის ჯანმრთელობისათვის, საყოფაცხოვრებო პირობებში არ გამოიყენება, უნარი აქვთ შეხებისას მჭიდროდ მიეწებონ ადამიანის ტანსაცმელს ან კანს და ვარკვეული დროის განმავლობაში არ გაცეცალოთ. ამასთან ინდივიდუალური შუამდგომლობით შესაძლებელია მათი იდენტიფიკაცია შემდგომი გამოკვლევის პროცესში.

საგამოძიებო პრაქტიკაში უკანასკნელ პერიოდში ერთგვარად ვახშირდა და საექსპერტო პრაქტიკაშიც მტკიცედ მოიკიდა ფეხი სამეცნიერო-ტექნიკური კვლევის ისეთმა რთულმა მეთოდებმა, როგორცაა დანაშაულის გახსნის მიზნებისათვის მიკრონაწილაკების კვლევა მათი შემდგომი იდენტიფიკაციისათვის და ნივთიერებათა კვლევის მაღალმგრძობიარე მეთოდები. მაგალითად, ქ. თბილისის ერთ-ერთი განაპირა ქუჩის ბოლოს, გზის ნაპირზე არსებულ ბუნქებში აღმოჩინეს მამაკაცის გვამი, რომელსაც თავის, სახის და ზურგის არეში მკვრივი, ბლავი საგნით მიყენებული ჰქონდა მრავალი დაზიანება. შემთხვევის ადგილიდან ცოტაოდენი მოშორებით ბუნქებში იპოვეს ხის დამუშავებული ხელკეტი, რომელზეც შეიმჩნეოდა მოწითალო ფერის პატარა ლაქები. დანაშაულის ჩადენაში ეჭვი მიიტანეს დაზარალებულთან ახლო ურთიერთობაში მყოფ პირზე. დაინიშნა კომპლექსური სასამართლო ექსპერტიზა, დადგინდა, რომ ხელკეტზე აღმოჩენილი მიკრონაწილაკები იდენტური იყო დანაშაულის ჩადენის მომენტში დაზარალებულის ზედა ტანზე ჩაცმული ქსოვილისა და დანაშაულის ჩადენის დღეს ეჭვიმიტანილის შარვლის ქსოვილისათვის დამახასიათებელი ნაწილაკებისა.

საგამოძიებო და საექსპერტო პრაქტიკაში იშვიათად, მაგრამ მაინც მიმართავენ შემთხვევის ადგილზე დარჩენილი სუნის მიხედვით ამა თუ იმ ფაქტისა და პიროვნების დადგენის მიზნით ე. წ. ოლოროლოგიური ექსპერტიზის ჩატარებას. მაგალითად, ღამის 3 საათზე ერთ-ერთმა მოქალაქემ მშობლების დაუკითხავად გამოიყვანა მამის კუთვნილი ავტომანქანა „ჟიგული“, ჩასვა თავისი მეზობელი და წავიდნენ სასეირნოდ. ავარიის შედეგად მეზობელი საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა. იმისათვის, რომ გამოძიებას დაედგინა თუ ვინ იჯდა მანქანის საჭესთან შემთხვევის მომენტში, ავტომანქანის წინა მარცხენა სავარძლის შალითის ნაჭერი, გარდაცვლილის კუთვნილი სვიტერი და სვიტერის ილიიდან აღებული სუნი გამოძიებულმა გადაუგზავნა ოლოროლოგიურ ექს-

პერტიზაზე შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებულ ოდოროლოგიის რატორიაში. სპეციალისტ კნიოლოგთან ერთად ჩატარდა გადაგზავნილი მასალების შემოწმება ძაღლ-იდენტიფიკატორის დახმარებით. ოდოროლოგიური შერჩევის დროს ძაღლს მიეცა საშუალება ეყნოსა გარდაცვლილის ინდივიდუალური სუნი. შერჩევით რიგში მოთავსებული იქნა აგრეთვე სხვა საძიებელი სუნის მსგავსი სუნის მქონე ისეთ პირთა საგნებიც, რომლებსაც დანაშაულის ჩადენასთან არავითარი კავშირი არ ჰქონდათ. შემდეგ შერჩევითი სქემების მიხედვით გამოიკვლიეს ძაღლის დამოკიდებულება საკონტროლო სუნთან, სენსიბილიზირებულ იქნა მყნოსავი აპარატი რამდენიმე სუნით, რის შემდეგაც შეუდგნენ უშუალოდ შემთხვევის ადგილიდან ამოღებული სუნის შერჩევას. თანმიმდევრულად იყნოსა რა სუნიანი ობიექტები, რომლებიც მოთავსებული იყო შერჩევის რიგში, ძაღლმა სიგნალური მოქმედებით ვერ აღნიშნა „ჟიგულის“ მძლოლის სავარძლის სუნთან იდენტურობა. ასევე ძაღლმა — იდენტიფიკატორმა ვერ დაადგინა გარდაცვლილის იდენტურობა ავტომანქანის წინა მარცხენა სავარძლიდან ამოღებულ სუნის კვალთან. ასეთივე გზით შემოწმდა ცოცხლად გადარჩენილის სუნი, რომლის დროსაც ძაღლმა — იდენტიფიკატორმა დაადგინა მისი სუნისა და საჭესთან არსებული სავარძლიდან ამოღებული სუნის იდენტურობა.

ოდოროლოგიური ექსპერტიზის წარმატებით ჩატარებისათვის საჭიროა სუნის ამოღებისა და შენახვის შემდეგი პირობები: ხელსაწყოები, რომლებშიც გადატანილი იქნება შემთხვევის ადგილიდან ამოღებული გამოსაკვლევი ჰაერი და შედარებით კვლევისათვის საჭირო ჰაერი, განთავსდნენ უნდა იქნას ყოველგვარი საკუთარი სუნისაგან: ხელსაწყო, რომელშიც გადატანილი იქნება ჰაერი სუნის მოლეკულებით, დაცული უნდა იყოს ჰერმეტიკულად ისე, რომ არ მოხდეს იქიდან ამ ჰაერის გამოშვება; ჰაერი უნდა ავიდეთ იმ რაოდენობით, რაც საჭიროა ოდოროლოგიური ექსპერტიზის ჩასატარებლად.

დანაშაულთა გამოძიების პროცესში სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებების გამოყენება საპროცესო კანონმდებლობითაა რეგლამენტირებული და მისი დაცვა, ხშირად სავალდებულოა. მაგალითად, საქართველოს რესპუბლიკის სსსკ 179-ე მუხლის თანახმად გამოძიებელი ახდენს დათვალიერების ადგილის და ცალკე ობიექტის გაზომვას, ფოტოგრაფირებას, კინოგადაღებას, ადგენს გეგმებსა და სქემებს, ამზადებს კვალის ტვიფარსა და ანაბეჭდს. ამასთან, დათვალიერებაში მონაწილეობისათვის გამოძიებელს შეუძლია მოიწვიოს სპეციალისტი, რომელიც სსსკ 134¹ მუხლის თანახმად ვალდებულია: გამოცხადდეს გამოძახებისთანავე და მონაწილეობა მიიღოს საგამოძიებო მოქმედების წარმოებაში, რათა თავისი სპეციალური ცოდნითა და გამოცდილებით დაეხმაროს გამოძიებელს მტკიცებულებების აღმოჩენაში, დამაგრებასა და ამოღებაში, გამოძიებლის ყურადღება მიაქციოს იმ გარემოებებს, რომლებიც დაკავშირებულია მტკიცებულებების აღმოჩენასთან, დამაგრებასთან და ამოღებასთან.

საპროცესო კანონმდებლობით რეგლამენტირებულია არა მარტო ის თუ როდის, რა პირობებში და როგორ შეიძლება გამოყენებულ იქნას სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებები, არამედ ისიც, თუ როგორ უნდა მოხდეს მათი გამოყენების პროცესუალური დამაგრება. მაგალითად, 96-ე მუხლის თანახმად, თუ საგამოძიებო მოქმედების წარმოებისას მოხდა ფოტოგადაღება, ხმის ჩაწერა, ან თუ ამოღებული იქნა კვალის ტვიფარი და ანაბეჭდი, მაშინ ოქმში უნდა აღინიშნოს აგრეთვე თუ რა ტექნიკური საშუალებები იყო გამოყენებული შესაბამისი საგამოძიებო მოქმედების წარმოებისას, მათი გამოყენების წესი და პირობები, ის ობიექტები, რომელთა მიმართაც იყო გამოყენებული საშუალებები და მიღებული შედეგები. ოქმში უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ტექნიკურ საშუალებათა

გამოყენების შესახებ წინასწარ იყვნენ გაფრთხილებული ის პირნი, რომლებიც მონაწილეობას იღებენ საგამოძიებო მოქმედების წარმოებაში.

ამრიგად, სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებები, ხერხები და მეთოდები, დანაშაულთა გახსნის პროცესში, თავიანთ პრაქტიკულ გამოყენებას პოულობენ კრიმინალისტიკური ტექნიკის ცალკეულ დარგებში შემუშავებული სპეციალური ხერხებისა და მეთოდების, საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაში სპეციალისტის მოწვევის ან გამოსაძიებელ საქმეზე ექსპერტაჟის დანიშვნის ჩატარების სახით. ამასთან, სასამართლო ფოტოგრაფიაში შემუშავებული ფოტო და კინო ვადალების სპეციალური ხერხები და მეთოდები ერთ შემთხვევაში შეიძლება გამოყენებული იქნეს როგორც მტკიცებულება აღმოჩენისა და გამოკვლევის ფიქსაციის საშუალება, მეორე შემთხვევაში კი, როგორც ნივთიერი და დამამტკიცებელი საბუთების გამოკვლევის საშუალება.

გამოძიების პროცესში ასევე ფართოდ გამოიყენება ტრასოლოგიის, სასამართლო ბალსტიკის, დოკუმენტების კრიმინალისტიკური გამოკვლევის, სასამართლო რეგისტრაციისა და გარეგნობის ნიშნების მიხედვით პიროვნების გაიგივებისთვის შემუშავებული სპეციალური სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებები ხერხები და მეთოდები. გამოძიების პროცესში მათი გამოყენება უნდა მოხდეს კანონის ფარგლებში და რეგლამენტირებული წესით აისახოს საგამოძიებო და სხვა პროცესუალურ მოქმედებათა ოქმებში, ე. ი. აუცილებელია მოხდეს მათი პროცესუალური დამაგრება. წინააღმდეგ შემთხვევაში სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებების გამოყენებით აღმოჩენილი, გამოვლინებული და გამოკვლეულა მტკიცებულება დაკარგავს იურიდიული სახის მტკიცებულებით მნიშვნელობას. სამაგიეროდ, არის შემთხვევები, როცა დამნაშავენი კატეგორიულად უარყოფენ დანაშაულის ჩადენას, მაგრამ სასამართლო გაბედულად ეყრდნობა დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის დასკვნას, რადგან შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმში მითითებულია არა მარტო იმ საგანზე, სადაც აღმოჩენილი იყო დამნაშავეის თითების კვალი, არამედ მასში დეტალურად არის აღწერილი ისიც, თუ როგორ, რა ხერხებითა და მეთოდებით მოხდა ამ კვლების დათვალიერება, გამოვლინება, დამუშავება და მათი ფიქსაციის ხერხები და მეთოდები.

დღევანდელ რთულ კრიმინოგენულ ვითარებაში წარმოუდგენელია რომელიმე რთული სისხლის სამართლის საქმის გახსნა სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებების გამოყენების გარეშე. ამიტომ საგამოძიებო პრაქტიკაში კიდევ უფრო ფართოდ და სრულყოფილად უნდა დაინერგოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით რეგლამენტირებულ პირობებში კრიმინალისტიკურ მეცნიერებაში შემუშავებული სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებები.

ალექსანდრე სოხბარია

**მანქანური დოკუმენტაციისათვის იურიდიული კაღის
მინიჭების მნიშვნელობა კომპიუტერული დანაშაულისათვის
სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისას**

უახლოეს მომავალში, თანამედროვე სამყაროს მრავალი განვითარებული ქვეყნის მსგავსად, ჩვენთანაც გარდაუვალი გახდება ელექტრონულ-გამომთვლელი ტექნიკის მასობრივი დანერგვა ყველა სოციალურ სისტემაში, პერსპექტივაში კი ადამიანთა ყოველდღიურ ყოფაშიც, რაც ავტომატიზირებული საინფორმაციო ტექნოლოგიის ყველა ასპექტისადმი შესაბამის საზოგადოებრივ შეგუებას მოითხოვს.

ამ პროცესებთან ერთად ყურადღებას იმსახურებს ის, რომ კომპიუტერულა დანაშაულობების ზრდის საშიშროების შეგნებამ 80-იანი წლების შუა პერიოდიდან გამოიწვია მსოფლიოს მრავალი ქვეყნის (აშშ, გერმანია, იაპონია, შვეცია და სხვ.) სისხლის სამართლის კოდექსებში სპეციალური ნორმების შემოღება, რომლებიც აწესებენ ამგვარი დანაშაულობებისათვის სხვადასხვა სასჯელს.

ვერ ვიტყვი, რომ კომპიუტერების და სხვადასხვა სტრუქტურაში მათი დანერგვის მიმართ ჩვენს რესპუბლიკაში ინტერესს არ იჩენდენ, პირიქით, ფუნდამენტალური ნაშრომები (გ. გ. ჩოგოვადის მონოგრაფია „პერსონალური კომპიუტერები“, თბილისი, „მეცნიერება“, 1991 წ. და სხვ.) და ელექტრონულ-გამომთვლელი (ან გამოთვლითი) მანქანების ფუნქციონირების ტექნოლოგიური ასპექტებისადმი მიძღვნილი ცალკეული სტატიებიც კი არსებობს.

სამწუხაროდ, უნდა ვაღიაროთ, რომ უმადლესი სასწავლებლებიდან და ზოგიერთი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებიდან კომპიუტერების გატაცების დამაფიქრებელი ფაქტების მიუხედავად, ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანების გამოყენების სისხლის სამართლებრივი პრობლემები ჯერ კიდევ არ გამხდარა სერიოზული თეორიული კვლევის საგანი. სისხლის სამართლის კანონმდებლობაში შესაბამისი ნორმების არარსებობის გამო აღნიშნული ტექნიკით ნებისმიერი დანაშაულებრივი ზრახვის ან არასანქცირებული მოქმედების შემთხვევაშიც კი აბსოლუტურად არ არსებობს სამართლებრივი დაცვის მექანიზმი.

რადგან არსებული კომპიუტერული ტექნიკის გამოყენების შესაძლებლობა და სპეციფიკური ნიშნების მქონე სხვადასხვა სახის სამართალდარღვევათა ჩადენის შესაძლებლობანი ურთიერთაკავშირშია, ჩვენი სისხლის სამართლებრივი თეორიისა და პრაქტიკის წინაშე წამოჭრილი პრობლემების შემდგომი პრაქტიკული გადაწყვეტისას აუცილებლად დადგება მიზნობრივ გამოკვლევების ჩატარების საჭიროება.

მათ შორის აუცილებელია იმ სამართლებრივი ნორმების დამუშავება, რომლებიც ითვალისწინებენ პასუხისმგებლობას ავტომატიზირებულ ინფორმაციაში განზრახ დამახინჯებული ან შეგნებულად არასწორი მონაცემების შეტანისა და კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებით სხვა დანაშაულებრივი ქმედების ჩადე-

ნისათვის, მოცემულ ტექნიკაში ჩადებული ინფორმაციის სისწორისა და უტყუარობის შეგნებულად დამაზიანებლობისათვის და სხვ.

იმ დანაშაულებრივი ქმედებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაწესებასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა, რომელთა ნიშნების განსაზღვრა მათი შემადგენლობის ერთობლიობაში ჩამოსაყალიბებლად ჯერ კიდევ წინაა, აყენებს მანქანური დოკუმენტებისათვის იურიდიული ძალის მინიჭების აუცილებლობას.

იმ ღონისძიებათა სისტემაში, რომელიც მიმართულია ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანების საშუალებით მიღებული ინფორმაციის უტყუარობის უზრუნველყოფისაკენ, ეს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და აქტუალურა პრობლემაა, რომელმაც ვერ მიიღო სათანადო იურიდიული გადაწყვეტა საკანონმდებლო აქტის სახით (რამდენადმე, ამ მიზანს ემსახურებოდა და თავისი დროისათვის გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის 1981 წლის 20 აპრილის № 100 დადგენილებას: „გამომთვლელი ტექნიკის საშუალებით მაგნიტურ ლენტასა და ქაღალდის მატარებელზე შექმნილი დოკუმენტებისათვის იურიდიული ძალის მინიჭებაზე დროებითი ზოგადდარგობრივი სახელმძღვანელო მითითებანი“, აგრეთვე სსრკ სახარბიტრაჟოს მიერ 1979 წ. გამოქვეყნებული საინსტრუქციო წერილი — „საარბიტრაჟო საქმეში ელექტრონულ-გამომთვლელი ტექნიკის საშუალებით მომზადებული დოკუმენტების მტკიცებულებად გამოყენების შესახებ“.

ზემოთ აღნიშნული საუწყებო ნორმატიული აქტები თუმცა კი შეიცავდნენ გარკვეულ სამართლებრივ, ორგანიზაციულ და ტექნოლოგიურ მოთხოვნებს, რომელთა შესრულების შემთხვევაში შესაძლებელი გახდებოდა მანქანური დოკუმენტების მტკიცებულებად გამოყენება, მაგრამ თავიანთი სამართლებრივი ღონის გამო, მათ არ შეეძლოთ სრულად შეეცნოთ შესაბამისი კანონის უქონლობა, რომელიც გადაწყვეტდა მანქანური ამონაბეჭდებისათვის (ამ მანქანოგრაფებისათვის) იურიდიული ძალის მინიჭების ყველა პრობლემას.

ამრიგად, ასეთ კანონში (რომლის მიღების მიზანშეწონილობა ცხადია), რომელშიც რეგლამენტირებული იქნება ელექტრონულ-გამომთვლელი ტექნიკის მიერ დაფიქსირებული დოკუმენტების შექმნისა და გამოყენების სამართლებრივი მოწესრიგების წესი, ამ დოკუმენტისათვის საჭირო რეკვიზიტების, მითითების, ე. ი. სტანდარტების გარდა აუცილებელია განისაზღვროს მათი შექმნის პირობები, მათში მოცემული ინფორმაციის უტყუარობაზე კონტროლის წესა, რომელიც გამოსაყენებელი იქნებოდა კონკრეტული ტიპის ტექნიკური მატარებლისათვის და ა. შ. სხვანაირად რომ ვთქვათ, ამ კანონს უნდა ჰქონდეს ყოვლისმომცველი ხასიათი ყველა იმ ნიშნის დასადგენად, რომელთა შესატყვისადაც მაგნიტურ ლენტაზე (ან ინფორმაციის დაფიქსირებელი სხვა უფრო სრულყოფილ ტექნიკურ მატარებელზე) შესრულებულ დოკუმენტებისა და მანქანური ამონაბეჭდებისათვის (სამართლებრივი შედეგების მქონე) შეიძლება ჰქონდეს იურიდიული ძალა.

კომპიუტერული ტექნიკის და მის საშუალებათა სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფის არსებითი მნიშვნელობის შეგნებამ გამოიწვია კომპიუტერული უსაფრთხოების პრობლემებისადმი მიძღვნილი მთელი რიგი ნაშრომების გამოჩენა (რუსეთის ფედერაციაში, სადაც 1992 წელს გამოქვეყნდა კანონპროექტი „ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანების პროგრამებისა და მონაცემების ბაზის სამართლებრივი დაცვის შესახებ“, რომელიც თავისი შინაარსითა და მიზნით ძირითადად სამოქალაქო-სამართლებრივი ხასიათისაა.

მითითებული კანონპროექტის მხლოდ ერთი მე-20 მუხლი პასუხისმგებლობის სხვა ფორმის ქვეშ მიუთითებს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებ-

ლობის დადგომაზე იმ შემთხვევაში, როცა ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანებისათვის სხვისი პროგრამის ან მონაცემთა ბაზის თავისი სახელით გამოქვეყნების ან ამ ნაწარმოებთა კონტრაფაქტული (უკანონო) გამოყენების შედეგად უფლებამოსილს მიაყენეს ეკონომიური ზარალი არანაკლებ 1 მილიონი მანეთისა.

უფრო მეტიც, ამ პროექტის 1-ელ მუხლში მოცემული ცნებებისა და ტერმინების განსაზღვრებაში (კერძოდ ისეთის, როგორიცაა „ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანებისათვის პროგრამებისა და მონაცემთა ბაზის გამოშვება (გამოქვეყნება)“, „პროგრამების აღწარმოება“ და ა. შ.), არავითარი მითითება არ არის იმაზე, რა თვისებები უნდა ახასიათებდეს მანქანურ დოკუმენტებს, თუ მათთვის იურიდიული ძალის მინიჭებაა საჭირო.

ასეთ ცდებს მიმართავენ ცალკეული ავტორები, რომლებიც იკვლევენ სამართლებრივი ინფორმაციის პრობლემებს,¹ მაგრამ მათი ცდები მხოლოდ თეორიულ დონეზე დარჩა.

იბადება კითხვა — რატომ არის ეს პრობლემა ამდენად მნიშვნელოვანი კომპიუტერული ტექნიკის საშუალებით შექმნილი მანქანური დოკუმენტებით ჩადენილი დანაშაულისათვის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესებისათვის. უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ რადგან არ არსებობს შესაბამისი კანონით განსაზღვრული ნიშნები: აუცილებელი რეკვიზიტები და სხვ., რომლებიც მიუთითებენ ქალაქის მატარებელზე დაბეჭდილი სახით მოცემული განსაზღვრული ინფორმაციის შემცველ მანქანური დოკუმენტებისათვის იურიდიული ძალის მინიჭების შესაძლებლობაზე. შეუძლებელია ამ სამართლებრივი საფუძვლის გარეშე სისხლის სამართლის ასპექტში განხილვა ისეთი სამართალდარღვევებისა, როგორიცაა დანაშაულებრივი მიზნით ასეთი დოკუმენტების პირველადი მონაცემების კანონსაწინააღმდეგო დამახინჯება, შექმნა და გამოყენება. ამდენად, სისხლის სამართლის ახალ კოდექსში მანქანური დოკუმენტების უკანონო შექმნისა და გამოყენებასთან დაკავშირებული მუხლების შეტანამდე, რომლებიც გაითვალისწინებენ კომპიუტერული დანაშაულობისათვის პასუხისმგებლობას, წინასწარ დეტალურად უნდა გაანალიზდეს ძირითადი დებულებები, რომელთა შესაბამისადაც მანქანური ამონაბეჭდები (ან მანქანოგრამები) შეიძლება მივიჩნიოთ იურიდიული მნიშვნელობის მქონეებად. სხვა შემთხვევაში სამართლო-საგამომძიებო პრაქტიკაში ამგვარი საქმეების აღძვრისა და განხილვისას შეიძლება წარმოიქმნას შეუსაბამობანი და სერიოზული სირთულეები. ამიტომ, ეჭვგარეშეა ამ მიმართებით შესაბამისი გამოკვლევების ჩატარების აუცილებლობა, რათა მათ საფუძველზე მომზადდეს კანონპროექტი, რომელიც დაადგენს მანქანური მატარებლებისათვის, როგორც ახალი ტიპის დოკუმენტებისათვის იურიდიული ძალის მინიჭების სამართლებრივ კრიტერიუმებს.²

მაგრამ, ეს ყოველივე მხოლოდ აუცილებელი ეტაპია სისხლის სამართლის კოდექსის მუხლების დისპოზიციების ფორმირებისათვის, რომელნიც გაითვალისწინებენ პასუხისმგებლობას მოცემული სახის კომპიუტერული დანაშაულის ჩადენისათვის.

¹ См. «Правовая информация». М «Наука». 1974, с. 56; В. Э. Краснянский, Правовая информация в системе государственного и хозяйственного управления, Л., ЛГУ, 1985, с. 44, 46—51;

Ф. А. Николаев, Р. И. Фомин, Л. М. Хохлов, Проблемы повышения достоверности в информационных системах, Л., «Энергоиздат», 1982, с. 28, 30—31 и др.

² См. М. Ф. Тиновицкая, А. Г. Венгеров, Документ, ЭВМ, право, «Сов. государство и право», 1975, № 10, с. 44—49.

ამ მიზნით სასარგებლო იქნებოდა საზღვარგარეთის გამოცდილების გამოყენება მსგავსი კატეგორიის დანაშაულისათვის გათვალისწინებული ნორმების შემოღებასთან დაკავშირებით სისხლის სამართლის კანონმდებლობაში.

საკმარისია მივმართოთ გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამის მუხლებს, რომლებიც აწესებენ პასუხისმგებლობას ელექტრონულ-გამომთვლელი ტექნიკის გამოყენების სფეროში დანაშაულობებისათვის. აგრეთვე სხვა ქვეყნების სისხლის სამართლის კოდექსებს, სადაც მითითებული სამართალდარღვევები იღვენება სისხლის სამართლებრივი წესით³. ანალიზი და სინთეზი მიღებული მასალისა, რომელიც ეხება კომპიუტერული დანაშაულობებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დადგენის საკითხს, შესაძლებლობას გვაძლევს შევუდგეთ მუხლების ტექსტის დამუშავებას, რომელშიც აისახება კომპიუტერული ტექნიკისა და მასში მოცემული ინფორმაციის ნებისმიერი დანაშაულებრივი ხელყოფისაგან დაცვის დღეისათვის ცნობილი ყველა სისხლის სამართლებრივი ასპექტი.

ელექტრონულ-გამომთვლელი ტექნიკის გამოყენების სფეროთა გაფართოების ობიექტური წინამძღვრები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნენ დანაშაულებრივი მიზნით, განსაზღვრავენ სხვადასხვა სახის კომპიუტერული დანაშაულობებისათვის სისხლის სამართლის კოდექსში პასუხისმგებლობის სპეციალური ნორმების არსებობის კანონზომიერებას.

აქედან გამომდინარე, ახალი სისხლის სამართლის კოდექსში მოცემული ნორმების მომზადებასა და შეტანისათვის გასაწევ სამუშაოსთან ერთად, ჩვენის აზრით, მიზანშეწონილი იქნებოდა მასში კომპიუტერული დანაშაულობების განსახილველი სახეობის მუხლის გათვალისწინება.

იმის გათვალისწინებით, რომ ამ სახის დანაშაულობების ჩადენისას ხელყოფის ძირითად ობიექტს წარმოადგენს დანაშაულებრივი მიზნით ტექნიკური მატარებლით — მანქანური დოკუმენტით სხვადასხვაგვარი დანაშაულებრივი მანიპულაცია მათი შექმნისა და გამოყენებისას, გთავაზობთ, სისხლის სამართლის კოდექსის მოცემული მუხლის დისპოზიციის რედაქციის შემდეგ ვარიანტს:

„განზრახი მოქმედების ჩადენა ნებისმიერი ტიპის და მოდიფიკაციის ელექტრონულ-გამომთვლელი ტექნიკის გამოყენებით წინასწარი შეცნობით ცრუ მონაცემებით ერთი და მეტი მანქანური დოკუმენტის ფალსიფიცირებისათვის, აგრეთვე დანაშაულებრივ ქმედებაში გამოყენების მიზნით, სწორად ჩაწერილ ელექტრონულ გამოთვლით ინფორმაციაში ამონაბეჭდებისას განზრახი რაიმე დამახინჯების შეტანა, რამაც გამოიწვია საზოგადოებრივად საშიში შედეგი, ანდა მნიშვნელოვანი მატერიალურ-ეკონომიკური ზიანი, ისჯება...“

სისხლის სამართლის კოდექსში მოცემული ნორმების არსებობა ხელს შეუწყობს აღნიშნული კანონსაწინააღმდეგო ქმედებებისათვის სასჯელის გარდუვალობის პრინციპის რეალიზაციის და ამავე დროს ზოგადპრევენტულ ზემოქმედებას იქონიებს იმ პირებზე, რომელთაც აქვთ კომპიუტერული ტექნიკით კანონსაწინააღმდეგო ქმედებათა ჩადენის მიდრეკილება.

³ См. Б. С. Никифоров, Ф. М. Решетников, Современное американское уголовное право», М. Наука, 1990 г. с. 184—192; А. В. Черных, Некоторые вопросы уголовно-правовой квалификации компьютерных мошенничеств, — Сов. государство и право, 1989, № 6, с. 71—75; С. Яниц, А. Черных, Компьютеры и преступность, — Соц. законность, 1989, № 6, с. 64—66; Ю. М. Батурин, Проблемы компьютерного права, М., Юрид. литер. 1991 и др.

**საქართველოს რესპუბლიკაში ნარკოტიკების,
 ნარკობიზნესისა და ნარკომაფიის წინააღმდეგ ბრძოლის
 სახელმწიფო პროგრამა**

1. ზოგადი დებულებანი

1.1. საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტი (სახელმწიფოს მეთაური) აღნიშნავს, რომ ქვეყანაში პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების დესტაბილიზაციამ ნარკოტიკების არნახული ზრდა გამოიწვია, რამაც, შესაძლოა, ეროვნულ კატასტროფამდე მიგვიყვანოს. ამ ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლა უმნიშვნელოვანეს პრობლემად გვეკლინება, რამაც განაპირობა სახელმწიფო პროგრამის შემუშავება;

1.2. საქართველოს რესპუბლიკაში ნარკოტიკების, ნარკობიზნესისა და ნარკომაფიის წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო პროგრამას სავალდებულო ძალა აქვს მას შემდეგ, რაც მას დაამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტი (სახელმწიფოს მეთაური). მისი მოთხოვნების აუცილებელი შესრულება ევალება საქართველოს რესპუბლიკის ყველა სახელმწიფო დაწესებულებას, საზოგადოებრივ ორგანიზაციასა და კერძო პირს, მიუხედავად იმისა, არის თუ არა იგი საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე;

1.3. საქართველოს რესპუბლიკაში ნარკოტიკების, ნარკობიზნესისა და ნარკომაფიის წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო პროგრამის მოთხოვნათა ცხოვრებაში გატარების ოპერატიული ხელმძღვანელობისა და კონტროლის მიზნით საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტი (სახელმწიფოს მეთაური) ნიშნავს პროგრამის დირექტორს (კოორდინატორს), რომელიც იმავდროულად არის საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო მეთაურის თანაშემწე (მრჩეველი) ნარკოტიკების, ნარკობიზნესისა და ნარკომაფიის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებში;

1.4. პროგრამის დირექტორი (კოორდინატორი) კვარტალში ერთხელ სახელმწიფო პროგრამის განხორციელების მიმდინარეობის შესახებ ანგარიშს აბარებს საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტს (სახელმწიფო მეთაურს). იგი ყოველი წლის ბოლოს წერილობითი ანგარიშით წარსდგება პარლამენტის (სახელმწიფოს მეთაურის) წინაშე, რომელიც გამოქვეყნდება პრესაში.

1.5. სახელმწიფო პროგრამის დირექტორი (კოორდინატორი) ქმნის ტექნიკურ მუშაკთა აპარატს, რომელიც პრაქტიკულად ასრულებს მაკონტროლებელ და მაკოორდინირებელ ფუნქციებს. აპარატის საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები დაიფარება სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებიდან.

**2. პროგრამის პოლიტიკური და თეორიულ-მეთოდოლოგიური
 წინააღმდეგობა**

2.1. ნარკოტიკების, ნარკობიზნესისა და ნარკომაფიის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის (სახელმწიფოს მეთაურის) მიერ განიხილება როგორც ქვეყნის სამინაო და საგარეო პოლიტიკის განუყოფელი ნაწილი;

2.2. აქედან გამომდინარეობს, რომ ქვეყანაში საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების მიერ ეკონომიკური და სოციალური განვითარების პოლიტიკის განსაზღვრისა და განხორციელებისას, სათანადო რეალიზაცია უნდა პოვოს ნარკოტიკების, ნარკობიზნესისა და ნარკომაფიის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებმა;

2.3. საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტი (სახელმწიფოს მეთაური) კისრულობს ვალდებულებას, ყველა არსებული საშუალებით ხელი შეუწყოს ნარკოტიკების, ნარკობიზნესისა და ნარკომაფიის წინააღმდეგ ბრძოლას საერთაშორისო მასშტაბით;

2.4. ამ მიზნით იგი უერთდება ყველა დღეს მოქმედ საერთაშორისო შეთანხმებას ნარკოტიკების, ნარკობიზნესისა და ნარკომაფიის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში, აგრეთვე თანამშრომლობს როგორც საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ისე მსოფლიო თანამეგობრობის ცალკეულ ქვეყნებთან;

2.5. საქართველოს რესპუბლიკა ვალდებულებას კისრულობს ქვეყნის შიგნით ნარკოტიკების, ნარკობიზნესისა და ნარკომაფიის წინააღმდეგ ბრძოლის განხორციელებისას სრულად გაითვალისწინოს ამ საქმეში დამკვიდრებული საერთაშორისო პრაქტიკა, აგრეთვე ყველა სხვა დაინტერესებული ქვეყნის ინტერესები;

2.6. საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტი (სახელმწიფოს მეთაური) ნარკოტიკების, ნარკობიზნესისა და ნარკომაფიის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების განხორციელების პროცესში უპირატესობას ანიჭებს პროფილაქტიკურ საქმიანობას, თუმცა ამასთან ერთად ახორციელებს მკაცრ სამართლებრივ პოლიტიკას, რისთვისაც მიმართავს თანამედროვე ცივილიზირებულ მსოფლიოში არსებულ ყველა რეპრესიულ საშუალებას;

2.7. საქართველოს რესპუბლიკაში ნარკომანების განკურნებისა და ხელახალი აღზრდის მიზნით ხორციელდება ანონიმური ნებაყოფლობითი და გამჟღავნებული ნებაყოფლობითი მკურნალობა, აგრეთვე იძულებითი მკურნალობა ადმინისტრაციული წესით და იძულებითი მკურნალობა სისხლისსამართლებრივი წესით, რაც რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით;

2.8. საქართველოს რესპუბლიკაში ნარკოტიკული ნივთიერებების მომხმარებელთა მიმართ ხორციელდება პროფილაქტიკურ-გამაფრთხილებელი ღონისძიებები, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში — ადმინისტრაციული და საზოგადოებრივი ზემოქმედების ზომები, რაც განსაზღვრულია მოქმედი კანონმდებლობით;

2.9. საქართველოს რესპუბლიკა ამიერიდან უარს ამბობს ნარკომანებისა და ნარკოტიკული ნივთიერებების მომხმარებლების მიმართ სისხლისსამართლებრივი სასჯელის ღონისძიებების გამოყენებაზე ნარკოტიკული საშუალებების ხმარებისათვის ან ამ საშუალებების გასაღების მიზნის გარეშე ანუ საკუთარი მოხმარებისათვის დამზადების, შეძენის, შენახვის, გადაზიდვისა და გადაგზავნისათვის, თუ მათ ქმედებაში არ იქნება რაიმე სხვა დანაშაულის შემადგენლობის ნიშნები;

2.10. საქართველოს რესპუბლიკაში ნარკომანების ნებაყოფლობითი და იძულებითი მკურნალობის ხარჯებს სახელმწიფო კისრულობს, რაც არ გამორიცხავს ფასიან ნებაყოფლობით მკურნალობას სტაციონარის პირობებში მათივე სურვილით;

2.11. საქართველოს რესპუბლიკაში ნარკომანების ნებაყოფლობით მკურნალობას ახორციელებენ მხოლოდ სახელმწიფო ჯანმრთელობის დაცვის ორგა-

ნობი, ხოლო იძულებით მკურნალობას — შინაგან საქმეთა ორგანოები ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებთან ერთად;

2.12. იმ მოქალაქეთა უფლებები და ინტერესები, რომლებიც გადიან ნებაყოფლობითი ან იძულებითი მკურნალობის კურსს, დაცულია საქართველოს რესპუბლიკის მოქმედი კანონმდებლობით;

2.13. ამასთან ერთად, ხელმძღვანელობს რა ადამიანთა ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის ჭეშმარიტად ჰუმანური პრინციპებით, საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტი (სახელმწიფო მეთაური) ნარკომანების მიმართ მათი მკურნალობის პროცესში უშვებს თავისუფლების გარკვეული შეზღუდვების გამოყენებას, როდესაც მათ, სხვა სულით ავადმყოფთა მსგავსად, აღენიშნებათ ინტელექტუალური ან ნებელობითი მოქმედების მოშლილობა, რაც რეალურ საფრთხეს უქმნის როგორც თვით ნარკომანების, ისე გარშემომყოფთა სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას და რაც დანერგილია თანამედროვე მსოფლიო სამედიცინო პრაქტიკაში;

2.14. საქართველოს პარლამენტი (სახელმწიფო მეთაური) მიიჩნევს, რომ საქართველოს რესპუბლიკაში შეურიგებელი ბრძოლა უნდა მიმდინარეობდეს ნარკოტიზმისა და ნარკომანიის, ნარკობიზნესისა და ნარკომაფიის და არა ნარკომანების წინააღმდეგ. ამასთან ერთად იგი უშვებს გარკვეული, კანონით განსაზღვრული, ადმინისტრაციული იძულებისა და საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებების გამოყენებას ნარკოტიკული ნივთიერებების მომხმარებელთა და ნარკომანთა მიმართ იმ მიზეზით, რომ ნარკომანთა არის ქცევის დაავადება და გამოიხატება ნარკოტიკული ნივთიერებების ზმარებაში, რაც ეწინააღმდეგება ცივილიზირებულ საზოგადოებაში დამკვიდრებულ ადამიანთა ქცევის ნორმებს და პიროვნების ანტისაზოგადოებრივი განწყობის ნიშანია.

3. პროგრამის სტრუქტურა

3.1 საქართველოს რესპუბლიკაში ნარკოტიზმის, ნარკობიზნესისა და ნარკომაფიის წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო პროგრამის სტრუქტურაში იგულისხმება ამ სოციალური ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლის ძირითადი მიმართულებები;

3.2. საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტს (სახელმწიფოს მეთაურს) საქმიანობის ამგვარ მიმართულებად მიაჩნია:

1. საქართველოს რესპუბლიკაში ნარკოტიზმის, ნარკობიზნესისა და ნარკომაფიის წინააღმდეგ ბრძოლის ხელმძღვანელობა, კოორდინაცია და კონტროლი;

2. საერთაშორისო თანამშრომლობა;

3. ნარკოტიზმის, ნარკომანიის, ნარკობიზნესისა და ნარკომაფიის წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივი რეგულირება;

4. ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარების გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლა;

5. ნარკოტიკული ნივთიერებების შემცველი სასოფლო-სამეურნეო კულტურების დათესვისა და მოყვანის წინააღმდეგ ბრძოლა;

6. ნარკოტიკული ნივთიერებების გასაღების მიზნით შეძენის, შენახვის, გადაზიდვის, გადაზავნისა და გასაღების წინააღმდეგ ბრძოლა;

7. ნარკობიზნესისა და ნარკომაფიის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოს რესპუბლიკაში და მის ფარგლებს გარეთ;

8. საქართველოს რესპუბლიკის ფარმაცევტულ და სამკურნალო დაწესებულებებში ნარკოტიკული პრეპარატების დატაცების წინააღმდეგ ბრძოლა;
9. ნარკომანების ნებაყოფლობითი მკურნალობა;
10. ნარკომანების იძულებითი მკურნალობა ადმინისტრაციული წესით;
11. დანაშაულის ჩამდენი ნარკომანების იძულებითი მკურნალობა;
12. ნარკომანიისაგან განკურნებულების რეაბილიტაცია და რესოციალიზაცია;
13. არასახელმწიფოებრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა.

4. საქართველოს რესპუბლიკაში ნარკოტიკუმის, ნარკობიზნესისა და ნარკომაფიის წინააღმდეგ ბრძოლისა და ნარკომაფიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთო ხელმძღვანელობას ახორციელებს პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური;

4.1. საქართველოს რესპუბლიკაში ნარკოტიკუმის, ნარკობიზნესისა და ნარკომაფიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთო ხელმძღვანელობას ახორციელებს პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური;

4.2. საქართველოს რესპუბლიკაში ნარკოტიკუმის, ნარკობიზნესისა და ნარკომაფიის წინააღმდეგ ბრძოლის მიმდინარეობის ოპერატიულ ხელმძღვანელობას, კოორდინაციასა და კონტროლს უშუალოდ ახორციელებს პარლამენტის (სახელმწიფოს მეთაურის) მიერ დანიშნული სახელმწიფო პროგრამის დირექტორი (კოორდინატორი), რომელიც მოქმედებს (პარლამენტის) სახელმწიფოს მეთაურის სახელით და მის მიერ მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში;

4.3. საქართველოს რესპუბლიკაში ნარკოტიკუმის, ნარკობიზნესისა და ნარკომაფიის წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო პროგრამის ცალკეული მიმართულებების პრაქტიკულ რეალიზაციას უზრუნველყოფენ ქვემოთ მოხსენიებული სამინისტროები და უწყებები, მათი თანამდებობის პირები, რომლებიც ხელმძღვანელობენ ამ პროგრამით და საქართველოს რესპუბლიკის მოქმედი კანონმდებლობით;

4.4. სახელმწიფო პროგრამის მოთხოვნათა შეგნებულად შეუსრულებლობა ან არასათანადო შესრულება განიხილება როგორც საქართველოს რესპუბლიკაში დამკვიდრებული სახელმწიფო დისციპლინის დარღვევა და იწვევს პასუხისმგებლობას, რომლის ხასიათსა და ზომას განსაზღვრავს პარლამენტი (სახელმწიფოს მეთაური).

5. საერთაშორისო თანამშრომლობა

5.1. ითვალისწინებს რა იმ გარემოებას, რომ სსრკ-ს დაშლის შემდეგ საქართველოს არ მიუღია რაიმე ზომა ნარკოტიკუმის, ნარკობიზნესისა და ნარკომაფიის წინააღმდეგ საერთაშორისო ბრძოლაში მონაწილეობის მისაღებად, პარლამენტი (სახელმწიფოს მეთაური) მიიჩნევს, რომ აუცილებელია რესპუბლიკა შეუერთდეს ყველა საერთაშორისო შეთანხმებას ამ სფეროში, პირველ რიგში კი 1961 წელს მიღებულ ერთიან კონვენციას;

5.2. ამ ხარვეზის შევსების მიზნით დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს სამი თვის ვადაში ჩაატაროს ყველა მოსამზადებელი სამუშაო, შეიმუშაოს საჭირო დოკუმენტების პაკეტი და გამოიტანოს პარლამენტის სხდომაზე დასამტკიცებლად, რათა საქართველოს რესპუბლიკა გახდეს ნარკოტიკუმის, ნარკობიზნესისა და ნარკომაფიის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით მიღებული ყველა საერთაშორისო შეთანხმების მონაწილე;

5.3. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს თავისი აპარატის მეშვეობით სისტემატიურად ადევნოს თვალყური ცვლილებებს ამ სფეროში მოქმედ საერთაშორისო შეთანხმებათა შინაარსში, აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკის მიერ აღნიშნულ შეთანხმებათა მოთხოვნების შესრულებას და საჭიროების შემთხვევაში დაშვებული დარღვევების შესახებ აცნობოს პარლამენტს (სახელმწიფოს მეთაურს);

5.4. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს, საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან ერთად დაამყაროს საქმიანი კავშირი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციასთან, მის სისტემაში მოქმედ ნარკოტიკების კომიტეტთან;

5.5. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს შექმნას ანალოგიური ნარკოტიკების კომიტეტი და უზრუნველყოს მისი ეფექტიანი ფუნქციონირება;

5.6. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ნარკოტიკების კომიტეტს, თავისი საქმიანობა განახორციელოს ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ნარკოტიკების კომიტეტის მიერ შემუშავებული კურსის სრულ შესაბამისობაში.

6. ნარკოტიზმის, ნარკობიზნესისა და ნარკომაფიის წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივი რეზულირება

6.1. ხელმძღვანელობს რა კანონიერებისა და მოქალაქეთა უფლებების გაუნხრელად დაცვის ინტერესებით, საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტს მიანიჭა, რომ ნარკოტიზმის, ნარკობიზნესისა და ნარკომაფიის წინააღმდეგ ბრძოლის სხვადასხვა ღონისძიებები ზუსტად უნდა იქნას რეგლამენტირებული მოქმედი კანონმდებლობით;

6.2. აქედან გამომდინარე დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურასა და შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ერთად ორი თვის ვადაში შეიმუშაოს და დასამტკიცებლად წარმოადგინოს შემდეგ კანონთა პროექტები:

1. კანონი ნარკოტიზმის, ნარკობიზნესისა და ნარკომაფიის წინააღმდეგ ბრძოლის სისხლისსამართლებრივი ღონისძიებების შესახებ. აგი აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ნარკოტიკული ნივთიერებების შემცველი სასოფლო-სამეურნეო კულტურების უკანონო დათესვისა და მოყვანისათვის, ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარების ბუნების მოწყობისათვის, ნარკოტიკული ნივთიერებების დატაცებისათვის, მათი გასაღების მიზნით დამზადების, შექმნის, შენახვის, გადაზიდვის, გადაგზავნის ან გასაღებისათვის, ნარკოტიკული ნივთიერების მიღებაზე არასრულწლოვანის და სრულწლოვანის დაყოფისათვის, ნარკოტიკული ნივთიერებების შემცველი სამკურნალო პრეპარატების ან მათი ნედლეულის შექმნის, შენახვის, გაცემის, გადაზიდვის, გადაგზავნის არსებული წესების დარღვევისათვის, იძულებითი მკურნალობის დაწესებულებიდან ამ გზიდან გაქცევისათვის, იძულებითი მკურნალობისათვის თავის არიდებისათვის ან სამკურნალო-შრომით დაწესებულებებში არსებული სამკურნალო და შრომითი რეჟიმის, აგრეთვე შინაგანაწესის მოთხოვნათა სისტემატური ან ბოროტი დარღვევისათვის, სააფთიაქო, სამკურნალო და პროფილაქტიკური დაწესებულებების მუშაკებისაგან ნარკოტიკული ნივთიერებების შემცველი სამკურნალო პრეპარატების გამოძალვისათვის. კანონპრო-

ექტში განსაკუთრებული ადგილი უნდა დაეთმოს ნარკომადიისა და მისი ლიდერების მიმართ მკაცრი სისხლისსამართლებრივი ღონისძიებების გამოყენების საკითხს;

2. კანონი ნარკოტიკული ნივთიერების ექიმის დანიშნულების გარეშე განმეორებით ხმარების, ნარკოტიკული ნივთიერების გასაღების მიზნის გარეშე დამზადების, შექმნის, შენახვის, გადაზიდვის, გადაგზავნისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შემოღების შესახებ;

3. კანონი ნარკომანების ადმინისტრაციული წესით იძულებითი მკურნალობის შესახებ;

4. კანონი დანაშაულის ჩამდენი ნარკომანების იძულებითი მკურნალობის შესახებ;

5. კანონი საქართველოს რესპუბლიკაში საყოველთაო ანტინარკოტიკული კონტროლის შემოღებისა და მისი გავლის წესის შესახებ.

6.3. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ერთი თვის ვადაში მოამზადოს და კოლეგიაზე დაამტკიცოს ბრძანება:

1. ნარკომანების მიერ ანონიმური და გამჟღავნებელი ნებაყოფლობითი მკურნალობის კურსის გავლის წესის შესახებ;

2. ნარკომანებისა და ნარკოტიკულ ნივთიერებათა მომხმარებლების აღრიცხვის, კონტროლის და დისპანსერული მეთვალყურეობის განხორციელების წესის შესახებ;

3. ნარკოტიკული ნივთიერების შემცველი პრეპარატების ცენტრალიზებული წესით შექმნის, აღრიცხვის, კონტროლის, შენახვის, გადაზიდვის, გადაგზავნის, გაცემის და სამედიცინო პრაქტიკაში გამოყენების წესის შესახებ.

7. ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარების და გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლა

7.1. საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტს (სახელმწიფოს მეთაურს) ნათლად აქვს წარმოდგენილი, რომ ნარკოტიკების, ნარკობიზნესისა და ნარკომადიის წინააღმდეგ მიმართული ყველა ზომა საბოლოო ანგარიშით მიმართულია ნარკომანებისა და ნარკოტიკულ ნივთიერებათა მომხმარებლების ოდენობის შემცირებისაკენ;

7.2. ამასთან ერთად, სახელმწიფო პროგრამა ითვალისწინებს ისეთ სპეციალურ ღონისძიებებს, რომლებიც უშუალოდ არის მიმართული ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარების აღკვეთისა და თავიდან აცილებისაკენ;

7.3. აქედან გამომდინარე, საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტი ავალებს მინისტრთა კაბინეტს სამი თვის ვადაში უზრუნველყოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სისტემაში რესპუბლიკური და ყველა საქალაქო თუ რაიონული (ზონალური) ნარკოლოგიური დისპანსერის, აგრეთვე სტაციონარის ნორმალური ფუნქციონირება;

7.4. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ერთად უზრუნველყოს რესპუბლიკის ნარკოლოგიურ დაწესებულებებში ნარკომანებისა და ნარკოტიკული ნივთიერებების მომხმარებლების, აგრეთვე ნარკოტიკულ ნივთიერებათა ხმარებაში ეჭვმიტანილების ზუსტი აღრიცხვა და კონტროლი, მათი პერიოდული სამედიცინო შემოწმება, აგრეთვე ინფორმაციის ურთიერთგაცვლა და შეჯერება;

7.5. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ნარკომანების, ნარკოტიკულ ნივთიერებათა მომ-

ხმარებლებისა და ნარკოტიკულ ნივთიერებათა ხმარებაში ეჭვმიტანილებს შორის სახებ ინფორმაცია მიაწოდონ შრომით კოლექტივებს, სასწავლო და აღმზრდევლობით დაწესებულებებს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, აგრეთვე მშობლებს;

7.6. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ერთად ორი თვის ვადაში მინისტრთა კაბინეტს წარუდგინოს რესპუბლიკაში ნარკოლოგიური კაბინეტების, პუნქტებისა და საგუშაგოების შექმნისა და ნორმალური ფუნქციონირების პროექტი და ხარჯთაღრიცხვა;

7.7. შემოღებულ იქნას სამი თვის ვადაში საქართველოს მთელს ტერიტორიაზე საყოველთაო ანტინარკოტიკული კონტროლი, რაც განხორციელდეს ადამიანთა შარდსა, სისხლსა და ნერწყვში ნარკოტიკული ნივთიერებების აღმოჩენის მეთოდების საყოველთაო დანერგვის გზით;

7.8. ანტინარკოტიკული კონტროლის განხორციელების საქმეში მაქსიმალურად იქნას გამოყენებული ამერიკის შეერთებული შტატებისა და საქართველოს აწდავიწყებას მიცემული გამოცდილება, სადაც ამგვარი კონტროლი ეპიზოდურად უფრო ადრე გამოიყენებოდა;

7.9. ანტინარკოტიკული კონტროლი განხორციელდეს მოულოდნელობის პრინციპით და მას დაექვემდებაროს მოსახლეობის ყველა ფენა: სამართალდამცავი ორგანოების მუშაკები, სახელმწიფო სამსახურში მყოფი სხვა მოქალაქეები, სამხედრო სამსახურში მყოფი პირები, საომარი მოქმედების ზონაში დასალოცირებული შეიარაღებული ფორმირებებს წევრები, მოხალისეები, სტუდენტები, მოსწავლეები და ა. შ.;

7.10. საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობისათვის მაგალითის მიცემის მიზნით ანტინარკოტიკულ კონტროლს, უპირველეს ყოვლისა, გაივლიან პარლამენტის წევრები პარლამენტის თავმჯდომარის – სახელმწიფოს მეთაურის ჩათვლით, აგრეთვე მინისტრთა კაბინეტის პასუხისმგებელი მუშაკები;

7.11. საქართველოს რესპუბლიკაში ანტინარკოტიკული კონტროლის გავლა სავალდებულოა და მასზე უარის თქმა ან თავის არიდება ადმინისტრაციულა, დისციპლინარული ან სხვა სახის პასუხისმგებლობის დადგომის საფუძველად ჩაითვლება;

7.12. ეთხოვოს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას სამი თვის ვადაში ჰუმანიტარული დახმარების საზით მოგვაწოდოს ანტინარკოტიკული კონტროლის ფართო მასშტაბით განხორციელებისათვის აუცილებელი სამედიცინო აპარატურა, მოწყობილობა, პრეპარატები, აგრეთვე გაგვიწიოს ქმედითა მეთოდური დახმარება;

7.13. ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარების გაერცელების მასშტაბების შემცირებისათვის ბრძოლაში საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტი (სახელმწიფოს მეთაური) დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ანტინარკოტიკულ პროპაგანდასა და აღზრდას. იგი მიიჩნევს, რომ საქართველოს ჟურნალისტთა კორპუსს ანტინარკოტიკული პროპაგანდის წარმოების მდიდარი ტრადიციები გააჩნია, ამიტომ საჭიროა ამ ტრადიციების ახალ ნიადაგზე აღორძინება.

7.14. ამასთან ერთად, ანტინარკოტიკული პროპაგანდა უკავშირდება იმ საფრთხეს, რომ მას შეიძლება სრულიად საპირისპირო შედეგი მოჰყვეს, თუ არ აქნება სწორად ორგანიზებული და წარმართული, ამიტომ საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტი (სახელმწიფოს მეთაური) ავალბებს სახელმწიფო პროგრამის დირექტორს (კოორდინატორს) და მის აპარატს განხორციელოს გამოსაქვეყნებელი ან გადასაცემი მასალის წინასწარი პროფესიული ექსპერტიზა;

7.15. საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტი (სახელმწიფოს მეთაური) აყენებს საკითხს ტელერადიოდეპარტამენტის, ჟურნალ-გაზეთების რედაქციების, ჟურნალისტების წინაშე ანტინარკოტიკული პროპაგანდის ფართოდ გაშლისა და მაღალ პროფესიულ დონემდე ამაღლების აუცილებლობის შესახებ,

7.16. ანტინარკოტიკული პროპაგანდის საქმეში ლექციური პროპაგანდის როლის ამაღლების მიზნით დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროს, მოამზადონ ლექტორთა ჯგუფები და უზრუნველყონ მათი ეფექტიანი საქმიანობა;

7.17. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროს, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან ერთად მომავალი სასწავლო წლისათვის მოამზადოს სპეციალური პროგრამა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და პროფტექსასწავლებლებში ანტინარკოტიკული აღზრდის ორგანიზაციის შესახებ, რისთვისაც ფართოდ გამოიყენოს ამერიკის შეერთებული შტატების გამოცდილება;

7.18. ეთხოვოს ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს აღმოუჩინოს ქმედითი დახმარება საქართველოს განათლების სამინისტროს ამერიკაში აპრობირებული ანტინარკოტიკული აღზრდის პროგრამების მიღების საქმეში.

8. ნარკოტიკული ნივთიერებების უმცირესი სასოფლო-სამეურნეო კულტურების დათესვისა და მოყვანის აღკვეთის ღონისძიებები

8.1. საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტი (სახელმწიფოს მეთაური) აღნიშნავს, რომ მიუხედავად ამისათვის ხელსაყრელი ბუნებრივი პირობებისა, საქართველოში დღემდე იშვიათად გვხვდება ნარკოტიკული ნივთიერებების შემცველი სასოფლო-სამეურნეო კულტურების დათესვისა და მოყვანის შემთხვევები, მაგრამ ეს დამშვიდების საფუძველს არ იძლევა. ამასთან ერთად, საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე საკმაოდ ხშირად გვხვდება ნარკოტიკული ნივთიერებების შემცველი სარეველა მცენარეები, რომლებსაც ნარკომანები იყენებენ, ამიტომ დგება მათი განადგურების ამოცანა;

8.2. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებთან ერთად ორი თვის ვადაში მოაგროვოს ობიექტური ინფორმაცია ნარკოტიკული ნივთიერებების შემცველი სარეველა მცენარეების გავრცელების გეოგრაფიის შესახებ და მიმდინარე წლის გაზაფხულისა და ზაფხულის პერიოდში განახორციელოს მათი განადგურების ღონისძიებები;

8.3. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს, ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებთან ერთად შეიმუშაოს და განახორციელოს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე ნარკოტიკული ნივთიერების შემცველი სასოფლო-სამეურნეო კულტურების უკანონო ნათესების აღმოჩენის, მათი განადგურების, დამნაშავეთა მხილებისა და მკაცრად დასჯის ქმედითი ღონისძიებები.

9. ნარკოტიკული ნივთიერების გასაღების მიზნით შიკანის, შენახვის, გადაზიდვის, გადაგზავნისა და გასაღების წინააღმდეგ ბრძოლა

9.1. საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტი (სახელმწიფოს მეთაური) აღნიშნავს, რომ უკანასკნელ წლებში საქართველოში შექმნილი სრული ქაოსის

პირობებში რესპუბლიკის სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობა, მიმართული ნარკოტიკული ნივთიერებების გასაღების მიზნით შექმნის, შენახვის, გადაზიდვის, გადაგზავნის, აგრეთვე გასაღების წინააღმდეგ, ოდნავადაც ვერ პასუხობს არსებულ მოთხოვნებს, ამიტომ შექმნილი მდგომარეობა შეიძლება შეფასდეს როგორც კრიტიკული;

9.2. დაევალოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, რესპუბლიკის პროკურატურას, იუსტიციის სამინისტროს, რესპუბლიკის ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს ამ დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლა აქციონ მუდმივად უზრუნველყოს საგნად;

9.3. მოწონებულ იქნას საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ნარკომანიასთან დაკავშირებულ დანაშაულთა წინააღმდეგ საბრძოლველად სპეციალური სამმართველოს შექმნის ფაქტი. სამინისტროს დაევალოს აღნიშნული სამმართველო დააკომპლექტოს პროფესიულად მომზადებული და ზნეობრივად სუფთა თანამშრომლებით, შეუქმნას მათ შრომისა და ცხოვრების კარგი პირობები;

9.4. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს რესპუბლიკის მსხვილ ქალაქებში, აგრეთვე ავტონომიურ რესპუბლიკებში შექმნას ნარკოტიკული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის სპეციალური ქვეგანყოფილები, ხოლო რაიგანყოფილებებში გამოყოს სისხლის სამართლის სამსახურის ერთი ინსპექტორი, ვინც სპეციალურად იმუშავებს ამ მიმართულებით;

9.5. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს გამოძიების სახსრები ნარკოტიკული ნივთიერებებით უკანონო ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურის თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით აღჭურვისათვის;

9.6. მიღებულ იქნას სპეციალური ზომები ნარკოტიკული ნივთიერებების რესპუბლიკაში უკანონო შემოზიდვის გზების ბლოკირებისათვის. ამ მიზნით თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, სოხუმის აეროპორტებში რესპუბლიკის საბაჟო შინაგან საქმეთა ორგანოებთან ერთად შექმნას სპეციალური საგუშაგოები, რომლებიც განახორციელებენ ტვირთისა და მგზავრთა სადღეღამისო კონტროლს. ასეთივე საკონტროლო საგუშაგოები შეიქმნას რესპუბლიკის რკინიგზისა და საავტომობილო მაგისტრალზე.

9.7. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოველი დონე იხმაროს კინოლოგიური სამსახურის გასაძლიერებლად, ამ სამსახურის მიერ ნარკოტიკულ ნივთიერებებზე დაკეშილი ძალების საჭირო რაოდენობით მოსამზადებლად;

9.8. ეთხოვოს ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს დაეხმაროს საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ანალოგიურ ამერიკულ კინოლოგიურ სამსახურებთან საქმიანი კონტაქტების დამყარებისა და მათგან მეთოდური დახმარების მიღების საქმეში;

9.9. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტროს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ერთად განახორციელოს ქმედითი ზომები ამანათებსა და წერილებში მოთავსებული უკანონო ნარკოტიკების აღმოსაჩენად და მათი როგორც გამგზავნის, ისე ადრესატის ვინაობის დასადგენად;

9.10. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალური პოლიციის მთავარ სამმართველოს დაამყაროს საქმიანი კონტაქტები და ითანამშრომლოს ყოფილი სსრკ-ს იმ რესპუბლიკებისა და რეგიონების ანალოგიურ სამსახურებთან, საიდანაც რესპუბლიკაში შემოდის უკანონო ნარკოტიკული ნივთიერებების პარტიები;

9.11. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს, დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის პრობლემათა სამეცნიერო-კვლევით ცენტრს დაამუშაოს სპეციალური ინფორმაციული ავტომატიზებული სისტემა, რომელიც დახმარებას გაუწევს ოპერატიულ-სამძებრო სამსახურებს „შავ ბაზარზე“ ნარკოტიკული ნივთიერებებით უკანონო ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ ამოცანის გადაწყვეტის მატერიალური უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრომ გამოეცხადოს საჭირო სახსრები.

10. ნარკობიზნესისა და ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოს რესპუბლიკაში და მის უარბლებს ბარში

10.1. საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტი (სახელმწიფოს მეთაური) ეთანხმება ნარკოტიკზმის, ნარკობიზნესისა და ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის ამერიკელ და ქართველ ექსპერტთა ერთხლოვან აზრს, რომ სსრკ-ს დაშლის შემდეგ შუა აზია და კავკასია სულ მალე ვახდება მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების „შავი ბაზრისათვის“ ნარკოტიკული ნივთიერებების მსხვილი მიმწოდებელი, ხოლო საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორია საერთაშორისო ნარკომანიის მიერ გამოყენებულ იქნება როგორც სატრანზიტო გზა და სატრანსპორტო კარიბჭე. შორს არ არის ის დრო, როდესაც ნარკოტიკების საერთაშორისო არალეგალური გადაზიდვის ვხეები არა მარტო შუა აზიიდან და ჩრდილოეთ კავკასიიდან, არამედ აღმოსავლეთის რიგი სხვა ქვეყნიდან სწორედ საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე გაივლის;

10.2. საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტს (სახელმწიფოს მეთურს) მიაჩნია, რომ საერთაშორისო ნარკომანიის მიერ საქართველოს ტერიტორიის ნარკოტიკული ნივთიერებების უკანონო საერთაშორისო გადაზიდვების სატრანზიტო გზად გადაქცევა საფორხეს უქმნის არა მხოლოდ დასავლეთის ქვეყნებს, არამედ პირველ რიგში საქართველოს რესპუბლიკას, ამიტომ საჭიროა დაუყოვნებლივ მივიღოთ გამაფრთხილებელი ზომები;

10.3. ამასთან დაკავშირებით დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს დიპლომატიური გზით დაამყაროს კონტაქტი საერთაშორისო ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებით დაინტერესებული დასავლეთის ქვეყნების მთავრობებთან იმ მიზნით, რათა ერთობლივი ძალისხმევით საქართველოს ტერიტორიაზე შეიქმნას სპეციალური საინფორმაციო და ოპერატიულ-სამძებრო სამსახური.

10.4. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროს დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის პრობლემათა სამეცნიერო-კვლევით ცენტრთან ერთად სამი თვის ვადაში მოამზადოს და ჩაატაროს ქ. თბილისში ნარკობიზნესისა და ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში დასავლეთის განვითარებული ქვეყნებისა და ქართველ ექსპერტთა საქმიანი შეხვედრა, სადაც განხილულ იქნება ამგვარი სამსახურის შექმნის პრაქტიკული საკითხები და შედეგები მოახსენოს პარლამენტს (სახელმწიფოს მეთაურს).

11. საქართველოს რესპუბლიკის უარმაცხვებულ და სამკურნალო დაწესებულებაში ნარკოტიკული პრეპარატების დატანების წინააღმდეგ ბრძოლა

11.1. საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტი (სახელმწიფოს მეთაური) მიიჩნევს, რომ რესპუბლიკის „შავი ბაზრის“ ნარკოტიკული ნივთიერებებით მო-

მარაგების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს შეიძლება წარმოადგენდეს ფარმაცევტიული და სამედიცინო ქსელი. ნარკოტიკული ნედლეულის გადამუშავების, დამზადებული პრეპარატების განაწილებისა და სამედიცინო პრაქტიკაში გამოყენების პროცესში არსებობს მათი დატაცებისა და უკანონო რეალიზაციის მრავალი საშუალება, ამიტომ აუცილებელია უახლოეს დროში დამყარდეს სამაგალითო წესრიგი ამ საქმეში;

11.2. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და რესპუბლიკის პროკურატურასთან ერთად სისტემატიურად განახორციელოს ნარკოტიკული ნივთიერებების შემცველი სამკურნალო პრეპარატების დამზადების, აღრიცხვის, შენახვის, გადაზიდვის, გადაგზავნისა და სამედიცინო დანიშნულებით გამოყენების დადგენილი წესების ზუსტად შესრულების კონტროლი და ამ წესების დამრღვევ პირთა მიმართ გამოიყენოს სასჯელის მკაცრი ზომები.

11.3. ნარკოტიკული ნივთიერებების შემცველი პრეპარატების ფარმაცევტიულ და სამკურნალო დაწესებულებებში აღრიცხვის, შენახვის, გადაზიდვის, გადაგზავნის და სამედიცინო პრაქტიკაში გამოყენების დადგენილი წესების დარღვევების თავიდან აცილებისა და აღკვეთის მიზნით საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ შექმნას სპეციალური საკონტროლო-სარევიზიო აპარატი, რომელიც შევა სამინისტროს ნარკოლოგიური განყოფილების შემადგენლობაში;

11.4. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურასა და შინაგან საქმეთა სამინისტროს, ოპერატიულ-სამძებრო და საგამომძიებო აპარატის ძალების გამოყენებით სისტემატიურად აწარმოოს საქმიანობა, მიმართული რესპუბლიკის ფარმაცევტიულ და სამკურნალო დაწესებულებებში ნარკოტიკული ნივთიერებების შემცველი პრეპარატების დიდი ოდენობით დატაცების გამოსავლენად და დამნაშავეთა დასასჯელად;

11.5. იმის გამო, რომ ნარკოტიკული ნივთიერებების შემცველი სამკურნალო პრეპარატების დატაცების გავრცელებული ხერხია მათი გამოწერა არადანიშნულებისამებრ, დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სისტემატიურად შეამოწმოს რესპუბლიკის ონკოლოგიური დაწესებულებების მუშაკთა მიერ ონკოლოგიური ავადმყოფებისათვის ამ პრეპარატების გამოწერის სისწორე და დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში მასალები რეაგირებისათვის გადასცეს საგამომძიებო ორგანოებს;

11.6. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, უზრუნველყოს სამი თვის ვადაში ნარკოტიკული სამკურნალო პრეპარატების დამზადების, აღრიცხვის, შენახვის, გადაზიდვის, გადაგზავნის და სამედიცინო პრაქტიკაში გამოყენების დადგენილი წესების ცოდნა იმ მუშაკების მიერ, რომელთაც ეს ესაჭიროებათ თავიანთ პრაქტიკულ საქმიანობაში;

11.7. იმის გამო, რომ ნარკოტიკული ნივთიერებების შემცველი სამკურნალო პრეპარატების შენახვის წესების დასაცავად საჭიროა სეიფები, რკინის კარდები, სიგნალიზაცია და სხვა, დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს მათ შესაძენად და დასამონტაჟებლად ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს გამოუყოს საჭირო სახსრები.

12. ნარკომანების ნებაყოფლობითი მკურნალობა

12.1. საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტი (სახელმწიფოს მეთაური) მიიჩნევს, რომ საჭიროა ნარკომანების ნებაყოფლობით მკურნალობას უპირატესობა მიეცეს მკურნალობის სხვა მეთოდებთან შედარებით. ნარკომანთა ნება-

ყოფლობითი მკურნალობა თავის მხრივ უნდა ითვალისწინებდეს სტაციონარულ მკურნალობას და დისპანსერულ მკურნალობას. იგი შეიძლება იყოს როგორც გამკლავებელი, ისე ანონიმური. თუმცა ნარკომანთა ნებაყოფლობითი მკურნალობა უნდა ტარდებოდეს სახელმწიფოს ხარჯზე, საჭიროა მსურველებისათვის დაშვებულ იქნას ფასიანი მკურნალობაც და შეიქმნას ამისათვის საჭირო ბაზა;

12.2. ნარკომანთა ნებაყოფლობითი სტაციონარული მკურნალობის უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს განაცხადის საფუძველზე სამი თვის ვადაში აღადგინოს რესპუბლიკური ნარკოლოგიური კლინიკური საავადმყოფოს ფუნქციონირება და მოახდინოს მისი სრული მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვა;

12.3. ნარკომანთა ნებაყოფლობითი მკურნალობისათვის სტაციონარები ექვსი თვის ვადაში შეიქმნას აჭარასა და აფხაზეთში, აგრეთვე ზონალური სტაციონარები — ქ. ქუთაისსა და ქ. ვორში, რისთვისაც ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს განაცხადის საფუძველზე რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა გამოუყოს საჭირო მატერიალური სახსრები;

12.4. ნარკომანთა დისპანსერული მკურნალობისა და მეთვალყურეობის განხორციელების მიზნით საჭიროა ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ შემუშავებულ ამ დაწესებულებათა რესპუბლიკური ქსელის პროექტის რეალიზაცია უზრუნველყოს საქართველოს მინისტრთა კაბინეტმა 1994 წლის ბოლომდე.

12.5. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს წინადადებები ნარკომანთა ანონიმური ნებაყოფლობითი მკურნალობის ორგანიზაციის თაობაზე სამი თვის ვადაში დასამტკიცებლად წარუდგინოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს;

12.6. საქართველოს რესპუბლიკაში ნარკომანთა ნებაყოფლობითი მკურნალობის ორგანიზაცია, მეთოდური ხელმძღვანელობა და კონტროლი დაევალოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ნარკოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს.

13. ნარკომანების იძულებითი მკურნალობა ადმინისტრაციული წესით

13.1. საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტი (სახელმწიფოს მეთაური) მიიჩნევს, რომ ნარკომანების ადმინისტრაციული წესით იძულებითი მკურნალობის ინსტიტუტი ცოფილი ხელისუფლების მიერ სრულიად უსაფუძვლოდ იქნა გაუქმებული, რამაც დიდი ზიანი მოუტანა ნარკომანთა მკურნალობის საქმეს;

13.2. ამასთან ერთად პარლამენტს (სახელმწიფოს მეთაურს) მიაჩნია, რომ საჭიროა ნარკომანების ადმინისტრაციული წესით იძულებითი მკურნალობის მომწესრიგებელ კანონმდებლობაში დროის მოთხოვნათა გათვალისწინებით შესაბამისი ცვლილებებისა და დამატებების შეტანა;

13.3. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან ერთად ერთი თვის ვადაში შეისწავლოს საკითხი სავარჯიშოს სამკურნალო-შრომითი პროფილაქტიკურიუმის მუშაობის განახლებისათვის აუცილებელი ღონისძიებების გატარების შესახებ და განსახილველად წარუდგინოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს;

13.4. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს პერსპექტივაში გაითვალისწინოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ნარკომანებისა და



ალკოპოლიკების იძულებითი მკურნალობისა და შრომითი აღზრდის ახალი სამკურნალო-შრომითი პროფილაქტიკური მშენებლობა, რომელიც უპასუხებს თანამედროვე მოთხოვნებს;

13.5. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს უზრუნველყოს ადმინისტრაციული წესით იძულებით სამკურნალოდ გასაგზავნ პირთა ექსპერტიზის დროული და ხარისხიანი ჩატარება;

13.6. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს უზრუნველყოს სასამართლოებში ამ კატეგორიის საქმეების დროული და ხარისხიანი განხილვა.

14. დანაშაულის ჩამდენი ნარკომანების იძულებითი მკურნალობა

14.1. საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტი (სახელმწიფოს მეთაური) აღნიშნავს, რომ უკანასკნელ ხანს შექმნილი დესტაბილიზაციის პირობებში, რაც თავისუფლების აღკვეთის ადგილებსაც შეეხო, სრულიად მოიშალა დანაშაულის ჩამდენი ნარკომანების იძულებითი მკურნალობის საქმე. არ არის აგრეთვე სრულყოფილი მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობა ამ სფეროში;

14.2. ეთხოვს საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს სასამართლოს განახორციელოს ზედამხედველობა, რათა სასამართლოებმა სისხლის სამართლის საქმეების განხილვისას დანაშაულის ჩამდენ ნარკომანებს სასჯელთან ერთად შეუფარდონ იძულებითი მკურნალობა;

14.3. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს უზრუნველყოს დანაშაულის ჩამდენი ნარკომანების იძულებითი მკურნალობის სწორი ორგანიზაცია, რისთვისაც გამოყოს რომელიმე შრომა-გამასწორებელი დაწესებულება;

14.4. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს აღმოუჩინოს ქმედითი მეთოდური დახმარება შინაგან საქმეთა სამინისტროს დანაშაულის ჩამდენი ნარკომანების იძულებითი მკურნალობის ორგანიზაციაში.

15. ნარკომანიისაგან განკურნებულების რეაბილიტაცია და რესოციალიზაცია

15.1. ნებაყოფლობითი თუ იძულებითი მკურნალობის კურსის გავლისა და ფიზიკური ნარკოტიკული დამოკიდებულებისაგან ავადმყოფის განთავისუფლების შემდეგ დგება მათი რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის საკითხი, რის გარეშეც ძნელია ყოფილმა ნარკომანმა საბოლოოდ აიღოს ხელი ნარკოტიკულა ნივთიერებების მიღებაზე. სწორედ რეაბილიტაციისა და რეადაპტაციის საძრეველებია იმის მიზეზი, რომ მკურნალობის კურსის გავლის შემდეგ ყოფილ ნარკომანთა უდიდესი უმრავლესობა კვლავ უბრუნდება ძველ გზას;

15.2. ამიტომ საქართველოს რესპუბლიკაში ნარკომანთა სრული გამოჯანმრთელებისა და ცხოვრების ნორმალურ კალაპოტში ჩადგომის საქმეში დიდა როლი ენიჭება სპეციალურ ღონისძიებებს, რომელთა შემუშავებისა და განხორციელების დროს საჭიროა უცხოეთის გამოცდილებას მივმართოთ;

15.3. ნარკომანების ნებაყოფლობითი და იძულებითი მკურნალობა ისეთნაირად უნდა იყოს ორგანიზებული, რომ მკურნალობა შეუთავსდეს შრომას, გამოჯანსაღების კვალობაზე პიროვნებამ მიიღოს ნორმალური ცხოვრებისათვის აუ-

ცილებელი შრომითი ჩვევები, საჭიროების შემთხვევაში დაუფლოს ისეთ პროფესიას, რომელიც მას მატერიალურად უზრუნველყოფს საავადმყოფოდან გაწერის ან იძულებითი მკურნალობის დაწესებულებიდან განთავისუფლების შემდეგ და სხვა.

15.4. ამ ამოცანის შესრულების მიზნით დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს განაცხადის საფუძველზე გამოყოს სათანადო სახსრები მკურნალობის პროცესში ნარკომანთა შრომის ორგანიზაციისათვის;

15.5. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალურ სამკურნალო-შრომით დაწესებულებაში აკრძალოს ყოველგვარი ჯანმრთელობისათვის მავნე შრომა, გაათავისუფლოს აღნიშნული დაწესებულება გეგმიური საწარმოო საქმიანობიდან, რათა იძულებითი შრომა ნამდვილ შრომათერაპიად, ნარკომანთა მიერ ცხოვრებაში გამოსადეგი პროფესიის ათვისების პროცესად გადაიქცეს;

15.6. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს არ დაუშვან ყოფილ ნარკომანთა არაავითარი დისკრიმინაცია მათი შრომითი მოწყობის დროს, დაეხმარონ მათ საყოფაცხოვრებო პირობების მოწყობასა და სხვა პრობლემების მოგვარებაში;

15.7. საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტი მოუწოდებს რესპუბლიკის ყველა საწარმოს, ორგანიზაციისა თუ დაწესებულების ხელმძღვანელს, რათა მათ თავიანთ კოლექტივებში არ დაუშვან ყოფილი ნარკომანების ამა თუ იმ მოტივით შევიწროება, მათ მიმართ ნეგატიური დამოკიდებულების გამომჟღავნება მხოლოდ იმ მოტივით, რომ ისინი ადრე ნარკომანები იყვნენ;

15.8. დაისვას საკითხი რესპუბლიკის მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წინაშე, რათა მათ გასწიონ სათანადო პროპაგანდისტული მუშაობა მოსახლეობაში და დაიყვანონ თითოეულ ადამიანამდე, რომ ყოფილი ნარკომანი საქართველოს რესპუბლიკის ისეთივე სრულფასოვანი, სრულუფლებიანი მოქალაქეა, როგორც ყველა დანარჩენი და მათი ინტერესების ამ ნიშნით შელახვა არა მარტო კანონით დაუშვებელია, არამედ ზნეობრივად მიუღებელია, ეწინააღმდეგება ქართველი ერის, საქართველოში მცხოვრები ყველა ერისა თუ ხალხის ინტერესებს;

15.9. საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტისათვის (სახელმწიფო მეთაურისათვის) ცნობილია, რომ მსოფლიოს ცივილიზირებულ ქვეყნებში უკვე დიდი ხანია მოქმედებენ საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომელთა არსებობის მიზანია ხელი შეუწყონ ნარკომანიისაგან განკურნებულ ადამიანებს ცხოვრების მიზნის დაბრუნებასა და საზოგადოებაში თავიანთი ღირსეული ადგილის მოპოვებასა და დამკვიდრებაში. ამის მაგალითად ანონიმური ნარკომანების საზოგადოებათა ჭეშმარიტი ჰუმანიზმით გამსჭვალული საქმიანობაც კმარა;

15.10. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს სამი თვის ვადაში მოიპოვოს საჭირო ინფორმაცია ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დასავლეთის სხვა ქვეყნებში მსგავსი საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობის პრინციპების, აგრეთვე მათ ხელთ არსებულ მდიდარი პრაქტიკული გამოცდილების შესახებ;

15.11. ეთხოვოს ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ჰუმანიტარულად დახმარების ხაზით მოიწვიოს ის ამერიკელი სპეციალური ტეხნიკები, რომლებიც შესძლებენ პრაქტიკული დახმარება აღმოუჩინონ საქართველოს რესპუბლიკას ამ საქმეში.

16. არასახელმწიფოებრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა

16.1. ქრისტიანული რწმენა, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ის ძალაა, რომელსაც მეტად დიდი მისია აკისრია ქართველი ერის, საქართველოში მცხოვრები ყველა მართლმადიდებელი ქრისტიანის სულიერი გაჯანსაღებისა და ამაღლების, ყოველი გზასაცდენილის, მათ შორის ნარკომანის სწორ გზაზე დაყენების საქმეში. ასეთივე როლის შესრულება შეუძლია სომხურ-გრიგორიანულ სარწმუნოებას, ისლამს, იუდეიზმს, რომელსაც საქართველოში ბევრი მიმდევარი ჰყავს;

16.2. საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტი (სახელმწიფოს მეთაური) დაბეჯითებით სთხოვს მათ უფრო აქტიურად ჩაებან ახალგაზრდობის აღზრდაში, ნარკომანებისა და ნარკოტიკული ნივთიერებების მომხმარებლების სწორ გზაზე დაყენებაში. სასარგებლო იქნება, თუ სასულიერო პირები თავიანთ ყურადღებას არ მოაკლებენ აგრეთვე იმ ნარკომანიით დაავადებულებს, რომლებიც ნებაყოფლობითი ან იძულებითი მკურნალობის კურსს გადიან;

16.3. საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტი (სახელმწიფოს მეთაური) მიიჩნევს, რომ ნარკოტიზმის, ნარკობიზნესისა და ნარკომაფიის წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო პროგრამის დირექტორი (კოორდინატორი) და მისი აპარატი განსაკუთრებულ ყურადღებას უნდა იჩინდეს რესპუბლიკასა და მის ფარგლებს გარეთ მოქმედ სხვადასხვა არასახელმწიფოებრივ, მათ შორის საქველმოქმედო საზოგადოებების მიმართ, თუ ისინი რაიმე სახით მიზნად ისახავენ ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას, ნეგატიური მოვლენების თავიდან აცილებას და სხვ.;

16.4. სახელმწიფო პროგრამის დირექტორი (კოორდინატორი) და მისი აპარატი მოვალეა აგრეთვე დღენიადაგ იზრუნოს იმაზე, რათა დაამყაროს მჭიდრო თანამშრომლობა რესპუბლიკასა და მის ფარგლებს გარეთ არსებულ კომერციულ სტრუქტურებთან მათგან მიზნობრივი დანიშნულებით მატერიალური სახსრების მისაღებად;

16.5. ამასთან ერთად პარლამენტს მიაჩნია, რომ საჭიროა ერთი თვის ვადაში მოხდეს ნარკომანიისა, ნარკობიზნესისა და ნარკომაფიასთან ბრძოლის საერთაშორისო ფონდის რეგისტრაცია, რომლის წესდების პროექტი შეიმუშავა და განსახილველად წარმოადგინა საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის პრობლემათა სამეცნიერო-კვლევითმა ცენტრმა;

16.6. აღნიშნული ფონდი საერთაშორისო იმიტომ უნდა იყოს, რომ, როგორც ამას ადასტურებენ ამერიკელი და ქართველი ექსპერტები, ნარკოტიზმის, ნარკობიზნესისა და ნარკომაფიის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში, საქართველოს ტერიტორიაზე ამ საქმიანობის წარმატებით განხორციელება სასარგებლო და აუცილებელია არა მარტო ჩვენთვის, არამედ დასავლეთის განვითარებული ქვეყნებისათვის, პირველ რიგში კი ამერიკის შეერთებულ შტატებისათვის;

16.7. საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტი სთხოვს სახელმწიფოს მეთაურს პირადად ჩაუდგეს აღნიშნულ ფონდს სათავეში, ხოლო მისი ოპერატიული მართვა დაევალოს სახელმწიფო პროგრამის დირექტორს (კოორდინატორს), რაც შესაძლებელს გახდის მაქსიმალურად ეფექტიანად იქნას გამოყენებული მის სამანეთო და სავალუტო ანგარიშზე არსებული მატერიალური სახსრები.

ვახტანგ აბაშმაძე

ქართული რენესანსი და შუა საუკუნეების

კუპანისტური იურისპრუდენცია

შალვა ნუცუბიძის ქართული რენესანსის თეორიას საფუძვლად უდევს გაერთიანებული ფეოდალური ძლიერი ცენტრალიზებული სახელმწიფოებრიობის ისტორიული სინამდვილე, მისი სოციალურ-პოლიტიკური და სამართლებრივი წყობილება. დასავლეთ ევროპის ქვეყნებისა და ქართული რენესანსის პოლიტიკური იდეოლოგიის ურთიერთ შედარებას იმ ლოგიკურ დასკვნამდე მივყავართ, რომ XII საუკუნის ფეოდალურ საქართველოში არსებული მწვავე კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძოლების პროცესში ჩამოყალიბებულმა მრავალფეროვანმა პოლიტიკურმა დოქტრინებმა არსებითად განსაზღვრა ქართული რენესანსის ბუნება. დასავლეთ ევროპის ქვეყნებისაგან განსხვავებით ქართული რენესანსის დამახასიათებელი თავისებურებანი ეროვნული სახელმწიფოებრიობის დაწინაურებამ და XII საუკუნის ფეოდალური საქართველოს პოლიტიკურმა აღზევებამ განსაზღვრა. სწორედ ამიტომ ქართული რენესანსის ძირითადი სპეციფიკური მოტივი, მისი შინაარსის განმსაზღვრელი უმთავრესი შემადგენელი ნაწილი ის პოლიტიკური იდეოლოგიაა, რომელიც სამეფო ხელისუფლებამ შეიმუშავა კავკასიის ტერიტორიაზე მცხოვრებ სხვადასხვა სარწმუნოებისა და ერივნების მქონე ხალხებზე ქართული მრავალეროვანი სახელმწიფოებრიობის განსახორციელებლად, ქართული რენესანსის ბუნება ისტორიულად დაკავშირებულია XII საუკუნეში ფეოდალური საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივ დაწინაურებასთან და ქართული სახელმწიფოებრიობის ინციპიტივით მრავალეროვანი საერთო-კავკასიური სახელმწიფოს შექმნასთან. ფეოდალური საქართველოს შიგნით კლასობრივ ძალთა განლაგების შეცვლამ და აგრეთვე საერთაშორისო ასპარეზზე ხელსაყრელი საგარეო პირობების ჩამოყალიბებამ, ხელი შეუწყო ქართული სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების გავრცელებას თითქმის მთელ კავკასიაში. როგორც ცნობილია, XI საუკუნის დასასრულს ფეოდალური საქართველოს შიგნით ეროვნულ-პატრიოტულმა ძალებმა, რომლებმაც აიძულეს საქართველოში მეფე გიორგი მეორე გადამდგარიყო და სამეფო ტახტი თავისი ვაჟიშვილის დავითისათვის გადაეცა, მოხერხებულად გამოიყენეს ჯვაროსნული ომების შედეგად თურქ-სელჩუქების ბატონობის შესუსტება მცირე აზიაში, რათა შექმნილიყო უზარმაზარი ქართული სახელმწიფო. როგორც ი. ჯავახიშვილი აღნიშნავს XII საუკუნის დასასრულს საქართველოს სახელმწიფოს საზღვრები მოიცავდა გარდა საქართველოს ძირითადი ტერიტო-

1. რ. მეტრეველი, შინაკლასობრივი და კლასობრივი ბრძოლა ფეოდალურ საქართველოში, თბ., 1972, გვ. 134.



რისა, მთელ კავკასიასაც, ჩრდილო კავკასიის ყველა ტომსა და პოლიტიკურ გაერთიანებას, სამხრეთით კი საქართველოს ვასალური სამფლობელოები ვრცელდებოდა ირანის აზერბაიჯანზედაც და აღწევდა გილანს, ხოლო სამხრეთ-დასავლეთით ეს სამფლობელოები მიდიოდა არზრუმამდე და ერზანჯინამდე, სადაც ნიშნად ვასალური დამოკიდებულებისა ფრიალებდა საქართველოს სახელმწიფო აღამი².

ფეოდალური საქართველოს სახელმწიფოებრიობის წარმატებით განხორციელება სამეფო ხელისუფლების წინაშე ახალ-ახალ ამოცანებს აყენებდა სამხედრო ძლიერებისათვის ზრუნვისა და საქართველოში შემავალი სხვადასხვა ეროვნებისა და სარწმუნოების ხალხების სულიერი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად და მათზე იდეოლოგიური ზემოქმედებისათვის იგი ქმნის ორიგინალურ პოლიტიკურ მოძღვრებებს, ხელს უწყობს დაქვემდებარებული ხალხის ინტერესთა შესაბამისი კულტურისა და სულიერი ცხოვრების სხვადასხვა დარგების განვითარებას. ი. ჯავახიშვილი აღნიშნავს: „ცხადია რომ რაც უფრო და უფრო მეტად გაიზრდებოდა და გაფართოვდებოდა საქართველოს მეფეების საბრძანებელი, მით უფრო მეტად საჭირო იქნებოდა მეფობის უფლებისათვის მტკიცე და შეურყეველი ნიადაგი მოეპოვებინათ, იმიტომ, რომ ქართველ მეფეებს თავიანთი ძლიერებისა და ხელისუფლების ვანსამტკიცებლად აზნაურებთან უხდებოდათ ბრძოლა... ამ გამწვავებული ბრძოლის მოსაგებად მარტო მკლავ-ხმლის ძალა არ კმაროდა. ქართველ მეფეებს კარგად ესმოდათ, რომ ამისათვის ზნეობრივი ძალაც აუცილებლად საჭირო იყო“³.

სამეფო ხელისუფლების მიერ ფეოდალური საქართველოს მრავალეროვან სახელმწიფოში შემავალი სხვადასხვა სარწმუნოების მქონე ხალხების კულტურის საკითხთა გადაწყვეტა არა ერთი რომელიმე სარწმუნოების (ქრისტიანული, მაჰმადიანური) მიხედვით, არამედ მხოლოდ ადამიანთა ბუნებისათვის დამახასიათებელი სახელმწიფოებრივი ინტერესების შესაბამისად, თავისი შინაარსით რენესანსულია.

ქართული რენესანსის მდიდარი ისტორიული მემკვიდრეობის მთავარი განმსაზღვრელი ნაწილი — XII საუკუნის ფეოდალური საქართველოს გაბატონებული პოლიტიკური იდეოლოგია, რომელიც საზოგადოებაში სხვადასხვა მებრძოლი კლასების ინტერესებს გამოხატავდა გადმოცემულია საქართველოს სახელგანთქმული მეფისა და ფეოდალიზმის განსაკუთრებული მმართველობის ახალი ფორმის-აბსოლუტიზმის იდეოლოგიის — დავით აღმაშენებლის, თამარ მეფის ფინანსთა მინისტრის ყუთლუ-არსლანის და ქართველი ხალხის გენიალური პოეტის შოთა რუსთაველის პოლიტიკურ შეხედულებებში.

დავით აღმაშენებელი, რომელმაც ფეოდალური საქართველოს სახელმწიფოებრიობის ინიციატივით შექმნა დიდი მრავალეროვანი საერთო კავკასიური სახელმწიფო, მის მიერ განხორციელებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური რეფორმებით, თავის სწავლულ რაზმთან ერთად მრავალფეროვანი საზოგადოებრივი ურთიერთობების სამეფო ხელისუფლების საშუალებით მოწესრიგებისას, ხელმძღვანელობდა იმ დიდი მეცნიერული მემკვიდრეობით, რომელიც საქართველოში რეფორმაციამ შექმნა და წინანდელი ეპოქების სახელმწიფოთა მეფეების პრაქტიკული გამოცდილების განზოგადების შედეგად ჩამოყალიბდა. სახელმწიფოებრივი ხელისუფლების საზოგადოებრივ ცხოვრებაში განხორციელებისას რელიგიური დოგმატების ნაცვლად ადამიანის გონებასა და ცდაზე დამყარებული ცოდნით ხელმძღვანელობა, რაც რენესანსის იდეოლოგიის ერთ-ერთი უმთავრე-

2. ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. II, გვ. 409.
 3. ი. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია; II, II, თბ., 1929, გვ. 116-117.

სი მოთხოვნაა, დავით აღმაშენებლის ყოველდღიური საქმიანობის საფუძველს შეადგენს. წარსულის ისტორიული გამოცდილების გათვალისწინებას სახელმწიფოებრივი ხელისუფლების განხორციელებისას, დავით აღმაშენებელი რომ ქართული მრავალეროვანი სახელმწიფოს მართვის აუცილებელ პირობად თვლიდა, ამის შესახებ მისი მემატთანე საგანგებოდ აღნიშნავს: „ხოლო ვთქუა ესეცა, ვითარმედ უკეთუძეცა არა წერილთა მეცნიერებანი და გარდასრულთა საქმეთა შემეცნებანი პირველ ყოფილთა მეფეთა კეთილ ძღუანებულთა ანუ ვერას წარმართებულთა შემთხვეულნი წინაგანსაკრძალვებად საედ არ შემოეხუნეს და არა მიეხმარნეს, ვითარძეცა იტყვის სოლომონ ვითარძემედ: „იცნის ქციელებანი ჟამთანი, აღხსნანი იგავთანი და გარდასრულთა შეამსგავსნის მომავალნი, — არა თუძეცა ესენი ესრეთ, კუერთხი მეფობისა ესოდენ დამდაბლებული, ესოდენ ძნელი და ნანდვილვე დიდი განსაგებელი რათა იპყრა ესრედ ძაღლად, ვითარ ვერვინ სხუძმან“⁴. მემატთანე ღრმად არის დარწმუნებული, რომ დავით აღმაშენებელი მსოფლიო მასშტაბის დიდი სახელმწიფო მოღვაწეა, რომელმაც კარგად იცის წარსულის ისტორიული გაკვეთილები („იცნის ქციელებანი ჟამთანი“) და ყოველდღიურ ცხოვრებაში რელიგიური დოგმატებით კი არ ხელმძღვანელობს, არამედ წარსულის ისტორიის გამოცდილებით („გარდასრულთა შეამსგავსნის მომავალნი“). დავით აღმაშენებელი ფეოდალიზმის მმართველობის ახალი ფორმის — აბსოლუტიზმის იდეებით ცდილობს მიაწესრიგოს საზოგადოებრივი ურთიერთობანი და სწორედ ამიტომ სახელმწიფოებრივი ხელისუფლების უმაღლესობისა და შეუზღუდველობის რენესანსულ თეორიას ქმნის. ამ მოსაზრების შესაბამისად იგი საერო ხელისუფლებას მტკიცედ უმორჩილებს საეკლესიო ხელისუფლებას და საზოგადოებრივ ცხოვრებაში სახელმწიფოებრივი ხელისუფლების შეუზღუდველი, განუსაზღვრელი ჩარევის აუცილებლობას ასაბუთებს. აბსოლუტიზმისტური სამეფო ხელისუფლების შეუზღუდველობას და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა დარგებში მისი ჩარევის განუსაზღვრელობას დავით აღმაშენებლის მემატთანე უძირო უფსკრულს ადარებს: „ვითარ ვინ აღრაიხნეს, რაოდენნი საქმენი ეთხოვებიან მეფობასა, რაოდენნი მართებანი და განსაგებენნი, კიდეთა პყრობანი, ნაპირთა ჭირვანი, განხთქილებათა კრძალვანი, სამეფოსა წყნარებისა ღონენი, ღამქრობათა მეცადინეობანი, მთავართა ზაკვისა ცნობანი, მხედართა განწესებანი, საერონი შიშნი, სახელოთა და საბჭოთა სჯანი, საჭურჭლეთა შემოსავალი, მოციქულთა შემხუევანი და პასუხნი, მეძღუნეთა ჯეროვანნი მისაგებენნი, შემეცოდეთა წყალობითნი წურთანი, მსახურებელთა ნიჭ-მრავლობანი, მოჩივართა მართალნი გამოძიებანი, მოსაკითხავთა შესატყვისნი მოკითხვანი, სპათა დაწყობანი და ღონიერნი მიმართებანი“⁵.

ადრინდელი რენესანსის დიდი თეორეტიკოსი დავით აღმაშენებელი, ამ ახალი ეპოქის იდეოლოგიის შესაბამისად საერო და ადამიანური ინტერესების თვალსაზრისით იკვლევს სახელმწიფოს ისეთ საკვანძო საკითხებს, როგორც არის სახელმწიფოს არსი, სახელმწიფოს ფორმა, სამეფო ტახტის მემკვიდრეობა და სხვა, მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მართლმორწმუნე დავით აღმაშენებელი, ისე როგორც რენესანსის სხვა იდეოლოგებიც, სახელმწიფოს ღვთაებრივი წარმოშობის მოსაზრებაზე დგას. მისი აზრით, ღმერთის ნებით ადიან მეფენი ტახტზე და ღმერთის ნების შესაბამისად ემხობიან სამეფონი. თავის ნაწარმოებში „გალობანი სინანულისანი“ დავით აღმაშენებელი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ მას ღმერთისაგან აქვს მინიჭებული სამეფო ხელისუფლება: „ბუნიებისა რაი პორფირსა თვიძმფლობელობასთანა, მეფობისაცა შარანდელნი

4. ქართლის ცხოვრება, ტ. I. თბ., 1955, გვ. 350-351.
5. ქართლის ცხოვრება, ტ. I. თბ., 1955, გვ. 351.

მარწმუნენ“⁶. დავით აღმაშენებლის კრიტიკული დამოკიდებულება ქრისტიანული რელიგიის დოგმატიკისადმი⁷ იმას გვაფიქრებინებს, რომ რჯულშემწყვლელი მეფის — დავითის ღმერთი არ არის ერთი რომელიმე სარწმუნოების მიერ აღიარებული ღმერთი, არამედ იგი მხოლოდ რენესანსის ეპოქისათვის დამახასიათებელი გონების შესაბამისი ღმერთია.

დავით აღმაშენებლის რენესანსული პოლიტიკური იდეოლოგიის ყველაზე საინტერესო, დღემდის თითქმის სრულიად შეუსწავლელი, მისი სამართლებრივი შეხედულებანია. 1969 წელს გამოქვეყნებულ ჩვენს გამოკვლევაში „ნარკვევები ფეოდალური საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან“ მოცემულია დავით აღმაშენებლის რენესანსული სამართლებრივი შეხედულებების ნიმუშები, რის ნათელსაყოფად იმის მითითებაც საკმარისია, რომ XII საუკუნის ფეოდალურ საქართველოსთან პოლიტიკურად დაკავშირებულ კავკასიის ქვეყნებში ქართული სახელმწიფოებრიობის წარმატებით განხორციელებისა და აგრეთვე ქვეყნის შიგნით ურჩ ფეოდალთა წინააღმდეგობათა დათრგუნვისათვის დავით აღმაშენებელი ქმნის ბუნებით სამართლის („ბუნებითი სჯულის“) თანმიმდევრულ მოძღვრებას. ცნობილია, რომ ბუნებითი სამართლის მოძღვრება, ყველგან, სადაც კი აღორძინების ეპოქაში გაჩნდა რენესანსის პოლიტიკური იდეოლოგიის შინაარსის ძირითადი განმსაზღვრელი ნაწილი გახდა.

ბუნებითი სამართლის მოძღვრების ჰუმანისტურმა სულისკვეთებამ განსაზღვრა დავით აღმაშენებლის საკანონმდებლო საქმიანობა. ჰუმანისტი მეფის სამართალშემოქმედებით მოღვაწეობაზე ნათელ წარმოდგენას გვაძლევს დავით აღმაშენებლის სახელთან დაკავშირებული შემდეგი საკანონმდებლო ძეგლები: „რუის-ურბნისის 1103 წლის კრების ძეგლისწერა“, 1123 წლისა და 1125 წლის ანდერძები, აგრეთვე სამართლებრივ-ფილოსოფიური თხზულება „გალობანი სინანულისანი“. იმდროინდელი იურიდიული მეცნიერების დონის შესაბამისად ამ ძეგლებში გადმოცემულია „კანონები უცთომელი, ყოვლად შუენიერ და დაწყობილი“ ქართული სამართლის სხვადასხვა დარგებიდან (სისხლის, სამოქალაქო, საოჯახო-საქორწინო და ა. შ.)

თურქ-სელჩუკების მიერ საქართველოში გავრცელებული ველური ჩვევების აღმოფხვრისა და ქართველი ხალხის სულიერი ცხოვრების ამაღლების საქმეში დიდი როლი შეასრულა დავით აღმაშენებლის მიერ მოწვეულმა რუის-ურბნისის კრებამ, რომელმაც მიიღო განსაკუთრებული მნიშვნელობის საკანონმდებლო აქტი „ძეგლისწერა“, რუის-ურბნისის კრების მიერ მიღებული სამართლებრივი ნორმების უმრავლესობა ეხება საერო და სასულიერო ხელისუფლების ურთიერთდამოკიდებულებას, საეკლესიო თანამდებობების დაკავების წესებს, ეკლესია-მონასტრების ქონების დაცვას და ა. შ. სასულიერო ხელისუფლების გასამტკიცებლად ეკლესიიდან განიღვენა „ეპისკოპოსნი ვინმე ვერ ღირსებით შემოსრულნი პატივსა მღვდელმთავრებისასა“ და მათ ჩამოერთვათ სასულიერო წოდებები, უღირსთა ადგილებზე დაინიშნენ ღირსეულნი, განსაზღვრული ასაკის მიღწევამდე ეკლესიის მსახურთ მათი წარმოშობისაგან განურჩევლად აეკრძალათ მაღალი თანამდებობების დაკავება, კერძოდ, ეპისკოპოსად ხელდასხმული შეიძლებოდა ყოფილიყო 35 წლის ასაკს მიღწეული სასულიერო პირი, მღვდლად — 30 წლის, დიაკვნად — 25 წლის და წიგნის მკითხველად — 8 წლისა. ამასთან ერთად, აიკრძალა საეკლესიო იერარქიის გარეშე ეკლესიაში თანამდებობის მიღება, თანამდებობის გაყიდვა, მექრთამეობა, საეკლესიო ქონების მოხმარება პირადი საჭიროებისათვის და ა. შ.

6. თ. ჟორდანი, ქრონიკები, II, გვ. 104.
7. ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. II, გვ. 416-417.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რუის-ურბნისის კრების მიერ მიღებული ძეგლისწერის იმ ნაწილს, რომელიც მიზნად ისახავდა საოჯახო-საქორწინო ურთიერთობების განმტკიცებას. კანონით აიკრძალა ეკლესიის გარეშე ქორწინება, დადგინდა საქორწინო ასაკი და საქორწინო ურთიერთობის სუბიექტები, დიდი ყურადღება დაეთმო ოჯახის სიწმინდის დაცვას, დაუშვებლად იქნა მიჩნეული არასრულწლოვანთა ქორწინება, მართლმადიდებელი მამაკაცის შეუღლება მწვალებელ ან წარმართ ქალთან და პირიქით. კანონით განისაზღვრა განსაკუთრებით საშიში დანაშაულობანი, რომლებიც ფართოდ იყო გავრცელებული საქართველოში თურქ-სელჩუკების მიერ (სოლომის ცოდვა, მრუშობა, ვინება, კაცის კვლა, კერბთაყვანისცემა და ა. შ.) და დადგინდა შესაბამისი ზასჯელები.

რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერა ცხადყოფს დავით აღმაშენებლის ეპოქაში არსებული ქართული იურიდიული მეცნიერების ძალაღონეს, განვითარებულ საკანონმდებლო ტექნიკას და მოწინავე სამართლებრივ კულტურას, რაც მთელი სისრულით გამოვლინდა მოგვიანებით, როცა კანონმდებელმა მეფემ გააერთიანა ცენტრალურ სახელმწიფო აპარატში ორი მეტად მნიშვნელოვანი თანამდებობა მწიგნობართუხუცესისა და ჭყონდიდელისა და შექმნა მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის ახალი თანამდებობა, რითაც სამეფო ხელისუფლებამ საბოლოოდ გაიმარჯვა საეკლესიო ხელისუფლებაზე. როგორც ნ. ბერძენიშვილი მიუთითებს, ასეთი გავლენიანი თანამდებობის პირი წინათ არც საქართველოში და არც მეზობელ ქვეყნებში იმ დროს არ არსებობდა. მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის თანამდებობის შემოღებით დავით აღმაშენებელმა ეკლესიაზე მიპოვებული გამარჯვების გასამტკიცებლად შეზღუდა საეკლესიო იურისდიქციის ფარგლები და კანახორციელა სასამართლო რეფორმა, კერძოდ, შექმნა უმაღლესი სასამართლო ინსტანცია – სააჯო კარი, რომლის საქმიანობას მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი წარმართავდა.

ეგოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანებისა და ძლიერი ცენტრალიზებული ხელისუფლების განსამტკიცებლად დიდი საკანონმდებლო მუშაობა ჩაატარა დავით აღმაშენებელმა სამეფო ტახტის მემკვიდრეობის ძველი კანონის შესაცვლელად. დავით აღმაშენებლამდე IX საუკუნიდან მოყოლებული, როგორც ი. ჯავახიშვილი წერს, სამეფო ტახტის მემკვიდრეობა პირმშობაზე იყო დამოკიდებული, მანამდე ყოველთვის სამეფო ტახტზე მხოლოდ განსვენებული მეფის უფროსი ვაჟი ადიოდა. დავით აღმაშენებელს 1125 წლის ანდერძით ცვლილება შეაქვს სამეფო ტახტის მემკვიდრეობის წესებში და მას უკავშირებს ქართველი ხალხის წინაშე მდგარ საშინაო და საგარეო ამოცანების წარმატებით განხორციელებას. სამეფო ტახტის მემკვიდრეს მისი აზრით განსაზღვრავს ღმერთი, რომელიც მემკვიდრეს მეფობისათვის აუცილებელი თვისებებით – სიბრძნით, სიწმინდით, ახოვნებით და მხნეობით აჯილდოებს. დავითი წერს, რომ ღმერთმა „მომცა პირველად შვილი ესე ჩემი დიმიტრი სიბრძნითა, სიწმიდითა, ახოვნებითა და სიმხნეთა უმჯობესი ჩემთა“.

1125 წლის ანდერძში დავითმა სამეფო ტახტის მემკვიდრეობის წესებში ცვლილება შეიტანა და დაადგინა, რომ უფროს ვაჟიშვილს დიმიტრის „მივანდვენ შვილნი და დედოფალნიცა, შუამდგომლობითა ღმრთისათა, რათა ძმაი მისი გაზარდოს და თუ ინებოს ღმერთმან და ვარგ-ყოს... შემდგომად მისსა მეფე-ჰყოს მამულსა ზედა“. დავითის მიერ შედგენილი საკანონმდებლო აქტიდან კარგად ჩანს, რომ იგი სამეფო ტახტის მემკვიდრეობის განსაზღვრისას გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს მემკვიდრის პირად ღირსებებს და რაც მთავარია, სახელმწიფოს მართვის უნარს. დავით აღმაშენებლის ამ ახალ საანდერძო განკარ-

გულებას სამეფო ტახტის მემკვიდრეობის შესახებ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს შემდგომ პერიოდში იმ დიდი აჯანყების მონაწილეთა პოზიციების გასარკვევად, რომელიც მსხვილ ფეოდალთა წაქეზებითა და დახმარებით დემნა უფლისწულმა მოაწყო სწორედ სამეფო ტახტის დასაპატრონებლად.

დავით აღმაშენებლის მთელი საკანონმდებლო საქმიანობა მიმართული იყო საქართველოს პოლიტიკური გაერთიანებისაკენ, ძლიერი ცენტრალიზებული ხელისუფლების შექმნისაკენ. ამ მხრივ წარმოებულ მრავალფეროვან საქმიანობაში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ძლიერი შეიარაღებული არმიის შექმნას. სამეფო ხელისუფლებამ დიდი სამხედრო რეფორმა განახორციელა, შექმნა მუდმივი არმია ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოსახლებული ყივჩაღებისა და სახელმწიფოში არსებული ლაშქრისაგან. სამხედრო რეფორმის შემადგენელი ნაწილი იყო აგრეთვე დისციპლინის განმტკიცება არმიაში, ცვლილებები ომის წარმოების სტრატეგიასა და ტაქტიკაში და ა. შ.

დავით აღმაშენებელმა დაადგინა ახალი პოლიტიკური რეჟიმი, შეიმუშავა ახალი პოლიტიკური კურსი და განსაზღვრა საზოგადოებრივ ცხოვრებაში სახელმწიფოებრივი ხელისუფლების წარმატებით განხორციელების ფორმები, ხერხები და მეთოდები.

როგორც შ. ნუცუბიძემ ცხადყო, თეოლოგიის ჰუმანიზაციის პრობლემების დამუშავება სათავეს იღებს დავით აღმაშენებლის ნაზრევში. დავითის აზრით, რადგან ადამიანის ბუნება ყველგან და ყველა დროში მუდმივი და უცვლელია, ყველა ადამიანს ერთნაირი წარმოდგენა აქვს ამქვეყნიური ცხოვრების უმთავრეს ფენომენებზე (სიცოცხლე, ბედნიერება და ა. შ.). ადამიანის ცხოვრების მიზანი ბედნიერებაა, სრული ბედნიერება და საბოლოო ნეტარება შეიძლება მიღწეული იქნეს ღმერთის საშუალებით, ღმერთი არის კეთილ საწყისებზე დამყარებული უმაღლესი არსება, როგორც დავითი და მისი სწავლულები ამტკიცებენ „ბუნებით მოწყალე და სახიერი“, ღმერთას მიერ დადგენილი წესი არის „კეთილი და სათნო“, ღმერთი იძლევა მტრებზე გამარჯვებას, თურქ-სელჩუკების წინააღმდეგ „იქმნა ბრძოლა ფიცხელი და შეწვენითა ღმერთისათა იძლია ბანაკი მათი“, „აღიხუნა მეფემან ჰერეთი და კახეთი... ესოდენ ადვილად და მოსწრებულად ხელთ უხსნა ღმერთმან საკვირველებათამან“.

ღმერთის ეს რენესანსული ინტერპრეტაცია გახდა დავით აღმაშენებლის მიერ ბუნებითი სამართლის მოძღვრებაზე დამყარებული ახალი სახელმწიფოებრივი პოლიტიკის — ტოლერანტიზმის (რჯულმემწყნარებლობის) საფუძველი. ცნობილია, რომ დავითი ყოველმხრივ მხარს უჭერდა და მფარველობდა სხვადასხვა სარწმუნოების ხალხს, ხშირად დადიოდა არა მარტო ქრისტიანულ ეკლესიებსა და მონასტრებში, არამედ მეჩეთებშიც, აქტიურ მონაწილეობასღებულობდა იდეოლოგიურ-დოგმატიკური ხასიათის დისკუსტებში და ყველას აკვირვებდა ღრმა ცოდნითა და ფართო განათლებით. დავით აღმაშენებელი ეხმარებოდა და ხელს უწყობდა ირანულ სუფიებსა და პოეტებს, ამ მიზნით ჰუმანისტმა მეფემ მათ სპეციალური თავშესაფარიც კი აუგო თბილისში.

დავით აღმაშენებელი ტოლერანტიზმს ახორციელებდა გარკვეული პოლიტიკური მიზნით, კერძოდ, იმისათვის, რომ წარმატებით გაეგრძელებინა ქართული სახელმწიფოებრიობა თურქ-სელჩუკების წინააღმდეგ ბრძოლაში კავკასიის სხვადასხვა სარწმუნოებისა და ეროვნების ხალხებზე.

ტოლერანტიზმი მართალია კონკრეტულ ისტორიულ სიტუაციაში წარმოადგენდა სხვადასხვა სარწმუნოების მქონე ხალხთა დაახლოებისა და მათი გარკვეული მიზნით დარაზმვის საშუალებას, მაგრამ იგი, რა თქმა უნდა, გარკვეული სახით ეწინააღმდეგებოდა შუა საუკუნეების ორთოდოქსულ რელიგიურ დოგმა-

ტიკას. ღვთისმოსავა დავითი ამის გამოა, რომ შენდობას თხოვს ღმერთს. ჩვენამდე მოღწეულ მის „გალობანი სინანულისანი“ დავით აღმაშენებელი აღნიშნავს, რომ იგი ზოგჯერ არღვევდა „სახარების სჯულსა“ და „უცხო თესლი რაიმე სარწმუნოებისაი საწურთელყო სულასა“. მაგრამ ეს არ უნდა გაგვივიკირდეს. რენესანსული იდეები არამარტო საერო, არამედ სასულიერო ცხოვრებაშიც გავრცელდა, რამაც გამოიწვია ეკლესიაში ქრისტიანული წესების ვადასინჯვა. საკმარისია აღინიშნოს, რომ XVI საუკუნეში ვერმანიაში რენესანსულმა მოძრაობამ მოიცვა სასულიერო ცხოვრება, ეს მოძრაობა როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ცნობილია რეფორმაციის სახელწოდებით. რეფორმაციის უდიდესმა წარმომადგენელმა, დიდმა მღვდელმთავარმა მარტინ ლუთერმა ვიტენბერგის ქალაქის მონასტრის ჭიშკარზე საჯაროდ გამოფინა ოთხმოცდათხუთმეტი თეზისი, რომლითაც რომის კათოლიკურ ეკლესიაში რეფორმები მოითხოვა.

ღავით აღმაშენებლისა და მის გარშემო შემოკრებილ სწავლულთა მიერ ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი კულტურის საფუძველზე ჩამოყალიბებული ორიგინალური და მდიდარი სულიერი მემკვიდრეობა, რამაც უზრუნველყო საქართველოს ძლიერი, ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნა, შემდგომში კიდევ უფრო გაიშალა მძლავრი კუმანისტურ მოძრაობად, რომლის სულიერი წინამძღოლობა შოთა რუსთაველს და ყუთლუ-არსლანს ხვდა წილად.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ რენესანსი ანტიფეოდალური მოვლენაა, მას საფუძველად უდევს ფეოდალიზმის წინააღმდეგ ჩამოყალიბებული პოლიტიკური იდეოლოგია, რომელიც შეესაბამება ბურჟუაზიული ელემენტების, მესამე წოდების ინტერესებს. შუა საუკუნეების საქართველოში ქართული რენესანსის შინაარსს განსაზღვრავდა მესამე წოდების პოლიტიკური და სამართლებრივი იდეოლოგია. ამ მხრივ საყურადღებო მასალას შეიცავს თამარ მეფის ფინანსთა მინისტრის ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური დასისა და საქართველოს სამეფო ხელიუფლების წინააღმდეგ მისი ბრძოლის ისტორია.

როგორც ცნობილია, დიდგვარიანი აზნაურები უკმაყოფილონი იყვნენ იმ პროგრესული პოლიტიკური რეჟიმისა, რომელსაც თავდაპირველად საფუძველი ჩაუყარა დავით აღმაშენებელმა და შემდეგში კი თანარ მეფის მამამ, გიორგი მესამემ, განავითარა. ეს პროგრესული პოლიტიკური რეჟიმი მესამე წოდების განვითარების მეტად ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა, რამდენადაც ამ წოდების ნიჭიერ და უნარიან წარმომადგენლებს სოციალური წარმოშობის მიუხედავად ფართოდ უხსნიდა გზას სახელმწიფოებრივი ხელისუფლებისაკენ. დიდგვარიანი აზნაურები, რომლებთაც თავი მოჰქონდათ მაღალი სოციალური წარმოშობით, უკმაყოფილო იყვნენ ამით და ხელსაყრელ მომენტს ეძებდნენ ქვეყანაში მტკიცედ ჩამოყალიბებული პროგრესული პოლიტიკური რეჟიმის დასამზობად და ასეთი მომენტიც დადვა: დიდგვარიანმა აზნაურებმა ისარგებლეს გიორგი მესამის გარდაცვალებით და ახალგაზრდა მეფის თამარის წინააღმდეგ შეთქმულება მოაწყვეს. შეთქმულთა უპირველესი პოლიტიკური მოთხოვნა იყო დაბალი სოციალური წარმოშობის მინისტრების — ყუბასარისა და აფრიდონის გადაყენება და რეაქციული პოლიტიკური რეჟიმის დამყარება. სამეფო ხელისუფლების სისუსტის გამო დიდგვარიან აზნაურთა შეთქმულება ნაწილობრივი გამარჯვებით დამთავრდა, მაგრამ საყურადღებოა, რომ დიდგვარიან აზნაურთა აჯანყება ვერ კიდევ დამცხრალი არ იყო, რომ სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ თამარ მეფის მინისტრის — დაბალი სოციალური წარმოშობის ყუთლუ-არსლანის მეთაურობით იფეთქა მეორე დიდმა აჯანყებამ, რომლის მსგავსი თავისი პოლიტიკურ-ორგანიზაციული სიმტკიცითა და დასახული პროგრამის მიხედვით საქართველოს ისტორიას არ ახსოვს, რის გამოც თამარის ისტორიკოსი ამ აჯანყებას „უცხოდ



მოსაგონებელს“ უწოდებს. ეჭვი არ არის, რომ ამ სიტყვებით ისტორიკოსს სურს ხაზი გაუსვას ფეოდალურ საქართველოში უაღრესად განვითარებული მესამე წოდების დიდ პოლიტიკურ აჯანყებას, რომელსაც წინათ საქართველოში მართლაც არ ჰქონია ადგილი.

ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური იდეოლოგია, რომელიც მწვავე კლასობრივ ბრძოლაში ჩამოყალიბდა, თავისი შინაარსით მხოლოდ მესამე წოდების ინტერესებს გამოხატავს, როგორც წყაროები გადმოგვცემს ეს გამოხველა იყო „სიმდიდრით ალაღებულთა“ აჯანყება, რომელიც ძიხნად ისახავდა სამეფო ხელისუფლების რეზიდენციის გვერდით პარლამენტის მსგავსი დაწესებულების შექმნას და რაც მთავრია, სახელმწიფოებრივი ხელისუფლების დანაწილებას საზოგადოებაში მებრძოლ კლასებს შორის აღმასრულებელ, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებებად. ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური დასის შესახებ ყველა წყაროს კრიტიკული შესწავლის შედეგად ი. ჯავახიშვილი მიდის იმ დასკვნამდე რომ მესამე წოდება ფეოდალურ საქართველოში პოლიტიკურად და ეკონომიკურად იმდენად ძლიერი ყოფილა, რომ აჯანყებაც კი მოუწყვიათ სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ.


ჩვენ სპეციალურად შევისწავლეთ ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური იდეოლოგია⁸ და მივედით იმ დასკვნამდე, რომ ჯერ ერთი, ხელისუფლების დანაწილების თეორია, რომელიც წამოაყენა ყუთლუ-არსლანის დასმა, ანტიფეოდალური მოვლენაა და მისი წარმოშობა ყველა ქვეყანაში, სადაც კი ამ თეორიას იცნობენ, დაკავშირებულია ყოველთვის უაღრესად განვითარებულ მესამე წოდებასთან. გარდა ამისა, ხელისუფლების დანაწილების თეორია დასავლეთ ევროპის ქვეყნებში მხოლოდ აღორძინების ეპოქაში წამოაყენა ადრე რენესანსულმა იდეოლოგიამ, ხოლო უფრო მოგვიანებით კი ბუნებითი სამართლის სკოლამ.

ყუთლუ-არსლანის პოლიტიკურმა იდეოლოგიამ, როგორც ფეოდალურ საქართველოში რენესანსის ერთ-ერთმა მეტად პოლიტიკურმა ორიგინალურმა პროგრამამ დიდი ზეგავლენა მოახდინა ფეოდალური სახელმწიფოებრიობის განვითარებაზე. ყუთლუ-არსლანის დასის აჯანყება მართალია დამარცხდა, მაგრამ ამ აჯანყებამ ერთხელ კიდევ დაარწმუნა სამეფო ხელისუფლება, რომ არ შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს ქვეყანაში სოციალურად მომწიფებული მესამე წოდების პოლიტიკურ მოთხოვნებს და მათ შესაბამისად სამეფო ხელისუფლებამ წამოაყენა ახალი პოლიტიკური კურსი, რომლის არსი იმაში მდგომარეობდა, რომ ქვეყნის პოლიტიკური მართვა უნდა განხორციელებულიყო არა მხოლოდ ერთნეობით, არამედ ერთნეობით და თანადგომით, რომელიც ხელისუფლების აზრით უზრუნველყოფს საყოველთაო მშვიდობას, ქვეყნის შიგნით კლასობრივ ზავს. ჯეს შეხედულებანი ნათლად არის გადმოცემული შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“, რომლის მთავარმა გმირებმა ტარიელმა, ავთანდილმა და ფრიდონმა იდეალური წესრიგი დაამყარეს არა მარტო თავიანთი სამფლობელოების შიგნით, არამედ მეზობელ ქვეყნებს შორისაც: „მათ სამთავე ხელმწიფეთა ერთმანეთი არა სძულდეს, ერთმანეთსა ჰნახვიდიან, საწადელსა გაუსრულდეს, ბრძანებისა შემცილენი მათთა ზრმალთა დავეწყულდეს მოიმატნეს სამეფონი გახელმწიფდეს, გამორჭებულდეს. ყოულთა სწორად წყალობასა ვითა თოვლსა მოათოვდეს, ობოლ-ქვრივნი დაამდიდრდეს და გლახაკნი არ ითხოვდეს, ავის მქმნელნი დააშინეს, კრავნი კრავთა ვერ უწოვდეს შიგან მათთა საბრძანისთა, თხა და მგელი ერთად სძოვდეს“.

8. ვ. აბაშმაძე, ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური იდეოლოგია, ჟურნ. „სამართალი“, 1966, № 6.

(დასასრული შემდეგ ნომერში).

გურამ უგრეხელიძე



ქართულმა საზოგადოებრიობამ მტკივნეული დანაკლისი განიცადა, ხანდაზმულ ასაკში აღესრულა რესპუბლიკის დამსახურებული იურისტი, იუსტიციისა და კულტურის თვალსაჩინო მოღვაწე გურამ უგრეხელიძე. იგი შვილი გახლდათ ცნობილი იურისტის პლატონ უგრეხელიძისა, რომლის თვახში, ქუთაისში, თავს იყრიდა იმდროინდელი ქართული მოწინავე საზოგადოება, მათ შორის აკაკი წერეთელი. ასეთმა გარემომ უცილობლად ზეკავლენა იქონია მომავალი მოღვაწის ჩამოყალიბებაზე.

გურამ უგრეხელიძე გამორჩეული წარმომადგენელი იყო იმ იურიდიული სკოლისა, დიდმა ქართველმა განმანათლებლებმა

მა — ლუარსაბ ანდრონიკაშვილმა, ზოზო ნანეიშვილმა, იროდიონ სურგულაძემ, ალექსანდრე ვაჩეიშვილმა რომ დააფუძნეს თბილისის უნივერსიტეტში. თავისი ხანგრძლივი ცხოვრება, შესანატრი ცოდნა და განათლება განსვენებულმა მართლმსაჯულების, ადამიანის უფლებების სამართლიანი დაცვის მსახურებას მიუძღვნა. დახვეწილი ინტელიგენტი, მანდობილი საქმის ნიუანსებში ყოველთვის დეტალურად გარკვეული ადვოკატი, სასამართლო დაცვის ტაქტიკასა და ხელოვნებას უბადლოდ რომ ფლობდა, პირადი ქცევას წესით, მჭევრმეტყველებით, საზოგადოებას რომ ხიბლავდა, განთქმული იურისტების — ოსიკო ბარათაშვილის, შალვა მესხიშვილის, ბიძინა ბარათაშვილის, ანდრო გელოვანისა და სხვა ოქროპირთა გვერდით ყოველთვის ამშვენებდა ქართველ იურისტთა დიდ ამქარს. მისი სამოღვაწეო დევიზი იყო სიმართლისათვის შეურიგებელი ბრძოლა. გურამ უგრეხელიძის მეცადინეობით არა ერთ საქმეს მოეფინა ნათელი და ამის კვალობაზე უზეიძია სამართლიანობას. მეორე მსოფლიო ომში მისი უშუალო მონაწილეობაც სამართლიანობისათვის ბრძოლის ერთ-ერთი გამოხატულება იყო. სწორედ ამ თვისებათა გამო ჰადლიერი საზოგადოების ხსოვნაში მან სამუდამოდ დაიმკვიდრა უღალატოპროფესიონალისა და ნამუსიანი კაცის სახელი. ბატონი გურამი შემცველი თაობის მასწავლებელიც გახლდათ, ასე დაუმაღლებლად რომ გადასცემდა მას საკუთარ გამოცდილებას.

აღსანიშნავია ბატონ გურამ უგრეხელიძის პუბლიცისტური და ლიტერატურულ-მთარგმნელობითი ღვაწლი. მის კალამს ეკუთვნის მეცნიერულ დონეზე, პოლემისტური შემართებით დაწერილი მრავალი პუბლიკაცია პოლიტიკის, მორალის, იურისპრუდენციის, ესთეტიკის, ეროვნული მოძრაობისა, თანამედროვეობის საკურობოლოტო პრობლემებზე. ქართულ მთარგმნელობით საგანძურს ამშვენებენ უშუალოდ ორიგინალიდან შესრულებული მისი თარგმანები შექსპი-



რის, ბაირონის, შელის, ედგარ პოს, ლონგფელოს, აგრეთვე პუშკინის, ლერმონ-
ტოვის პოეზიის ნიმუშებისა.

ამ ინტელექტუალური და ზნეობრივი მონაგარის კვალობაზე ბატონ გურამ
უგრეხელიძის სახელი სამარადქამოდ დარჩება თანამედროვე ქართული სამართ-
ლებრივი ცხოვრების ისტორიაში.

საქართველოს იურისტთა კავშირი;
საქართველოს ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმი;
საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.



გურამ უგრეხელიძე თავისი აზროვნების ზეამაღლებულობით, სიტყვის
მომხუსხვათა ძალით და შეტყვევების ჯადოსნური პარტიტურით ოლიმპზე იდგა
და აქედან ჭვრეტდა სამყაროს...

გურამ უგრეხელიძის სახით წარმოდგენილი მყავს ჩვენს ცივილიზაციაზე
უფრო მაღალი ცივილიზაციიდან მოსული არაორდინალური პიროვნება, რომე-
ლიც, მართალია, მოწყდა სხვა სამყაროს ნიადაგს, მაგრამ მარგინალურ პიროვ-
ნებად მაინც არ იქცა და ჩვენი ცხოვრების მაღალგონიერი მონაწილე გახდა —
სხვათაგან განსხვავებული მონაწილე. მისი აზროვნების განსაკუთრებულობის
მაღალანაღვი სულის, სიტყვის დახვეწილი მანერის გამო, თითქოს სხვა ყოფიე-
რების გენეტიკური კოდის გამოვლინებას წარმოადგენდა.

გურამ უგრეხელიძე იყო მაღალი ღირსების დარბაისელი. მის თავმდაბლ-
ბასაც კი თან ახლდა პიროვნების გამორჩეულობა, მისი მსჯელობის არაჩვეუ-
ლებრივობა, დასაბუთება, სინონიმები, მეტაფორა, გრადაცია, ემოცია, ტაქტი,
სივრცის უსასრულობა და ტონალობის ჯადოსნური ხიბლი, ჰიპნოზის წააგავდა.
მსმენელი ექცეოდა მისი გავლენის არეალში, ან მთლად ემორჩილებოდა მას ან
უსუსტებდა საკუთარი პოზიციის დამცავ ძალებს თუ კი განსხვავებული აზრი
გააჩნდა. სწორედ ამიტომ, მისი აკადემიურობით აღსავსე სიტყვის მომხუსხვე-
ლი ზემოქმედება ექსტრასენსუალ მოვლენას ემსგავსებოდა...

გურამ უგრეხელიძე იყო არაჩვეულებრივი ადვოკატი, მაგრამ ცხოვრობდა
არასამართლებრივ ქვეყანაში, სადაც სასამართლო ფაქტობრივად სახელმწიფოს
სტრუქტურას წარმოადგენდა, ადვოკატურა კი — დეკორაციას. ასეთი დისკრი-
მინაციის პირობებში, მისი შესაძლებლობის წარმოჩენა თითქმის შეუძლებელი
იყო. ასეთ ვითარებაში ადვოკატი რომ კონიუნქტურულ სახეცვლილებებს არ მი-
კერძობოდა და პიროვნებად დარჩენილიყო, დიდ სირთულეს წარმოადგენ-
და, რაც გურამ უგრეხელიძემ შეძლო. ეს იყო მისი დიდი ღირსება.

გურამ უგრეხელიძე ისეთ დროს მოღვაწეობდა სასამართლოში, როდესაც
სასამართლო კაენის ნებას ემორჩილებოდა, ხოლო ქვეყანას თავს ადგა
ორსახოვანი იანუსი, რომლის ერთი სახე მოჩვენებით სიკეთეს აფ-
რქვევდა, ხოლო მეორე ავის მომასწავებელ ბურუსს მოეცვა. ამ თვალთმაქცობის
უღაბნოში გურამ უგრეხელიძემ არ უღალატა ღირსებას და გამოავლინა ზე-

გარდმო ნიჭი, რომელიც ყველა ცივილიზებული ქვეყნის მაღალ პალატებს და-
ამშვენებდა.

იგი გამორჩეული ლიტერატორიც იყო. მის სხვა ნაწარმოებთა გარდა, აღ-
სანიშნავია ინგლისურიდან ქართულ ენაზე თარგმნილი შექსპირის სონეტების
შესანიშნავი ნიმუშები, რაც კიდევ ერთხელ ნათელყოფს ბატონი გურამის დიდ
განათლებას, მის ფართო ინტერესებსა და ნიჭიერებას.

და თუ ოდესმე საქართველოს ადვოკატურის ისტორია დაიწერება (და ის
უსათუოდ დაიწერება), გურამ უგრეხელიძის სახელი გაანათებს იმ ადვოკატთა
ქურუმების ნარეკლიან გზას, რომლებმაც შეძლეს მოაზროვნე საქართველოს
ღირსების მატარებელნი ყოფილიყვნენ.

გახტანგ კერესელიძე.

როგორც უკვე ითქვა, ბატონი გურამ უგრეხელიძე ეწეოდა აქტიურ ლიტე-
რატურულ საქმიანობასაც, ამჯერად მკითხველს ვთავაზობთ რამდენიმე ლექსის
მის მიერ შესრულებულ თარგმანს.

შექსპირი

66-ე სონეტი

გაბეზრებული ვუხმობ სიკვდილს, სწუხან თვალები,
რომ კაცთ ღირსება დღეს მათხოვრად ვპოვე შობილი,
და საზეიმოდ მოკაზმულან ნაძირალები,
და წმინდა რწმენა წარყვნილია და დაგმობილი,
და პატივმოსილ დიდებასაც წაერთვა ფასი,
და იღვევება უტყუარი სრულყოფილება,
და ქალწულთ კდემას მეძაობა ახშობს უხამსი,
და ლაჩარს გმირის დაჩოქება ეადვილება,
და ხელოვნებას ხმას უკმიდავს ხელისუფლება,
და უგნურება აზრს უსინჯავს გონიერებას,
და გულმართლობა ხომ სიბრიყვის ნიშნად ითვლება,
და ტყვე სიკეთე მსახურად ჰყავს მანკიერებას.
გაბეზრებული გავიდოდი ბარემ იმ სოფლად,
მაგრამ არ მინდა, სატრფო დამრჩეს უჩემოდ, ობლად.

116-ე სონეტი

ვერ დავიჯერებ, შეუღლებულ მაღალსა სულებს,
აზიანებდეს ავბედითი წარმავალობა,
ჭეშმარიტ გრძნობებს ვერვინ ნახავს ჟამგადასულებს,
ზნეს არ შეიცვლის მათი მყარი შეუვალობა.

სიყვარულია ჩირაღდანი ჩაუქრობელი,
ღამის გრიგალში მოკიაფე შუქი ნათელი,
ვიცნობ ამ ვარსკვლავს, არის მარად მიუწვდომელი,
ბობოქარ ზღვაში მეზღვაურის გზის გამმარიველი,
მას ვერ დასცინებს ბრიყვისდარად სიმუხთლე ჟამის,
თუშუც სილამაზეს ანადგურებს დროთა სვლის ცელა,
ცვალებადობა ვერას აენებს წლების ან წამის,
განკიცხვის დღემდე არ მოვიღის მას განსაცდელი,
მაგრამ თუ ვცდები და მსხვერპლი ვარ ცდომილებასა,
ტრფობ ც, ეს ლექსიც, ზმანებაა ხდომილებასა.

130-ე სონეტი

სატრფოს თვალთაგან არ გამოკრთის მნათობის შუქი,
არც ბაგეებზე შეიმჩნევა სიწითლე ჭალის,
თოვლი თეთრია, მისი მკერდი — ხორბლისფრად მუქი,
და თავს უმოსავს შავი ჯავლი ორი დაღალის.

მინახავს ვარდი აღისფერი, წითელი, თეთრი,
მაგრამ მის ღაწვეებს არ ატყვია ვარდთა იერი,
სურნელებაშიც განსხვავება იგრძნობა მკვეთრი,
მისი სუნთქვიდან სხდის სურნელი ხორცისმიერი.

მზობლავს მე მისი საუბარი, თუმცა ცხადია —
მუსიკის ჟღერა იმის ხმაზე უფრო ტკბილი,
მე არ მინახავს ქალღმერთის სვლა და არც მწადია,
ის კი ამ ქვეყნად დააბიჯებს ვით მიწის შვილი.

ვფიცავ, ჩემს სატრფოს მაინც ვერ სჯობს იმის მშვენება,
ქათინაური სინამდვილედ რომ ეჩვენება.

146-ე სონეტი

ცოდვილი მიწის დედაარსო — ტანჯულო სულო,
აღყაში ყავხარ აჯანყებულ გრძნეულსა ძალებს,
შინაგან საზრდოს იკლებ, სულით რომ იმარხულო, —
როს გარეგნობას დიდ ხარკს უხდი ახარებ თვალებს.

წუთისოფლისა სტუმრობისა უზომო ხარჯით,
რად აგიღია მოკლე დროით მდიდრული ბინა?
საფლავის მატლი გაიხარებს მაგ შენი გარჯით,
მემკვიდრეობით შენი გვამიც მან შეიძინა.

აღზევდი სულო მოკავშირე გახდი გონების,
ენებები ქვენა მორჩილებდეს სურვილებს ზენას,
ზეშთაგონების ძალას ენდე, არა ქონების,
გარეთ ღარიბი, შინაგანად სწვდი აღმაფრენას,

მით კაცთა მოღმის შემმუსრავი სძლიე სიკვდილი,
რომ უკვდავებით მოკვდავობა ჰყო დათრგუნვილი.

ჯორჯ ბირლონ ბაირონი

სული კაეშნით მაქვს შეპყრობილი

სული კაეშნით მაქვს შეპყრობილი.
ნულარ აყოენებ, მომართე ქნარი,
გრძნულ თითებით მწყობრად შობილი
მოჰკვარე სმენას ხმები ნარნარი.

თუ გული იმედს არ ეურჩება,
კვლავაც მოხიბლავს იმათი სმენა,
და ტვინი ხანძარს გადაურჩება,
თვალში თუ შემრჩა ცრემლები დენა.

კენრი უოლსვორთ ლონგფელო

ისარი და სიმღერა

ზეცაში ლაღად ვტყორცნე ისარი,
გაუჩინარდა, დაგვარგე კვალი.
ისეთ სისწრაფეს შეუთვისარი
ვერ გავადევნე უძღური თვალი.
ზეადვავლინე ლოცვად სიმღერა,
მეისვე გამებნა მისი სავალი,—

აკვნესე ჰანგი შმაგაი, შემძვრელი,
მხიარულების არ აჩნდეს კვალი.
მგოსანო! შეებას ტირილში ველი,
რომ არ გამერღვევს გული, ტიალი.

მას ძიძაობდნენ სევდა და ჭმუნვა,
რომ მიაჩვიეს ტკივილის თმენას
და ემუქრება რისხვით დათრგუნვა,
თუ არ დანებდა სიმღერის ენას.

ვზიშიანი დღე

დღე პირქუშია, ცივი და ბნელი,
წვიმს და არც ქარმა დაგვაკლო ხელი.
ძველ ყორეს ეკვრის ვაზი ბრჭყალებით,
მჭკნარ ფოთლებს ქარი წეწს გამალებით.
და დღეა ცივი, პირქუში, ბნელი.
ჩემი ცხოვრებაც ცივია, ბნელი,
მაწვიმს, არც ქარმა ამაღო ხელი.
ფიქრით ვეხები უფერულ წარსულს,

ყრმობის იმედი არ ათბობს ამ სულს
და დღეები კი ცივია, ბნელი.
დამშვიდდი, გულო, შეწყვიტე გლოვა.
ღრუბელთ მიღმიდან მზე კვლავ ამოვა.
შენი სვეც სხვების ბედის დარია,
ზოგჯერ მათთვისაც ხომ ავდარია!
დღე უნდა იყოს ხანდახან ბნელი.

აერსი ბიში შელი

სიყვარულის ფილოსოფია

ნაკადულები ერთვის მდინარეს,
მდინარე კი ზღვას შეედინება.
დახლართულ ფრთებით მიმომდინარეს,
მძვინვარე ქარებს მოელხინება.
თუ ღვთის განგებით წესად ქცეული
ჯერ — არს, რომ ერთად ხარობდეს
ყველა,
ნურც ჩვენ დავრჩებით მარტო, ეული,
და ერთობაში ვიპოვით შველა.

ცას შეეხიზნა ზვიადი მთები,
ძირს, გადაეჭდნენ ერთად ზვირთები
როგორც ერთგული ძმები და დები,
სიამით ხარობს იქ ყვავილები,
ამბორი უძღვნა ზღვის მორევს მთვარემ,
მცხუნვარე სხივი მზემ ხმელეთს
სტყორცნა,
მაგრამ რაღად ღირს ყველა ეს, ბარემ,
თუ არ მაღირსე ნანატრი კოცნა?!

ჭეშმარიტი მამულიშვილი

ცნობილია გამოთქმა: მათხარი ვინ არის შენი მეგობარი და გეტყვი ვინ ხარ შენ. მიხეილ კეკელიასთან მეგობრობა ნამდვილად საამაყო იყო ყველასათვის, ვინაიდან იგი უაღრესად თავმდაბალი, პატიოსანი, დიდად განსწავლული და ერუდირებული იურისტი-მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, ჭეშმარიტად დიდი ქართველი მამულიშვილი გახლდათ.

საბჭოთა ხელისუფლებას სძულდა იურისტები, თუმცა მათ გარეშე ხელისუფლებას ვერ ატარებდა. ამ ხელისუფლებამ იურისტი აქცია ლაქიად, მეხოტბედ, ცრუ სამართლებრივი თეორიების ფუძემდებლად და ამიტომ უავტორიტეტოდ, გაიძვერა და მექრთამედ. მიუხედავად ასეთი ბნელი რეაქციისა, საქართველოში მაინც იყვნენ ადამიანები, რომლებიც არ ეპუებოდნენ შავბნელ ძალებს, ეურჩებოდნენ და გმობდნენ მას. ერთ-ერთი ასეთი უკომპრომისო მებრძოლი დემოკრატიისა და თავისუფლებისათვის მიხეილ კეკელია იყო. ცნობილია მისი პრინციპულობა და სამართლიანობისათვის თავდადება პროკურატურის სისტემაში მუშაობის დროს. ერთხელ, როდესაც იგი დაუპირისპირდა რაიკომის პირველ მდივანს, ამ უკანასკნელმა დააბეზლა იგი პარტიის ცენტრალურ კომიტეტში, სადაც რაიკომის მდივანს პროკურორმა მიხეილ კეკელიამ საბრალდებო დასკვნა წაუკითხა. ამ ბრძოლის შედეგი ის იყო, რომ მიხეილ კეკელია რაიონს მოაშორეს და რესპუბლიკური პროკურატურის აპარატში გადაიყვანეს, სადაც მან გენერლის წოდებას მიიღწია და სწრაფად დასტოვა კიდევ პროკურატურა, ვინაიდან „სამშობლოს მოლაღატისა და ჯაშუშის“ იარლიყი არ ასცდებოდა. სწორედ თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში პოვა მან სულის სიმშვიდე, თუმცა არც აქ ასცდენია იგი „მეცნიერული“ ინტრიგების ლაბირინთებში ძნელი გზის გაკვალვას.

გამორჩეულია პროფ. მიხეილ კეკელიას მეცნიერული პრინციპულობა რუსეთთან საქართველოს შეერთების სამართლებრივი ბუნების ახსნაში. იგი იკვლევდა მე-18 საუკუნის საქართველოს სამართლებრივ კულტურას და არ შეიძლებოდა ამ საკითხს არ შეხებოდა. იგი ნაკლები ბოროტების თეორიის მომხრე იყო, თუმცა იმდროინდელ საქართველოში ამ იდეას ძნელად თუ დაიტავდი, ვინაიდან თვლიდნენ, რომ რუსეთმა გადაარჩინა საქართველო ფიზიკური განადგურებისაგან. პროფ. მიხეილ კეკელია თვალნათლივ უჩვენებდა ყველას, თუ როგორი მაღალი იყო საქართველოში იურიდიული კულტურა რუსეთთან შეერთების წინ. ამის მაგალითად ლევან დადიანის მოსამართლის გადაწყვეტილებაც კმარა, რომელიც პროფ. მიხეილ კეკელიამ მეცნიერულად შეისწავლა და განაზოგადა. როგორც ცნობილია, დადიანის მოსამართლემ მიწაზე დაჯა ღარიბი აზნაურის სასარგებლოდ გადაწყვიტა. ამით გაჯავრებულმა მთავარმა გადაწყვეტილებას წააწერა: რომ ხელმეორედ განეხილა იგი მოსამართლეს და სამართლიანად გადაწყვიტა დაჯა. მაშინ მოსამართლემ გადმოაბრუნა გადაწყვეტილება და დადიანს მისწერა, რომ ჩვენ ხელმეორედ განვიხილეთ და შევისწავლეთ ეს საქმე და სამართალმა უპირატესობა აზნაურს მიაკუთვნაო, ხოლო თუ ასეთი სამართალი თქვენ არ მოგწონთ, თქვენ მოგწონებთ განვიხილეთ ეს საქმეო. მოსამართ-

ლის როგორი შესაშური გამბედაობა ჩანს ამ მაგალითში. სწორედ კეკელიასეულია იგი.

პროფ. მიხეილ კეკელიას მეცნიერული კვლევის სფერო მოიცავდა ფეოდალური საქართველოს სამართლის ძეგლებისა და ცალკეული ინსტიტუტების შესწავლას. განსაკუთრებით შესამჩნევია მის მიერ სასამართლო სისტემისა და სასამართლო წარმოების თავისებურებების ახსნა ფეოდალურ საქართველოში, რასაც მან ორტომიანი მონოგრაფია მიუძღვნა. ცნობილია მისი შეხედულება ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნის დათარიღების შესახებაც, რაც სამართალწარმოების თავისებურებებითაა მის მიერ ახსნილი.

ყველაზე დიდი წვლილი პროფ. მიხეილ კეკელიას მაინც ჩვეულებითი სამართლის შესწავლაში მიუძღვის. იგი იყო ჩვეულებითი სამართლის ფუძემდებელი და დიდი მოძღვარი საქართველოში. 1986 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე გი ხელმძღვანელობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული ეროვნული ტრადიციების კვლევის სამეცნიერო ცენტრის ჩვეულებითი სამართლის ლაბორატორიას, ხოლო 1990 წლიდან — თვით ცენტრსაც. აღნიშნულმა ლაბორატორიამ ეთნოგრაფიული კვლევის საფუძველზე გამოაქვეყნა ოთხი აკადემიური კრებული („ქართული ჩვეულებითი სამართალი“), ხოლო „ცენტრმა“ — 30-მდე პერიოდული გამოცემა („ტრადიცია და თანამედროვეობა“) და ცალკეული მონოგრაფიები.

ჩვეულებითი სამართლის კვლევისას ამოსავალი დებულება მდგომარეობს იმაში, რომ საზოგადოებაში სამართალი არის არა მხოლოდ სახელმწიფოს მიერ დაკანონებული ქცევის წესების ერთობლიობა, არამედ საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული, თაობიდან თაობას გადაცემული წეს-ჩვეულებები და ტრადიციები, რომლებიც ისევე სავალდებულოა, როგორც სახელმწიფოს სამართალი, ისევე დაცულია საზოგადოებრივი ავტორიტეტით, როგორც სამართალი სახელმწიფოს მიერ. ჩვეულებითი სამართლის მონაცემები ეთნოგრაფიული კვლევის შედეგად მოიპოვება. მიხეილ კეკელიას თქმით, ეს არის ქართველ ხალხში მიმობნეული მარგალიტები, რომლებიც დროზე თუ არ ავკრიფეთ, მიწაში ჩაიფლობა და დაიკარგება. ჩვეულებითი სამართალი დღესაც უკეთ არეგულირებს ადამიანთა ურთიერთობებს საქართველოს მთიანეთში, ვიდრე ოფიციალური სახელმწიფოს სამართალი, რომელმაც მართლზომიერად უნდა სცნოს ქართული ზნე-ჩვეულებები და ტრადიციები, როგორც ქართველი კაცის სულის ამსახველი.

პროფ. მიხეილ კეკელია არა მარტო დიდი მეცნიერი, არამედ უაღრესად აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწეც გახლდათ. იგი მონაწილეობდა მიწის კანონპროექტის შემუშავებაში, ხოლო საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე (პრემიერ-მინისტრმა) იგი ოფიციალურად მოიხსენია, როგორც ამ საკითხში ერთადერთი განსხვავებული აზრის მქონე მეცნიერი. პროფ. მიხეილ კეკელიაყო საქართველოს პარლამენტის აგრარული კომისიის წამყვანი სპეციალისტი, ჟურნალ „სამართლის“ რედკოლეგიის წევრი, საქართველოს იურისტთა კავშირის წევრი, სამეცნიერო და მეთოდოლოგიური საბჭოების წევრი და სხვ.

ძნელია მეგობრისა და კეთილშობილი ადამიანის განვლილი ცხოვრების გახსენება. იგი მრავალ წყლულსა და დარდს აღვიძრავს ხოლმე. სულს მაინც ის გვიშვიდებს, რომ საქართველოში ჯერ კიდევ არიან მიხეილ კეკელიას მსგავსი მებრძოლი ადამიანები, რომელთა შემოქმედებაც მომავალი ბედნიერი საქართველოს აშენების საწინდარია.

კვალი ნათელი

ორი წელი გავიდა, რაც ბატონი მამია კომახიძე წავიდა ჩვენგან, შრომის წყურვილით სავსე, თან წაიღო იურისტთა კადრების მუშა დამკვალიანებლის ცხოვრებისეული გამოცდილება, მრავალი განუხორციელებელი ჩანაფიქრი; დაგვიტოვა გულის დიდი ტკივილი.

ბატონი მამია გამოირჩეოდა განსაკუთრებული კომუნიკაბელურობით, უმაღლესად ადამიანებთან, ნებისმიერ კოლექტივთან ჯანსაღი ურთიერთობის შექმნა და საქმიანი კონტაქტების დამყარება.

მის საშურ თვისებათა შორის აღსანიშნავია სხვათა ჭირ-ვარამის გაზიარებისა და მათთვის დახმარების აღმოჩენის უნარი და მოთხოვნილება.

ბატონი მამია გამოირჩეოდა ორგანიზაციული ნიჭით, რამეთუ იყო საჩინო ადმინისტრატორი, კარგი კალმოსანი, მთელი რიგი ნაშრომების ავტორი. მისი ადამიანური თვისებები და სახე დაუვიწყარია ქართულ იურიდიულ საზოგადოებაში. იგი მუდამ ემანსოვრებათ როგორც ღვაწლმოსილი პიროვნება და ჭეშმარიტი მამულიშვილი.

დასანანია რომ იგი მეტად ნაადრევად წავიდა ამ ქვეყნიდან, დააკლდა ოჯახს, მეგობრებს, თითოეულ ჩვენთაგანს.

იუსტიციის ორგანოების მუშაკთა
კვალიფიკაციის ამაღლების მუდმივმოქმედი
რესპუბლიკური კურსების თანამშრომლები.

